

„ნტვ"-ს ოფისს ესროლეს

A4



ამბროზიომ „ჰეთ თრიკით" დაიწყო

A6



პრესომბუდსმენი

B1


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 6 მარტი, 2006 წელი. №47 (1199)

ფასი 50 თეთრი

## პასპორტი კონფლიქტის ზონებისათვის

"საეჭვო" მოქალაქეობა თუ ლეგიტიმური გადაადგილება?

დიმიტრი ავალიანი

*აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთათვის "რუსეთის მოქალაქეობის" მინიჭება მოსკოვის მხრიდან პოლიტიკური სპეკულაციების საგანი გახდა, იმის მიუხედავად, რომ ეს პროცედურა ორივე ქვეყნის კანონების დარღვევით განხორციელდა. თუმცა, თავის დროზე საქართველოს ხელისუფლებამ ამგვარი სცენარის თავიდან ასაცილებლად და ამ რეგიონებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემისათვის არაფერი იღონა.*

გაგრძელება A2 გვერდზე



## ნატო-ს მოთხოვნებზე ბეჯითად იმუშავეთ...

მაგრამ ვითარებაც გაითვალისწინეთ

დევიდ ჯ. სმითი
*სპეციალურად „24 საათისათვის"*

ამჟამად თბილისში ნატო-ს შტაბბინიდან გამოგზავნილი გუნდი იმყოფება, რათა შეამოწმოს, თუ როგორ ასრულებს საქართველო ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამ გუნდის მოხსენებაზე იქნება დამოკიდებული, ალიანსის წევრი-ქვეყნების გადაწყვეტილება იმის შესახებ, ღირს თუ არა წლის ბოლოსთვის საქართველოს გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში (MAP-ში) ჩართვა.

გაგრძელება A3 გვერდზე



*საქართველო უკვე მონაწილეობს კოლექტიური უსაფრთხოების ოპერაციებში.*

## ირანის რუსული ურანი

შეთანხმება რუსეთთან და მორიგი ხმაურიანი განცხადება

თეირანმა და მოსკოვმა რუსეთის ტერიტორიაზე ურანის გამამდიდრებელი ერთობლივი საწარმოს შექმნაზე მოილაპარაკეს. ამის შესახებ ირანის ვიცე-პრეზიდენტმა ღოლამრეზა აღაზადემ განაცხადა.

მისი თქმით, ორი დღის განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და უახლოეს მომავალში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოსკოვში ორმხრივი კონსულტაციები გაიმართება.

თავის მხრივ, "როსატომის" ხელმძღვანელმა სერგეი კირიენკომ განაცხადა, რომ 6 მარტს დაგეგმილ მაგატე-ს საბჭოს სხდომაზე რუსეთი მოითხოვს, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა სააგენტოს ფარგლებში მოხდეს. ამასთან, მან დაადასტურა, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით მოსკოვსა და ირანს შორის მოლაპარაკებები უახლოეს დღეებში გაიმართება.

გაგრძელება A2 გვერდზე



*ბუშერში რუსეთის მონაწილეობით ირანის პირველი ატომური ენერგობლოკი შენდება.*

## სამართალი

### პროკურატურის „ლმობიერების" საპირისპიროდ

სასამართლომ საპატრულო პოლიციელები პატიმრობაში დატოვა.

A4

## რევიუ

### ბონო ანდებში

საერთაშორისო გაერთიანება Amnesty International-ის ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონიალი სანტიაგოში, ჩილეს ნაციონალურ სტადიონზე გაიმართა – იქ, სადაც წინათ პოლიტიკურ პატიმრებს აკავებდნენ ხოლმე. კვირას კი იგივე სტადიონზე ირლანდიური როკ-ჯგუფი U2 დააჯილდოვეს.

A8

## ავტომობილი

### ავტომობილი 120 წლისაა

29 იანვარს ავტომობილს 120 წელი შეუსრულდა. სწორედ 1886 წლის 29 იანვარს შეიტანა კარლ ბენცმა საპატენტო განაცხადი მის მიერ შექმნილ მოტორიზებულ ურიკაზე.

B4



**გაზეთ "24 საათის" რედაქციის ახალი მისამართია: გამრეკელის ქ. N51 (შესასვლელი ნუცუბიძის ქუჩიდან) ტელ: 20-24-24, 31-93-90, 31-93-91, 31-93-86**




საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 6/03 | 7 /03 |
|---|---|---|
| თბილისი | 15 | 13 |
| ყვარელი | 16 | 18 |
| სოხუმი | 18 | 20 |
| დმანისი | 10 | 9 |
| გორი | 12 | 13 |
| ონი | 7 | 9 |
| ზუგდიდი | 19 | 22 |
| ახმეტა | 14 | 12 |
| გაგრა | 16 | 16 |
| სამტრედია | 18 | 20 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8300 |
| ევრო | 2.1847 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2078 |
| რუბლი | 0.0653 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| ეკონომიკა | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| საზოგადოება | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |
| პრესომბუდსმენი | B 1 |
| ტენდერი | B 2 |
| ტენდერი | B 3 |
| ავტომობილი | B 4 |


## გაზსადენის საგარეო პოლიტიკა

თორნიკე შარაშენიძე
*ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორი; ზურაბ ჟვანიას სახელობის საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ლექტორი და საერთაშორისო პოლიტიკის პროგრამის კოორდინატორი*

„ჩვენ ჩვენს მიდგომებს არავის ვახვევთ თავს. მაგრამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ რუსეთის ხელისუფლება, ისევე როგორც ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის ხელისუფლება, უპირველესად თავის ხალხთანაა ანგარიშვალდებული და ვალდებულია მისი ინტერესები დაიცვას. რუსეთის ხელმძღვანელობის ამჟამინდელი საგარეო პოლიტიკური კურსი ქვეყანაში ფართო მხარდაჭერით სარგებლობს."

ეს გახლავთ ნაწყვეტი სტატიიდან, რომელიც გასულ კვირას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა გამოაქვეყნა. ეს ნაწყვეტი საკმარისია იმისათვის, რათა დაიბადოს შეკითხვა: რას ნიშნავს რუსი ხალხის ინტერესები, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ უნდა დაიცვას. სად იწყება ეს ინტერესები და სად მთავრდება. საერთოდ კი თვალში საცემია ის გარემოება, რომ ბოლო რამდენიმე წელია რუსეთი ცდილობს ითამაშოს საკუთარი თამაში მსოფლიო პოლიტიკაში, რომელიც საკმაოდ ხშირად დასავლეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება. რუსეთი ცდილობს ხაზი გაუსვას მისი, როგორც დამოუკიდებელი მოთამაშის სტატუსს. ცხადია, ამგვარი თამაშის უკან რაღაც ძალა უნდა იდგეს. რუსეთისათვის დღეს ეს ძალა ნავთობიდან და გაზიდან მიღებული შემოსავალია, რომლის წყალობითაც კრემლმა უკვე მრავალი ფინანსური პრობლემა მოაგვარა (მათ შორის საგარეო ვალებიც გაისტუმრა) და ახლა უკვე დიდი სახელმწიფოსათვის შესაფერის საგარეო იმიჯზე ზრუნავს.

იმისათვის, რათა კარგად გავიაზროთ რა შემოსავალი მოაქვს ნავთობის გაზრდილ ფასებს რუსეთისათვის, საკმარისია გავეცნოთ ეკონომისტთა შემდეგ გათვლებს: მაშინაც კი თუკი ბარელი ნავთობის ფასი ახლანდელი 60-დან 50 დოლარამდე დაეცემა, რუსეთის მთლიანი ეროვნული შემოსავალი 2013 წლისათვის გაორმაგდება და ორი წლის შემდეგ ესპანეთის მაჩვენებელს გაუტოლდება.

გაგრძელება A5 გვერდზე

## ცოცხალი „გვამი"

### ეჭვმიტანილი, რომელიც პოლიციამ თვითმკვლელად გამოაცხადა, ცოცხალია

*რამდენიმე დღის წინათ, პოლიციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ძარცვაში ეჭვმიტანილმა - ზურაბ ქათამაძემ შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის მთავარი სამმართველოს იზოლატორში, თავის ჩამოხრჩობის გზით, თვითმკვლელობა სცადა. ორი დღის შემდეგ, ქალაქის პირველ საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში, კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი კი, რატომღაც გარდაცვლილად მიიჩნიეს და გვამის დასათვალიერებლად (გასაკვეთად) ექსპერტიც კი გამოიძახეს. ექსპერტმა ზურაბ აბაშიძემ ცოცხალი "გვამის" დათვალიერებაზე (გაკვეთაზე), ბუნებრივია, უარი განაცხადა. მოგვიანებით, იმავე ექსპერტმა ჩამოხრჩობის მცდელობა საერთოდ გამორიცხა.*
*ქათამაძის ახლობლები პოლიციას უფლებამოსილების გადამეტებაში სდებენ ბრალს და ობიექტურ გამოძიებას მოითხოვენ.*

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

პოლიციის ინფორმაციით, ზურაბ ქათამაძე 21 თებერვალს ძარცვისთვის დააკავეს და შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის მთავარი სამმართველოს იზოლატორში მოათავსეს.

**"ქათამაძე პატრულმა დააკავა ძარცვის ფაქტზე. მან, რამდენიმე პიროვნებასთან ერთად, ჭავჭავაძის ქუჩაზე 271 ლარი წაართვა ზაურ ზაქარეიშვილს. დაკავებიდან მეორე დღეს ეჭვმიტანილმა იზოლატორში თავის ჩამოხრჩობა სცადა. ზედამხედველებმა დროულად შენიშნეს, ჩამოხსნეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს. ქათამაძეს საძილე არტერია ჰქონდა დაზიანებული. ორი დღე კომაში იყო. შოკიდან ვერ გამოიყვანეს, ისე გარდაიცვალა"**, - განაცხადა აჭარის პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო ნაწილის უფროსმა, რეზო კახნიაურმა. მოგვიანებით კახნიაურმა ინფორმაცია დააზუსტა და განაცხადა, რომ ეჭვმიტანილი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო: **"საქმეს ქალაქის პოლიციის პირველი განყოფილება იძიებს. ზუსტი ინფორმაციისათვის მას მიმართეთ"**.

გაგრძელება A4 გვერდზე

## რაც გინახავს, ვეღარ ნახავ

*რასაც ქვემოთ მოგახსენებთ, როგორც ჟურნალისტს, რასაკვირველია, ცუდად მახასიათებს. მთელი კვირა დავიარებოდი ჯანმრთელობის სამინისტროში და, ჩემი ჭკუით, იმ პროგრამებზე ვაგროვებდი ცნობებს, რომელთაც სახელმწიფო აფინანსებს ჯანდაცვის სფეროში. რატომღაც სამშობიარო სახლები მოვინიშნე - ალბათ იმიტომ, რომ ბოლო დროს "უფასო მშობიარობაზე" ისე ომახიანად საუბრობდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, ცოტაც და, დავიჯერეთ, რომ მშობიარობა მართლა უფასო იყო. ჯერ კიდევ სამი დღის წინ ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო ის წინააღმდეგობა, რასაც თბილისის სამშობიარო სახლებში სამედიცინო პერსონალის მხრიდან წავაწყდი. არადა, განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვდი, უფასო განყოფილებებში პალატების ნახვაზეც ყაბულს ვიყავი. სამწუხაროდ, ვერ განვჭვრიტე, რომ ამ აგრესიას სერიოზული საფუძველი გააჩნდა, თუმცა, მეორე მხრივ, თავს იმით ვინუგეშებ, რომ ჯანმრთელობის სამინისტროშო ინფორმაციის მოპოვება ერთობ გართულდა, სამედიცინო პროფილის დაწესებულებებში კი, გასაგები მიზეზების გამო, დუმილს ამჯობინებენ. როგორც ჩანს, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებას ჯანმრთელობის სფეროშიც არ აპირებენ და ჩვენთვის მტკივნეულ საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს პოსტ ფაქტუმ გვაწვდიან.*

სოფიო თოდუა

როცა ვამბობთ, "პარდონ", როცა ვამბობდით – "უფასო მშობიარობა", - ვგულისხმობდით, რომ მშობიარობის ხარჯებს სახელმწიფო იხდიდა. ოფიციალურად 200 ლარი სავსებით საკმარისი იყო იმ თანხის ასანაზღაურებლად, რომელიც ფიზიოლოგიური მშობიარობის შემთხვევაში იხარჯება. იგულისხმებოდა სამედიცინო მომსახურება და მინიმალური სერვისი, რაც მშობიარეს სჭირდება. მაგრამ ჩვენც გვყავს ნათესავები, ახლობლები, მეზობლები... ამიტომაც ვიცოდით, ვის რამდენი დაუჯდა შვილისა თუ შვილიშვილის შეძენა. როგორც ჩანს, ქაღალდზე დაწერილის სიმართლედ გასაღება მემკვიდრეობით გვერგო.

გაგრძელება A7 გვერდზე

# ირანის რუსული ურანი

პირველი გვერდიდან

"როსატომის" ხელმძღვანელი ასევე ირწმუნება, რომ რუსეთი ბუშერის ელექტროსადგურს ბირთვული საწვავით დროულად მოამარაგებს. ბუშერაში რუსეთის მონაწილეობით პირველი ატომური ენერგობლოკი შენდება. კონტრაქტის ღირებულება 1 მილიარდი დოლარია.

ირანის ვიცე-პრეზიდენტმა რუსეთს ტენდერში მონაწილეობის მიღება შესთავაზა, რომელიც ბუშერში კიდევ ორი ენერგობლოკის მშენებლობისათვის ცხადდება. თითოეული მათგანის გამომუშავება 1 000 მეგავატი იქნება. ტენდერის ჩატარებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება ერთ თვეში დასრულდება.

აშშ, ისრაელი და ევროკავშირი აცხადებენ, რომ ირანი საკუთარ ბირთვულ პროგრამას ატომური ბომბის წარმოებისათვის იყენებს. თეირანი უარყოფს მათ ბრალდებებს და აცხადებს, რომ პროგრამა მხოლოდ სამშვიდობო მიზნებისთვის გამოიყენება. აშშ-ს მოთხოვნით, მაგატემ გაეროს უშიშროების საბჭოს ირანული ატომური პროგრამის შესახებ ინფორმაცია უკვე მიაწოდა.

ირანი იმუქრება, რომ ურანის გამდიდრებას დამოუკიდებლად დაიწყებს, თუ მის საქმეს უშიშროების საბჭოს გადასცემენ, რომელსაც უფლება აქვს, მის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები გაატაროს. აღნიშნული სანქციების წინააღმდეგ გამოდის რუსეთი და ჩინეთი. პრობლემის მოგვარების მიზნით, მოსკოვმა თეირანს რუსეთის ტერიტორიაზე ერთობლივი საწარმოს შექმნა შესთავაზა, რომელიც ურანის გამდიდრებას მაგატეს მეთვალყურეობის ქვეშ განახორციელებს.

ამასობაში მორიგი ხმაურიანი განცხადება გააკეთა ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა. მისი თქმით, „უკვე უახლოეს წლებში, მსოფლიო ისლამის ხელში აღმოჩნდება".

მალაიზიაში ვიზიტის დროს, აჰმადინეჯადმა განაცხადა, რომ მალე ისლამი გაბატონებული ძალა გახდება და ყველა სხვა რელიგიას შორის მიმდევართა რაოდენობით პირველ ადგილს დაიკავებს.

ირანის პრეზიდენტის აზრით, ისტორია „დამაჯერებლად აჩვენებს ისლამური რელიგიის ძალას, რომელიც სხვა ხალხების ჩახშობას კი არ ისახავს მიზნად, არამედ მშვიდობას და სიმშვიდეს ემსახურება".

*24 საათი*

# შეხვედრა კოფი ანანთან

ნიუ-იორკში ვიზიტით მყოფ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრის დროს გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა იმედი გამოთქვა, რომ „სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ პარლამენტის 15 თებერვლის დადგენილებას საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება ყურადღებით მოეკიდება.

პრემიერ-მინისტრმა შეშფოთება გამოთქვა აფხაზეთში ქართული მოსახლეობის უფლებების დარღვევის გამო. ზურაბ ნოღაიდელმა კოფი ანანს გალში გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისის გახსნა და რეგიონისთვის მეტი ყურადღების მიქცევა სთხოვა. აღსანიშნავია, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭომ აფხაზეთში სამხედრო დამკვირვებელთა მისიის მანდატის გაგრძელების საკითხი უახლოეს დღეებში უნდა განიხილოს. მისიას კონფლიქტის ზონაში ყოფნის უფლება მხოლოდ მარტის ჩათვლით აქვს. **მედიანიუსი**

# ერაყის პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრს გადადგომისაკენ მოუწოდა

ერაყის პრეზიდენტმა ჯალალ თალიბანმა, ქვეყნის პრემიერ-მინისტრს იბრაჰიმ ალ-ჯაფარს, ეროვნული თანხმობის მისაღწევად, გადადგომისაკენ მოუწოდა. ამის შესახებ მან ახალი პარლამენტის პირველ სხდომაზე განაცხადა, რომელზეც აღნიშნა, რომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე იბრაგიმ ალ-ჯაფარის კანდიდატურის წინააღმდეგია, და მას ნებაყოფლობით გადადგომისაკენ მოუწოდა.

"ამაში პირადული არაფერია, - ხაზგასმით აღნიშნა თალიბანმა, - ეს გამომდინარეობს ქვეყნის ინტერესიდან, რომ შეიქმნას ერთიანი ეროვნული მთავრობა".

თალიბანსა და ალ-ჯაფარს უკვე შეხვდა ამერიკის საომარი კონტინგენტის ხელმძღვანელი ჯონ აბიზეიდი. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, მისი აზრი ანალოგიურია. აბიზეიდის განაცხადებით, იმისათვის, რომ შეწყდეს ქვეყნის დაცემა, საჭიროა, შეიქმნას ერთიანი ეროვნული მთავრობა.

იბრაჰიმ ალ-ჯაფარის ოპონენტების განცხადებით, პრემიერ-მინისტრი ვერ უმკლავდება ეკონომიკურ სიძნელეებს და ვერ უზრუნველყოფს ქვეყანაში ძალადობის შეწყვეტას. მიუხედავად ყოველივე ამისა, შიიტების გაერთიანებულმა ალიანსმა, რომელმაც ახალ პარლამენტში ხმათა უმრავლესობა მიიღო, ალ-ჯაფარს პრემიერ-მინისტრის პოსტი თავიდან შესთავაზა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მოკლედ

### ფრინველის გრიპი აზერბაიჯანში

აზერბაიჯანში ფრინველის გრიპის საეჭვო დიაგნოზით ოჯახის 6 წევრია ჰოსპიტალიზებული. გარდა ამისა, რამდენიმე ხნის წინ აღნიშნულ ოჯახში მოულოდნელად ორი ბავშვი გარდაიცვალა. ოჯახი სასოფლო დასახლებაში ცხოვრობს და უშუალო შეხება აქვს შინაურ ფრინველთან. „პირველადი დიაგნოზი, რომელიც ავადმყოფებს ექიმებმა დაუსვეს, მწვავე პნევმონიაა. თუმცა არ გამოირიცხება „ფრინველის გრიპის" დაავადება, შესაძლოა, ოჯახის წევრი ბავშვებიც სწორედ ამ დაავადებით გარდაიცვალნენ," - განაცხადა აზერბაიჯანის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ აბას ველიბეკოვმა. დაავადებულთა სისხლის ნიმუშები გადაგზავნილია ექსპერტიზაზე, ექიმები შედეგებს ელოდებიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ადლიის სანაპირო ზოლის მოსახლეობა შველას ითხოვს

ადლიის სანაპირო კვლავ დატბორილია. ადიდებული ზღვა ამჯერად საფრთხეს ე.წ. სამხედრო დასახლების 8 ოჯახს უქმნის. ორი დღის წინ, დილით, 8.00 საათზე მოვარდნილმა ზღვამ ზურაბ ფუტკარაძის სახლი ნახევრად დაანგრია. დაზარალებული მოსახლეობა კომპენსაციის თანხის დაუყოვნებლივ გამოყოფას მოითხოვს. ადლიის სანაპიროზე მცხოვრები 16 ოჯახი უკვე 10 წელია სისტემატური საფრთხის ქვეშ ცხოვრობს. ე.წ. სამხედრო ქალაქი უკვე ველარ უკავშირდება ხელვაჩაურის რაიონულ ცენტრს, მთლიანად წაღებულია ხიდი და აღარ არსებობს სამანქანო გზაც, მოსახლეობა სასწრაფო შველას ითხოვს. **ინტერპრესნიუსი**

### სამეგრელოსა და კოდორის ხეობაში ფრინველის გრიპის შემთხვევა არ დადასტურდა

ზუგდიდის რაიონის სოფელი განმუხური ორიოდე დღის წინ სახელმწიფო ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ჯამბულ მაღლაკელიძემ მოინახულა. „სამეგრელოში ატეხილი განგაში, ფრინველის გრიპის დაფიქსირების შესახებ, აბსოლუტურად უსაფუძვლო აღმოჩნდა. სოფელ განმუხურში მხოლოდ მიმინო იყო დაცემული. თუმცა მისი სიკვდილის მიზეზი ტრავმული დაზიანებები იყო და არა ფრინველის გრიპის ვირუსი," - განაცხადა ჯამბულ მაღლაკელიძემ. მისივე თქმით, უსაფუძვლო განგაში იყო ატეხილი კოდორის ხეობაშიც, სადაც სამი ფრთა ფრინველი დაეცა. **მედიანიუსი**

### ახალციხის რაიონში შინაური ფრინველის აღწერა დაიწყო

გუშინ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა ახალციხის ვეტერინარიის შტაბში სამუშაო შეხვედრა გამართა. მინისტრის განცხადებით, ახალციხის რაიონში ფრინველის გრიპის ვირუსით არცერთი ფრთა ფრინველი არ დაავადებულა, თუმცა რაიონში შექმნილი საგანგებო შტაბი საჭირო სადეზინფექციო ხსნარებით და სპეცტანსაცმლით არის აღჭურვილი. „შტაბში საკმარისი სადეზინფექციო ხსნარები, სპეცტანსაცმელი და ტექნიკაა შეტანილი. წინასწარ არის განსაზღვრული რისკზონები, როგორიცაა მაგალითად, ტბები," - განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა. გუშინდელი დღიდან ახალციხის რაიონში მოსახლეობის კუთვნილი შინაურ ფრინველის აღწერა დაიწყო. **მედიანიუსი**

# პასპორტი კონფლიქტის ზონებისათვის

პირველი გვერდიდან

## დაკანონებული გაყალბება

2000 წელს რუსეთში ძალაში შევიდა ცვლილებები კანონში მოქალაქეობის შესახებ, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები, მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების გამარტივებულ წესს ითვალისწინებდა. ამისთვის მხოლოდ საბჭოთა კავშირის პასპორტი იყო საჭირო. თუმცა, რუსეთში ამ კანონის გამოყენება ერთი წუთითაც არ უფიქრიათ დსთ-ს სხვადასხვა ქვეყნებიდან რუსეთში ჩასული ეთნიკური რუსებისა თუ სხვა ეროვნების მიგრანტთათვის, რომლებსაც მოქალაქეობის მისაღებად მრავალი დამამცირებელი პროცედურის გავლა და ქრთამების უხვად გაცემა უხდებოდათ. რეალურად ეს კანონი მხოლოდ და მხოლოდ დსთ-ს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტური ზონებისთვის იყო განკუთვნილი.

კანონის ამოქმედების დღიდან აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეობის მსურველთა განცხადებების მიღებით და "მზა" პასპორტების გაცემით საზოგადოებრივი ორგანიზაცია "რუსულ სათვისტომოთა კონგრესი" დაკავდა. ძველ საბჭოთა პასპორტთან ერთად აუცილებელი იყო განცხადების წარდგენა იმის შესახებ, რომ პიროვნებას დატოვებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა, მაგრამ ომის დროს საბუთების განადგურების გამო ამას ვერ ადასტურებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი იუსტიციის მინისტრის, არასამთავრობო ორგანიზაციის "ჩვენ თვითონ" ხელმძღვანელის პაატა დავითაიას თქმით, სოხუმში მივლენილ იქნა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა 14-კაციანი ჯგუფი, რომელიც შეგროვებულ საბჭოთა პასპორტებში რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელ შტამპებს არტყამდა. ეს იყო "აფხაზეთის პასპორტიზაციის" პირველი ეტაპი.

ორიოდე წლის წინ საბჭოთა პასპორტების რუსეთის სახელმწიფოს პასპორტებზე შეცვლის პროცესი დაიწყო. ამჟამად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უმრავლესობას ე. წ. "საზღვარგარეთის პასპორტები" აქვს, რომელიც მას უფლებას აძლევს, საზღვარი გადაკვეთოს. თუმცა, ის რუსეთის ტერიტორიაზე პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტად არ ითვლება. საქმე ის არის, რომ რუსეთში მოქმედებს შიდასახელმწიფოებრივი პასპორტი, რომლის ქონა ყველა მოქალაქისათვის აუცილებელია.

ძველი საბჭოთა პასპორტის პატრონს რუსეთის ტერიტორიაზე მოხვედრისას ხშირად ჰქონია პრობლემები. მეზობელი კრასნოდარის მხარის მილიციაც კი ხშირად მას საბუთად არ ცნობდა. პუბლიკაციები ამის შესახებ იშვიათად, მაგრამ მაინც ჩნდებოდა აფხაზურ პრესაში.

აფხაზეთში რუსული შიდა პასპორტის ასაღებად ცალკე განცხადების შეტანაა საჭირო. როგორც სოხუმის მცხოვრებლები ამტკიცებენ, ასეთ პასპორტში რეგისტრაციის ადგილად მათ მოსკოვის ოლქის სხვადასხვა მისამართები აქვთ მითითებული, სადაც პასპორტის მფლობელებს, ბუნებრივია, არასოდეს უცხოვრიათ. ეს საბუთები ყალბია, - ამტკიცებს პაატა დავითაია. მისი თქმით, აფხაზეთში მცხოვრები "რუსეთის მოქალაქეების" ყალბი რეგისტრაცია კრასნოდარის ოლქშიც ხდება. გარდა ამისა, დავითაიას თქმით, მას ხელზე აქვს პასპორტების ასლები, სადაც საცხოვრებელ ადგილად მითითებულია "სოხუმი, რუსეთი".

პაატა დავითაიას მტკიცებით, აფხაზური ხელისუფლება აყალბებდა იმ ადამიანთა რეგისტრაციას, ვინც აფხაზეთში კონფლიქტის შემდგომ დასახლდა – აძლევდა მათ საბჭოთა პასპორტებს და აფხაზეთის ტერიტორიაზე რეგისტრაციას ძველი, კონფლიქტის დაწყებამდე თარიღით უფორმებდა. შემდეგ ეს ადამიანები ყოველგვარი პრობლემების გარეშე რუსულ პასპორტებს იღებდნენ.

ამ პროცედურის მთავარი სიყალბე კი იმაში მდგომარეობს, რომ "რუსეთის მოქალაქეობა" რეალურად არა "მოქალაქეობის არმქონე პირებზე", არამედ საქართველოს მოქალაქეებზე გაიცემოდა, რისი უფლებაც რუსეთის ხელისუფლებას საკუთარი კანონმდებლობის მიხედვით არ აქვს. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა უმრავლესობა საქართველოს მოქალაქედ ითვლებოდა, რადგან ისინი 1991 წლისთვის საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ.

ქვეყნის მოქალაქეობის დატოვების მსურველმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განცხადებით უნდა მიმართოს. პრესაში ქვეყნდება შესაბამისი განცხადება - ადამიანებმა, ვისაც ამ მოქალაქესთან ქონებრივი ან რაიმე სხვა პრეტენზიები აქვთ, დროულად განაცხადონ ამის შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილებას მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი. რასაკვირველია, ამ რთული პროცედურის გავლა სეპარატისტულ რეგიონებში დარჩენილ მოსახლეობას არც უცდია.

თუმცა, რუსეთის ხელისუფლება, თავად პრეზიდენტის ჩათვლით, ამ რეგიონებში რუსული პასპორტების დარიგებას სრულიად კანონიერად აცხადებს. ხოლო საქართველოს მხრიდან ამის გამაბათილებელი არგუმენტები ნაკლებად ისმის. **"გენერალურ პროკურატურას უნდა აღეძრა სისხლის სამართლის საქმე ამ ფაქტთან დაკავშირებით, რადგან ყალბი საბუთების მასობრივი დარიგება მოხდა,"** - მიიჩნევს პაატა დავითაია.

ამ დღეებში რუსულ მედიაში ერთი "უწყინარი" ცნობა გავრცელდა: "სამხრეთ ოსეთის საპასპორტო მაგიდის უფროსმა" განაცხადა, რომ რუსული პასპორტის არმქონე მოქალაქეები რუსეთის საზღვარს ველარ გადაკვეთენ. ასეთები კი კონფლიქტების ზონებში ძალიან ცოტანი, მაგრამ მაინც არიან. როგორც ჩანს, "პასპორტიზაციის" სრულ დაგვირგვინებას "სტიმული" სჭირდება.

## რა ვერ გააკეთა საქართველომ?

ყოფილა თუ არა კონფლიქტის ზონებში მცხოვრებ, საბჭოთა კავშირის პასპორტების მქონე, ფორმალურად, საქართველოს მოქალაქეებისათვის ახალი ქართული პასპორტების დარიგების მცდელობა? პაატა დავითაია აცხადებს, რომ 1996-1997 წლებში ასეთი ფაქტები ხდებოდა, თუმცა მას ორგანიზებული ხასიათი არ ჰქონდა. მისი თქმით, ამგვარ აქციებს ინდივიდუალური ხასიათი ჰქონდა. დავითაიას მტკიცებით, თავის დროზე ქართული პასპორტი აფხაზეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრზე ანრი ჯერგენიაზეც გაიცა.

აფხაზეთის მცხოვრებლებს რამდენიმე წლის განმავლობაში, ლეგიტიმური საბუთის არქონის გამო, გადაადგილების საშუალება (რუსეთის გარდა) არ ჰქონდათ. თუ თანამდებობის პირები, ჯერგენიას მსგავსად, თავისი შესაძლებლობების გამოყენებით პასპორტის გამოცვლას ახერხებდნენ, რიგითი მოქალაქეები ამ საშუალებას მოკლებულნი იყვნენ. ყოფილა შემთხვევები, როდესაც აფხაზებს საქართველოს სხვადასხვა საპასპორტო განყოფილებებისთვის მიუმართავთ, თუმცა იქ "საქმის გაკეთებას" გარკვეული თანხის საფასურად სთავაზობდნენ. ანუ, რა თქმა უნდა, ისევე სძალავდნენ ქრთამს, როგორც საქართველოს დანარჩენ მოქალაქეებს. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც საქართველოს საკონსულოს რუსეთში აფხაზებისთვის დახმარება გაუწევია.

პაატა დავითაიას აზრით, საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის მცხოვრებთა მოქალაქეობის საკითხს წლების განმავლობაში ზერელედ ეკიდებოდა. **"ვენეციის კომისიამ დასვა საკითხი, რომ აფხაზეთში ევროპის საბჭოს დროებითი მოწმობები გაცემულიყო, მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ ამაზე უარი თქვა,"** - აცხადებს დავითაია.

**"თქვენი პასპორტით მოგზაურობა უფრო იოლია, ვიდრე რუსულით,"** - აცხადებს ნახევრადხუმრობით ერთ-ერთი სოხუმელი, რომელიც აფხაზებს შორის იმ იშვიათ გამონაკლისს განეკუთვნება, ვისაც რუსული პასპორტი არ აუღია. თუმცა, არ აუღია არც ქართული. მას ჯერ კიდევ შეუძლია, გამოცვალოს თავისი საბჭოთა პასპორტი, რომელსაც საქართველოში ვადა 2005 წლის 31 დეკემბერს გაუვიდა. თუმცა, ამ რეგიონების მცხოვრებთა უმრავლესობამ საბჭოთა პასპორტები საეჭვო რუსულ პასპორტებზე გადაცვალა. და უკვე ძნელი გასარკვევია, რომელი ქვეყნის მოქალაქეები არიან ისინი.

# სალარო აპარატების შესახებ სპეციალურ ბუკლეტებს დაარიგებენ

საკონტროლო სალარო აპარატების შესახებ საზოგადოების დეტალურად ინფორმირების მიზნით, გუშინდელი დღიდან ფინანსთა სამინისტრომ სპეციალური ბუკლეტების დარიგება დაიწყო. როგორც ფინანსთა მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ სალარო აპარატების შესახებ დეტალური ინფორმაცია დიდი ხნით ადრე ყველა რაიონულ საგადასახადო ინსპექციაში იყო გამოკრული, ბაზრობებზე მოვაჭრე პირების ინფორმირებისათვის დამატებითი ღონისძიებების გატარება გახდა საჭირო. საინფორმაციო ბუკლეტებში მითითებულია სალარო აპარატის ხმარების დეტალური ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, ვის სჭირდება სალარო აპარატი, როგორ უნდა დარეგისტრირდეს აპარატი და სხვა მონაცემები. მინისტრის თქმით, ბუკლეტები ქვეყნის მასშტაბით ყველა ბაზრობაზე გავრცელდება. ამ პროცესში ჩაერთვება „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი" და „ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია", რომლებიც საზოგადოებას კონსულტაციებსაც გაუწევენ. „ჩვენი მიზანი ვილაცის გამოჭერა და დაჯარიმება არ არის. ჩვენი მიზანი ბრუნვაში აღურიცხავი თანხების მოქცევაა," - განაცხადა მინისტრმა. მისივე მონაცემებით, იანვარსა და თებერვალში 10 ათასამდე სალარო აპარატია დარეგისტრირებული, მაშინ როცა 2004-2005 წლებში სულ 6000 სალარო აპარატი იყო რეგისტრირებული.

*ინტერპრესნიუსი*




## ორი სიტყვით

ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დაკომპლექტებას დღეიდან დაიწყებს. ცესკო-ს თავმჯდომარის გურამ ჩალაგაშვილის განცხადებით, კომისიათა დაკომპლექტება 20 მარტისთვის უნდა დასრულდეს. 20 მარტსვე დაინიშნება მათი პირველი სხდომა. „დაკომპლექტებული საოლქო კომისიების პირველი ამოცანა საარჩევნო უბნების საზღვრების დაზუსტება იქნება," - განაცხადა ჩალაგაშვილმა. მისივე თქმით, რეგიონებსა და სოფლებში ცესკო სახლებს დანომრავს. საზღვრების დაზუსტება კი დაახლოებით ერთ თვეში დასრულდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

6-10 მარტს საქართველოს ნატო-ს შემფასებელი მისია ეწვევა. მისია ნატო-ს საერთაშორისო სამსახურის ექსპერტებით არის დაკომპლექტებული. ისინი საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის (IPAP) შესრულების საბოლოო შეფასებას განახორციელებენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ნატო-ს მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის წინ, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ საქართველო-ნატოს საინფორმაციო ვებ-გვერდის პრეზენტაცია მოაწყო. ვებ-გვერდის საშუალებით საზოგადოებას საშუალება ექნება, გაეცნოს ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც საქართველო-ნატოს ურთიერთობებს შეეხება. ვებ-გვერდის მისამართია: **მედიანიუსი**

■ ■ ■

21-24 მარტს აფხაზეთის სეპარატისტულ რესპუბლიკაში 4 ათასი რეზერვისტის ფართომასშტაბიანი წვრთნებია დაგეგმილი. წვრთნებში საჰაერო ძალების, არტილერიისა და მოტომსროლელთა ორი ბრიგადის სამხედროები მიიღებენ მონაწილეობას. ცნობისათვის: 23 თებერვალს აფხაზეთში ე.წ. საჰაერო ძალების წვრთნები გაიმართა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

ცხინვალის ხელისუფლების ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ცნობით, ოსი სეპარატისტების ლიდერმა ედუარდ კოკოითიმ ე.წ. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ("კაგებეს") ახალ თავმჯდომარედ ნიკოლაი დოლგოპოლოვი დანიშნა. მანამდე ოსურ „კაგებეს" ანატოლი იაროვოი ხელმძღვანელობდა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ გაეროს უშიშროების საბჭო აფხაზეთში სამხედრო მისიას მანდატს კვლავ გაუგრძელებს. "ჯერჯერობით უცნობია, როგორი მოდელით უნდა მოგვარდეს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები. შეჯერებული ვარიანტი არც საქართველოს ხელისუფლებაში და არც საერთაშორისო ორგანიზაციებში შემუშავებული არ არის. გარდა ამისა, გლობალურ პოლიტიკაში შექმნილი ვითარება გაეროს ხელმძღვანელობას არ აძლევს იმის საშუალებას, რომ თავის კავკასიურ პოლიტიკას გადახედოს. ამდენად, გაეროს უშიშროების საბჭოსგან, აფხაზეთში სამხედრო მისიის მანდატთან დაკავშირებით, განსხვავებულ გადაწყვეტილებას არ უნდა მოველოდეთ," - განაცხადა რამაზ საყვარელიძემ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი აცხადებს, რომ ნაკლებად სავარაუდოა, 9 მარტს ოპოზიციამ ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციის ორგანიზება შეძლოს. როგორც ცნობილია, ოპოზიციურ პარტიათა საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც "ლეიბორისტები", "კონსერვატორები", "რესპუბლიკელები" და "მემარჯვენეები" არიან გაერთიანებულნი, სალარო აპარატებთან დაკავშირებით, პარლამენტის შენობის წინ მასობრივი საპროტესტო აქციის გამართვას აპირებს. ოპოზიციური პარტიები აქციაზე დასასწრებად მოსახლეობას რეგიონებიდანაც ჩამოიყვანენ. მიხეილ მაჭავარიანის თქმით, თავად ოპოზიციას არ სურს, რომ სალარო აპარატებთან დაკავშირებული საკითხები მოგვარდეს. "ხელისუფლება აცხადებს, რომ მოვაჭრეებს ყველანაირად შეუწყობს ხელს, რათა მათ სალარო აპარატები შეიძინონ. ამ ფონზე კი ოპოზიცია საპროტესტო აქციებს გეგმავს და ხალხის ჩამოყვანას რეგიონებიდანაც აპირებს. თავად განსაჯეთ, ვის სურს პრობლემის მოგვარება და ვინ ცდილობს ამ თემით სპეკულაციას. რაც შეეხება საპროტესტო აქციას, არა მგონია, ის მაინცდამაინც ფართომასშტაბიანი იყოს," - აღნიშნა ვიცე-სპიკერმა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**დსთ.** დნესტრისპირეთში მცხოვრებმა უკრაინელებმა უკრაინის პრეზიდენტს ვიქტორ იუშჩენკოს დეპეშა გაუგზავნეს, რომელშიც მას რეგიონის ეკონომიკური ბლოკადის შეწყვეტას სთხოვენ. დნესტრისპირეთის უკრაინელთა კავშირის თავმჯდომარემ ვასილ პროცენკომ "თანამემამულეთა ღალატად" შეაფასა უკრაინის ხელისუფლების ქმედება, რომელმაც მოლდოვის საბაჟოზე გაუფორმებელი ტვირთების დნესტრისპირეთში შეშვება შეწყვიტა. დნესტრისპირეთში 250 ათასი უკრაინელი ცხოვრობს. ოფიციალური კიევის მიერ მოლდოვა-უკრაინის საზღვრის დნესტრისპირეთის მონაკვეთზე შემოღებული ტრანზიტის ახალ წესს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ტირასპოლზე ეკონომიკური ზეწოლის მოხდენის მცდელობა უწოდა და "დაინტერესებულ მხარეებს", პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, კონსულტაციების დაწყებისკენ მოუწოდა. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია




# ნატო-ს მოთხოვნებზე ბეჯითად იმუშავეთ...

პირველი გვერდიდან

აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ უახლოესი თვეების განმავლობაში საქართველომ ზუსტად განახორციელოს IPAP-ით გათვალისწინებული დეტალებიც კი. თუმცა, ალიანსის ახლანდელი წევრებისათვის ასევე მნიშვნელოვანია, შეძლებისდაგვარად შეუწყონ ხელი საქართველოს წარმატების მიღწევაში.

ორი კვირის წინ თბილისში ჩატარებულმა საქართველოს უსაფრთხოების ფორუმმა შეიმუშავა ფართო გეოსტრატეგიული გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს საქართველოს მიერ IPAP-ის შესრულება. აღნიშნულ ფორუმში 24 ქვეყნისა და 5 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი 150-ზე მეტი ექსპერტი იღებდა მონაწილეობას. ფორუმს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რამეთუ მან მოახდინა დემონსტრირება, რომ ალიანსის წევრები ნატო-ს კანდიდატობისადმი საქართველოს მიკუთვნებას იწყებენ.

კონფერენცია გახსნა ბრიტანეთის პარლამენტის წევრმა და ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყოფილმა პრეზიდენტმა ბრიუს ჯორჯმა. მან IPAP-ის პროცესი სასკოლო გამოცდას შეადარა. ცხადია, გამოცდის მიზანია იმ შედეგებზე ყურადღების გამახვილება, რაც IPAP-მა უკვე მოუტანა საქართველოსა და ნატო-ს. მაგრამ გამოცდები თავისთავად საბოლოო მიზანი არ არის. ისინი წარმოადგენენ მოსამზადებელ საფეხურებს რეალური ცხოვრებისთვის სკოლის დამთავრების შემდეგ. ისევე, როგორც სტუდენტისა და მასწავლებლისთვის აუცილებელია ფოკუსირება კონკრეტულ თემაზე, თუმცა, ამავდროულად, ცხოვრების ძირითადი მიზნის გათვალისწინებაც, ასევე ხდება ნატო-ს IPAP-ის პროგრამის შემთხვევაშიც. ასე რომ, მომავალი მოხსენება მნიშვნელოვანია, მაგრამ ალიანსი მხოლოდ მასზე არ უნდა იყოს ფოკუსირებული. ჩვენი, ნატო-ს ამჟამინდელი წევრების გეოსტრატეგიული ინტერესია, რომ საქართველო ჩვენი მოკავშირე გახდეს.

აქედან გამომდინარე, IPAP-ისა და შემდეგ MAP-ის შესრულება ისე კი არ უნდა აღვიქვათ, როგორც ნატო-ში შესასვლელი ტესტი, არამედ როგორც მოსამზადებელი ეტაპი საქართველოსათვის, რათა ნატო-ს ეფექტურ მოკავშირედ ჩამოყალიბდეს.

IPAP-ზე საქართველოს ფოკუსირებას ნატო-ს გუნდი, უდავოდ, მნიშვნელოვან პროგრესად მიიჩნევს. თუმცა ასევე აუცილებელია, მოხდეს დარჩენილი გამოწვევების გაცნობიერება. გაწევრიანებისაკენ მიმავალ გზაზე საქართველომ სწრაფად და ეფექტურად უნდა იმოძრაოს, რომ ეს გამოწვევები დაძლიოს. და კიდევ, როდესაც MAP-ი დაიწყება, საქართველომ გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები ასეთივე, მეტიც, გაორმაგებული ძალისხმევით უნდა შეასრულოს.

მაგრამ ნატო-ს 26-მა წევრმა-ქვეყანამ საქართველოს დასახმარებლად ყველაფერი უნდა გააკეთოს. „მოდერნიზაციის სტრატეგიული და კონცეპტუალური მოთხოვნები დაკმაყოფილებულია," - ნათქვამია საერთაშორისო უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს 2006 წლის მოხსენებაში. "პროგრამის განხორციელების პროცესში შიდა მოთხოვნები სწრაფად იცვლება რჩევის მიცემიდან პრაქტიკული დახმარების საჭიროებამდე."

მოდით, გავაცნობიეროთ! ზოგადი ლექციების დრო წარსულს ჩაბარდა. დღეს, ნატო-ს წევრმა-სახელმწიფოებმა საქართველოსადმი თავიანთი მხარდაჭერა უნდა დააფიქსირონ სერიოზული ფულადი დახმარებითა და მცოდნე ხალხის ხანგრძლივად მიმაგრებით.

მაინც, რაში მდგომარეობს ამ პროცესის წარმმართველი გეოსტრატეგიული ინტერესი? ეს კითხვა ესტონეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ლაური ალმანმა უსაფრთხოების ფორუმზე საქართველოს მიუსადაგა იმ დროს, როცა ესტონეთი ნატო-ში შესასვლელად ემზადებოდა. რას მოუტანს ალიანსს ესტონეთი? პასუხი იყო – სტაბილურობა. ასეთივე იქნება პასუხი საქართველოს შემთხვევაშიც. ჩვენ გვინდა, რომ შავი ზღვა იყოს "მშვიდი ტბა" და არა არასტაბილურობის "მღელვარე ზღვა". შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ჩვენი მოკავშირეა თურქეთი, დასავლეთით – რუმინეთი და ბულგარეთი. ასე რომ, შავი ზღვის რეგიონის სტაბილურობისთვის აუცილებელია, მის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე საქართველოც ჩვენი მოკავშირე გახდეს.

შავ ზღვაზე ასეთი სარტყელის შექმნით ჩვენ საუკეთესო პოზიციაში აღმოვჩნდებით საერთაშორისო კრიმინალის (ნარკოტიკებით, ადამიანებით, იარაღითა და ა.შ. უკანონო ვაჭრობა) წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მხრივ, უაღრესად პრიორიტეტული ხდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარება, რადგანაც ეს ტერიტორიები სამოთხედ არის გადაქცეული ათასგვარი უკანონო საქმიანობისთვის. და თუ შეცდომა არ იქნება დაშვებული, საქართველოსთვის ნატო-ში გაწევრიანების წინააღმდეგობად ქცეული ეს ფაქტორი, პირიქით, დააჩქარებს ამ კონფლიქტების დარეგულირების დღის დადგომას.

ნატო-ს პოზიციების კონსოლიდაცია შავი ზღვის გარშემო, ასევე, ჩვენს ანტიტერორისტულ ძალისხმევას გააძლიერებს. ეს მნიშვნელოვანია, რადგანაც რეგიონში აქტიურად მოქმედებს (როგორც ჩვენი მოკავშირე თურქეთი ხშირად აღნიშნავს) ტერორისტული ორგანიზაცია - ქურთისტანის მუშათა პარტია (PKK). გარდა ამისა, სამხრეთ კავკასიაში კონცენტრირებული ანტიტერორისტული ძალისხმევა სასარგებლო იქნება ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ კავკასიას (რეგიონს, რომელზეც კონტროლი ნელ-ნელა იკარგება) შორის არსებული ტერორისტული ჯაჭვის გასაწყვეტად.

ეს ყველაფერი ნატო-ს თითოეული წევრი-სახელმწიფოს ინტერესებში შედის, განსაკუთრებით - თურქეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის. უფრო მეტიც, რუსეთიც იხეირებს შავ ზღვაზე ჩვენი ყოფნითა და ჩრდილოეთ კავკასიის სუვერენული მართვის საშუალებით. აქედან გამომდინარე, მოსკოვმა მტრულად არ უნდა აღიქვას ნატო-ს შემოსვლა საქართველოში. მით უმეტეს, რომ რუსეთიც მიწვეული იქნა შავი ზღვის ნატო-ელ მეზობლებთან სათანამშრომლოდ, იმ შემთხვევაში, თუ იგი მოიქცევა როგორც ნორმალური, ცივილიზებული ქვეყანა.

რასაკვირველია, თავად სტაბილურობა არ წარმოადგენს საბოლოო მიზანს. იგი მხოლოდ მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის აუცილებელი კომპონენტია. რეალური მიზანი - მსოფლიო ეკონომიკაში შავი ზღვის რეგიონის ჩართვაა, მისი, როგორც ბერძნულ-რომაული სავაჭრო სისტემის ნაწილის აღდგენა, რომელიც გიბრალტარიდან ბათუმამდეა გადაჭიმული. ხოლო შავი ზღვა პირდაპირაა დაკავშირებული ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპასთან დუნაისა და რეინის მდინარეებით. ასე რომ, საქართველო შორს სულაც არ არის. და მისი გაწევრიანება ნატო-ში, და შედეგად მიღებული სტაბილურობა ფრანკფურტისა და პარიზის ქუჩებსაც უფრო უსაფრთხოს გახდის.

მაგრამ მარტო ეს საკმარისი არ არის. მომავალი წევრი შეუძლებელია იყოს უსაფრთხოების მხოლოდ მომხმარებელი ან, თუნდაც, სტაბილურობის ბასტიონი. ნატო-ს ახალი მოკავშირე, ასევე, უსაფრთხოების ერთ-ერთი დონორიც ხდება. ამ მხრივ საქართველო უკვე ასრულებს მოკავშირის ფუნქციას. მისი შეიარაღებული ძალები მსახურობენ კოსოვოში ნატო-ს ხელმძღვანელობით და მონაწილეობენ ნატო-ს ოპერაციებში ავღანეთში. და თუმცა ერაყის კამპანია არ გახლავთ ნატო-ს ოპერაცია, იქ საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი ნათლად წარმოაჩენს მის სურვილსა და შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს კოლექტიური უსაფრთხოების ოპერაციებში.

საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს უსაფრთხოს გახდის. დაზვერვის სისტემები, რომელიც მომავალში შეიძლება იქ განთავსდეს, მისი პორტებისა და აეროდრომების გამოყენების შესაძლებლობა და მისი მცირე, მაგრამ უნარიანი სანაპირო დაცვა რუმინეთსა და, შესაძლოა ახლო მომავალში, ბულგარეთში განთავსებულ ნატო-ს ძალებს უფრო უსაფრთხოს გახდის. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ცენტრალურ აზიაში შეღწევის კიდევ ერთი გზა იქნება; იგი უფრო მეტი პოტენციურად საშიში წერტილების მოცვის საშუალებას იძლევა.

გარდა ამისა, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება, დღეს მხოლოდ გაზისა და ნავთობის ტრანსპორტირებისათვის აუცილებელი, მომავალში კი უფრო დიდი დანიშნულების, აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნის კონსოლიდირებას მოახდენს. რაც მთავარია, საქართველო, როგორც "ვარდების რევოლუციის" სამშობლო, აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანში დემოკრატიული იდეების დამკვიდრების ლიდერი იქნება. ნატო-ს წევრობა ხომ, პირველ რიგში, დაფუძნებული უნდა იყოს დემოკრატიულ ფასეულობებზე, რომელსაც ქართველი ხალხი ჩვენთან ერთად იზიარებს.

ბუნებრივია, საქართველომ უნდა გააუმჯობესოს სამხედრო შესაძლებლობები, მათი თავსებადობა ნატო-ს სხვა ქვედანაყოფებთან. საქართველომ ასევე უნდა მოძებნოს თავისი ნიშა – შესაძლოა, ეს იყოს სამხედრო პოლიცია, სამთო ძალები და დაზვერვა – რათა სარგებლობა მოუტანოს ალიანსს. ეს პროცესები უკვე მიმდინარეობს და გაგრძელდება როგორც MAP-ის განხორციელებისას, ასევე გაწევრიანების შემდეგაც. სინამდვილეში, ეს ის ღონისძიებებია, რომელთა გატარება ნატო-ს ყველა წევრმა უნდა განაგრძოს. როგორც ბრიუს ჯორჯმა კონფერენციაზე აღნიშნა, "მოდით, ნუ მოვთხოვთ საქართველოს ყველა სტანდარტის დაკმაყოფილებას, რომელსაც, სხვათა შორის, ძველი წევრებიც არ აკმაყოფილებდნენ ალიანსში გაწევრიანებისას და, გულწრფელად რომ ვთქვათ, შესაძლოა, ზოგიერთი დღესაც არ აკმაყოფილებდეს.

ასე რომ, მოდით, IPAP-ის მიმოხილვას დაველოდოთ. ნატო-ს დედაქალაქებში იგი ფართო გეოსტრატეგიულ კონტექსტში უნდა განიხილონ. შემდეგ კი შევიკრიბოთ და ყველამ ერთად მოვიფიქროთ, როგორ დავძლიოთ სიძნელეები, რათა საქართველო ალიანსში მოხვდეს.

*დევიდ ჯ. სმიტი არის პოტომაკის ინსტიტუტის პოლიტიკურ სწავლებათა უფროსი ექსპერტი და ვაშინგტონში საქართველოს ფორუმის თავმჯდომარე.*

## აშშ-მ და უკრაინამ მოლაპარაკებები დაასრულეს

აშშ-მ და უკრაინამ ორმხრივი მოლაპარაკების დასრულების თაობაზე ერთობლივი განცხადება გააკეთეს. მოლაპარაკება უკრაინის საერთაშორისო ბაზრებზე გასვლასა და საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას ეხებოდა. „მიღწეული შეთანხმება ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანია," - ნათქვამია სავაჭრო მოლაპარაკებებში აშშ-ს პრეზიდენტის წარმომადგენლის, რობერტ პორტმანის წარმომადგენლის მიერ გაკეთებულ განცხადებაში.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ პორტმანი და უკრაინის ვაჭრობის მინისტრი არსენი იაცენუკი 6 მარტს ოფიციალურად მოაწერენ ხელს მოლაპარაკების დასრულების დოკუმენტს.

პორტმანის თქმით, იგი მიესალმება უკრაინის მიზანდასახულობასა და სწრაფვას, რეფორმების გატარებასა და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილეობის სურვილს.

ამიერიდან აშშ-სა და უკრაინის ურთიერთობაში მოსალოდნელია ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის გაფართოება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს უკრაინის გაწევრიანების დაჩქარებას საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში. ეს მოლაპარაკებები ორ წელზე მეტხანს გრძელდებოდა.

თებერვლის ბოლოს კიევმა გადალახა ბოლო წინააღმდეგობა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების გზაზე. შედეგად, აშშ-ს ვაჭრობის სამინისტრომ უკრაინა საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნად ცნო.

*ჯი ეიჩ ენი*

**გთავაზობთ იაპონურ მეორად ავტომობილებს**
**Japanese Used Cars**
a.n.nagoya, inc.

2-20-111 Asaokacho, Chikusaku, Nagoya 464-0811 Japan
ტელ: 81-52-782-2807 ფაქსი/Fax: 81-52-782-2907
Mobile: 81-90-1831-9726

e-mail: a.n.nagoya48@tea.ocn.ne.jp
URL: http://www.annagoya.com



# პროკურატურის „ლმობიერების" საპირისპიროდ

## სასამართლომ საპატრულო პოლიციელები პატიმრობაში დატოვა

*კახეთში საპატრულო პოლიციის მიმართ უკმაყოფილო მძღოლთა რიცხვი დღითიდღე მატულობს. თუმცა მომჩივანთა პრეტენზიებს შესაბამისი სამსახურები იშვიათად ითვალისწინებენ. გურჯაანელი გოჩა რუაძე იანვრის პირველი რიცხვებიდან უშედეგოდ ცდილობს სამართლის ძიებას, ქიზიყელმა ძმებმა ჟაროვოებმა კი პატრულის თანამშრომლებს დანაშაული არ შეარჩინეს და საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ თელავის რაიონულმა სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურა პატრულის თანამშრომლებისთვის გირაოს გადახდას ითხოვდა, მათ ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

კახეთის რეგიონში პირველი შემთხვევა არ არის, როცა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს მოქალაქეები უჩივიან. მიზეზი ერთია - როგორც დაზარალებულები ამბობენ, ისინი მათ ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე აჩერებენ და ჯარიმებსაც უსაფუძვლოდ უწერენ.

მაგალითად, გურჯაანის რაიონის მკვიდრი გოჩა რუაძე ირწმუნება, რომ პატრულის თანამშრომლებმა ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე გააჩერეს და მასზე ჯარიმის გაწერას ცდილობდნენ. რუაძემ მათ წინააღმდეგობა გაუწია. **"მეუბნებოდნენ, ნასვამი ხარო, მაგრამ ჩემზე უკეთ ვინ იცოდა, რომ ფხიზელი ვიყავი. ამის მიუხედავად ჯარიმის გაწერას და მანქანის მართვის მოწმობის ჩამორთმევას ცდილობდნენ. მე კი სიმართლის დასამტკიცებლად ნარკოლოგიურში წაყვანა მოვითხოვე. იქ შემამოწმეს და ჩემი სიმართლეც დადასტურდა. მერე კი მათ სხვა მიზეზი მომიდეს, თითქოს მანქანა მწყობრში არ მქონდა, მაგრამ არც ეს იყო მართალი, -** იხსენებს რუაძე, რომელმაც საპატრულო პოლიციელების წინააღმდეგ საჩივრით რეგიონის საოლქო პროკურატურას მიმართა, მაგრამ სამართალი რომ ვერ იპოვა, საჩივარი უკანვე გამოიტანა და იძულებული გახდა, პატრულისთვის დანაშაული ეპატიებინა.

ძმებმა ზაზა, ბადრი და მიხეილ ჟაროვებმა კი პატრულის თანამშრომლებს ფიზიკური შეურაცხყოფა არ აპატიეს, რის გამოც გუშინ თელავის რაიონულმა სასამართლომ შსს საპატრულო პოლიციის კახეთის სამმართველოს მეორე სახაზო განყოფილების უფროსს, ინსპექტორ დავით ჭიაბერაშვილს და ინსპექტორ ნოდარ ფეიქრიშვილს აღმკვეთ ღონისძიებად ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

ეს ამბავი გასული წლის ოქტომბერში დაიწყო. როგორც სასამართლო პროცესზე გახდა ცნობილი, ძმებმა ზაზა, ბადრი და მიხეილ ჟაროვებმა საგზაო მოძრაობის წესები დაარღვიეს და პატრულმა ისინი ამიტომ გააჩერა, რასაც პატრულსა და აღნიშნულ პიროვნებებს შორის სიტყვიერი შეურაცხყოფა მოჰყვა. იმის გამო, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მანქანის მფლობელი და მგზავრები სამართალდამცველებს არ ემორჩილებოდნენ, პატრულის დამატებითი ჯგუფის გამოძახება გახდა საჭირო. როგორც დაზარალებულები აცხადებენ, ისინი საპატრულო პოლიციელებმა სოფელ ჩალაუბანთან ახლოს ჟაროვები მანქანიდან გადმოიყვანეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

**"სწორედ ჭიაბერაშვილმა და ფეიქრიშვილმა გვირტყეს. ხვეწნამუდარის მიუხედავად, არ ჩერდებოდნენ და უმოწყალოდ გვცემდნენ"** , - ირწმუნებიან დაზარალებული ჟაროვები და სასამართლოს დამამტკიცებელ დოკუმენტად ექსპერტიზის ცნობა წარუდგინეს. საპირისპიროს ადასტურებდა ბრალდებულების მხარე. ადვოკატ ნუგზარ გულბანის განმარტებით, პატრული ჟაროების გინებამ გააღიზიანა. **"ისინი პატრულს არ ემორჩილებოდნენ და აგინებდნენ",** - ამბობს ის.

იმისთვის, რომ პატრულისთვის სასჯელი შეემსუბუქებინა, ბრალდებულების მხარემ მოსამართლეს მათი ქებისა და წამახალისებელი სიგელები წარუდგინა, რომელსაც ხელს შსს მინისტრი ვანო მერაბიშვილი აწერს. შეღავათის გაწევა სცადა თვით საოლქო პროკურატურამაც, რომლის გამომძიებლებმაც დააკავეს ფეიქრიშვილი და ჭიაბერაშვილი. პროკურატურამ სასამართლოს ბრალდებულთათვის გირაოს სახით 5 ათასი ლარის გადახდის დაკისრება მოსთხოვა. მიუხედავად ამისა, მოსამართლე ნათელა ჯაშიაშვილმა ბრალდებულების ადვოკატების და პროკურატურის მოთხოვნები არ დააკმაყოფილა და პატრულის თანამშრომლებს აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა იმ არგუმენტით, რომ მათ, თავისუფლების შემთხვევაში, შესაძლოა, ზეწოლა მოახდინონ მოწმეებზე.

*მოკლედ*

### გატაცებული ქართველი სახლშია

ოსმა სეპარატისტებმა გატაცებული დავით მოგელაშვილი გაათავისუფლეს. იგი ხუთი დღის წინათ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიიდან გაიტაცეს და ამ ხნის განმავლობაში ცხინვალის მილიციის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებოდა. მოგელაშვილს ოსები ტერორიზმის ბრალდებას უყენებდნენ. ოსური მხარის მტკიცებით, ჩხრეკის დროს ეჭვმიტანილს ჯიბეში ნარკოტიკული ნივთიერება და ცხინვალის რუკა აღმოუჩინეს. დავით მოგელაშვილი ნაცემია. მიუხედავად ამისა, ოჯახის წევრები ორივე მხარის სამართალდამცველების კონსტრუქციული მუშაობით კმაყოფილნი არიან.

დავით მოგელაშვილი ამჟამად სახლში იმყოფება. იგი ჟურნალისტებთან შეხვედრისგან თავს იკავებს. როგორც მისი ახლობლები აღნიშნავენ, გატაცებული ცხინვალის მილიციაში მათთვის სასურველი ჩვენების მიღების მიზნით აწამეს. მოგელაშვილს უნდა ეღიარებინა, რომ ნარკოტიკები და რუკა, რომელიც იქაურმა სამართლდამცველებმა თავად ჩაუდეს, მისი იყო.

თავიდაპირველად ოსები დავით მოგელაშვილის დანაშაულში ეჭვმიტანილ ჩიბიროვზე გაცვლას მოითხოვდნენ. ჩიბიროვი ქართულ მხარეს ჰყავს დაკავებული. ამ მოთხოვნის მიუხედავად, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის ცნობით, დავით მოგელაშვილი სეპარატისტებმა უპირობოდ გაათავისუფლეს.

*24 საათი*

### ქართველი ახალგაზრდები სოხუმის იზოლატორში

ქართული არასამთავრობო სექტორის ორი წარმომადგენელი, გიორგი სოხაძე და თეა შარია აფხაზური ხელისუფლების წარმომადგენლებმა მაშინ გაიტაცეს, როცა ისინი ბედიის მონასტერში სამოყვარულო ვიდეო-კამერით კადრებს იღებდნენ.

წინასწარი ინფორმაციით, ცნობილია, რომ ქართული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, საპატრიარქოსთან შეთანხმებით, დოკუმენტურ ფილმს იღებენ საქართველოს ეკლესია-მონასტრების შესახებ.

დაკავებულები უკვე გადაიყვანეს სოხუმის იზოლატორში და მათთან გაეროს დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენლებსაც არ უშვებენ. მესამე დღეა ახალგაზრდების ნათესავები ამაოდ ცდილობენ გატაცებულების შესახებ ინფორმაციის მიღებას.

თეა შარია წარმოშობით გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღებიდანაა. ქვემო ბარღების მოსახლეობა აფხაზეთის ხელისუფლებას თხოვნით მიმართავს, გაათავისუფლონ უდანაშაულო ახალგაზრდები, ხოლო საქართველოს ხელისუფლებას აქტიური ქმედებისკენ მოუწოდებს, რათა მათ, უმოკლეს დროში მიაღწიონ შარიასა და სოხაძის გათავისუფლებას.

ჯერჯერობით ცნობილია, რომ დაკავებულებს ჩამოართვეს ვიდეოკამერა და მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ქართულ მხარეს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია. ამ დროისათვის არც ის არის ცნობილი, რა ნაბიჯები გადაიდგა დაკავებულთა გასათავისუფლებლად.

*ინტერპრესნიუსი*


დედაქალაქის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი 1 მარტიდან იწყებს განაცხადების მიღებას მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების, სახურავებისა და შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებლად.

დაძინანსების მოთხოვნით თბილისის კორპუსისათვის საპროექტო განაცხადით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა იქმნება მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობა.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებს თბილისის კორპუსში განაცხადების შეტანა შეუძლიათ ყოველი თვის 1-დან 10 რიცხვის ჩათვლით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე www.tbilisi-corps.ge

მისამართი, აღმაშენებლის 89/24, "თბილქალაქპროექტის" შენობა, II სართული. ტელ. 95 20 34.


# სასტიკი მკვლელობის თანამზრახველს ეძებენ

*საჩხერეში, დედა-შვილის მკვლელობისთვის დაკავებულ მევლუდ ფარქოსაძეს ბრალი უკვე წარუდგინეს და გამოძიება სასამართლოსგან მისთვის სამთვიანი პატიმრობის შეფარდებას ითხოვს. ამავე დროს, სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ მკვლელობა მას მარტო არ ჩაუდენია და უახლოეს მომავალში თანამზრახველის მიგნებასაც ვარაუდობენ. ხალხმა კი თავისი აღშფოთება მევლუდ ფარქოსაძის სახლკარის გადაწვით გამოხატა. საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთის მოსახლეობა დანაშაულის ჩამდენი ოჯახის საჩხერეში ცხოვრების წინააღმდეგია. ფარქოსაძის თანასოფლელები ამბობენ, რომ მკვლელზე შურისძიება გაგრძელდება.*

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

როგორც ცნობილია, გაუჩინარებული დედა-შვილის, ჟუჟუნა და ნინო ფარქოსაძეების ცხედრებს მეზობლებმა და ახლობლებმა ძებნის მეექვსე დღეს მიაგნეს. სასტიკად ნაწამები ფარქოსაძეების დანაწევრებული სხეულები მეზობლებმა საჩხერის რაიონის სოფელ პასიეთის ტყეში, გარდაცვლილთა საცხოვრებელი სახლიდან 200 მეტრის მოშორებით, 2 მარტს, საღამო ხანს აღმოაჩინეს.

**"ტყეში ვიყავით გასული მათ საძებრად და შევნიშნეთ საეჭვოდ ამოტრიალებული დიდი ქვა. გადაჩიჩქნა მეზობლის ქალმა და იკივლა. თურმე, ადამიანის ტყავი შენიშნა. ჩემი თვალით ვნახე, როგორ ამოიღეს პოლიციელებმა დედის ცხედრის ნაწილები: ჯერ – თავი და ტანი, წელს ზევით, მერე მეორე - ფეხები, თეძოებში გადაჭრილი. შვილი აქ არ უნდა იყოსო, თქვეს, მაგრამ გადაჩიჩქნეს ირგვლივ ის ადგილი და ბავშვიც იქვე აღმოჩნდა: ფეხებგაკრული და უკან ხელებგაკრული",** - ამბობს მოკლული ჟუჟუნა ფარქოსაძის მამიდა ოლია კვესიტაძე "24 საათთან" საუბარში.

მისივე თქმით, გარდაცვლილებს დანით რამდენიმე ჭრილობა აქვთ მიყენებული: **"ჩემს ძმისშვილს კბილები აქვს ჩამსხვრეული და დანა თავში აქვს ჩარტყმული, ბავშვს კი გულში აქვს დანა დარტყმული,"** - ამბობს ოლია კვესიტაძე.

პოლიციის თანამშრომლებმა საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრეს და 3 მარტს, ღამით მკვლელობაში ეჭვმიტანილი, გარდაცვლილი ნინო ფარქოსაძის ბიძაშვილი, 22 წლის მევლუდ ფარქოსაძე დააკავეს.

**"დაკავებულის ბინაში ჩხრეკის ჩატარებისას აღმოჩენილი იქნა ორლულიანი თოფი. სწორედ ამ თოფით დახოცეს დედა-შვილი და მერე მათი სხეულები დანით დაანაწევრეს და ტყეში ჩამარხეს. ამ დროისთვის დაკავებულია მევლუდ ფარქოსაძის მამაც, რომელსაც ბრალად ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვა ედება",** - აცხადებს იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსი ლევან კახიანი.

ტყიდან ამოთხრილი ცხედრები სამართალდამცავებმა, ექსპერტიზის ჩასატარებლად, საჩხერის პროზექტურაში 2 მარტს გადაასვენეს, თუმცა ექსპერტიზის პასუხი ცნობილი მხოლოდ სამი დღის შემდეგ გახდება. თუმცა, უკვე ცნობილია, რომ დედა-შვილი 22 თებერვალს, მათსავე საცხოვრებელ ბინაში მოკლეს, რადგანაც სწორედ იქ აღმოაჩინეს სამართალდამცველებმა სისხლის ლაქები.

**"მკვლელობის მოტივი პირადულია, თუმცა დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი",** - აცხადებენ იმერეთის სამხარეო პოლიციაში, თუმცა დედა-შვილის სასტიკი მკვლელობის ერთადერთ მოტივზე ისევ მათი ახლობლები და ოჯახის წევრები საუბრობენ.

**"14 წლის ანგელოზივით ბავშვი იყო ნინო და ჩვენ ვფიქრობთ, ეს ამბავი ბავშვის გაუპატიურების მიზნით მოხდა. თავდამსხმელები ნიღბებით იყვნენ, რადგან ეს ნიღბები ჩვენ აქვე აღმოვაჩინეთ. ალბათ, დედამ ერთ-ერთს ჩამოხსნა ნიღაბი, იცნო იგი და ამიტომაც დახოცეს ორივე,"** - ამბობს ოლია კვესიტაძე. იმავეს ადასტურებს მოკლული ჟუჟუნა ფარქოსაძის ორი ქალიშვილი, რომლებიც მეზობელ სოფელში არიან გათხოვილები. ისინი კატეგორიულად გამორიცხავენ დედისა და დის ძარცვისა და ყაჩაღობის მიზნით მკვლელობის ვერსიას, რადგან ჯერ ერთი, ისინი საკმაოდ ღარიბულად ცხოვრობდნენ და მეორეც, ოჯახიდან ნივთები წაღებული არ არის, გარდა 180 ლარისა, რომელსაც ოჯახი ოთხი წლის წინ გარდაცვლილი მამის სახელზე დანიშნული შემწეობიდან ყოველთვიურად იღებდა.

იმერეთის სამხარეო პოლიციაში აცხადებენ, რომ შესაძლოა, ამ დღეებში გამოძიება მკვლელობაში ეჭვმიტანილი მევლუდ ფარქოსაძის კიდევ ერთ თანამზრახველზეც გავიდეს.

ბოლო ორი თვის მანძილზე, საჩხერის რაიონში განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის ექვსი ფაქტია დაფიქსირებული.

# „ნტვ"-ს ოფისს ესროლეს

*თბილისში, რუსთაველის გამზირის N42-ში მდებარე, რუსული ტელეკომპანია „ნტვ"-ს საქართველოს ბიუროს ოფისის ფანჯრებს სანადირო თოფიდან გასროლილი რამდენიმე ტყვია აქვს მოხვედრილი. სხვათა შორის, ამავე შენობაში განთავსებულია საქართველოში მოქმედი სხვადასხვა უცხოური საინფორმაციო საშუალებების ოფისებიც.*


*ნუგზარ კერესელიძის თქმით, ჩამსხვრეული მინები გუშინწინ ღამით აღმოაჩინეს.*

როგორც „ნტვ"-ს საქართველოს ბიუროს ხელმძღვანელმა ნუგზარ კერესელიძემ განაცხადა, ოფისის თანამშრომლებმა გატეხილი მინები გუშინწინ, ღამით აღმოაჩინეს. მაშინვე გამოიძახეს კრიმინალური პოლიცია, შესაბამისი სამსახურები, ჩატარდა მოკვლევა და გამოძიებაც დაიწყო. როგორც კერესელიძე აცხადებს, ნასროლია სანადირო თოფიდან „ჟაკანის" ორი ტყვია, რომლებმაც ფანჯრების მინები ჩაამსხვრიეს. ექსპერტებმა ოთახში ორი მასრა იპოვეს. კერესელიძის თქმით, სავარაუდოდ იქვე მდებარე გრიბოედოვის სახელობის პარკიდან ისროლეს. სამართალდამცველებმა იქაც აღმოაჩინეს ტყვიის გულები. ტყვიის სროლის კვალი ეტყობა ასევე "ნტვ"-ს ოფისის კედლებსაც.

**"როდესაც ვიღაც მოდის ამხელა გზაზე, ამხელა შენობიდან არჩევს მაინცდამაინც ორ ფანჯარას და აზიანებს მას, ყველა ვერსიაზე შეიძლება იფიქროს ადამიანმა"**, - განაცხადა „ნტვ"-ს ბიუროს ხელმძღვანელმა. ოფისის ფანჯრები დაცულია რკინის ბადითა და გისოსებით, ამიტომ ვარაუდობენ, რომ ოფისის მიმართულებით სროლა დამიზნებით არის განხორციელებული. ოფისის ფანჯრებს სიგნალიზაცია აქვს, თუმცა, როგორც ტელეკომპანიის ბიუროში აცხადებენ, შესაძლოა იმ ღამეს, ან შუქი არ იყო, ან რაღაც ტექნიკური მიზეზების გამო არ ჩაირთო სიგნალიზაცია.

ნუგზარ კერესელიძის განცხადებით, ეს ინციდენტი ემთხვევა „ნტვ"-ს მიერ მომზადებულ ერთ-ერთ სიუჟეტს, რომელიც ეძღვნებოდა სტალინის გარდაცვალების ფაქტს.

როგორც „ნტვ"-ს საქართველოს ბიუროს ხელმძღვანელი აცხადებს, 2 მარტს კომპანიამ ჩაწერა სტალინის შვილთაშვილი, იოსებ ჯუღაშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ სტალინი მოკლეს და რუსეთის ფედერაცის ხელისუფლებისგან მისი გარდაცვალების მიზეზების დადგენას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ ნუგზარ კერესელიძე აღნიშნულს სიუჟეტს ამ ინციდენტს კონკრეტულად ვერ უკავშირებს, უბრალო ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ამ სიუჟეტის მომზადება და მოსკოვში გადაგორება დაემთხვა „ნტვ"-ს ოფისის დაცხრილვას. კერესელიძის თქმით, 23 თებერვალს უცნობი პირები ამავე ოფისის კარის გაღებას ცდილობდნენ, სავარაუდოდ, ოფისის გასაქურდად, რაც ბოროტმოქმედებმა სისრულეში ვერ მოიყვანეს.

თანამშრომელთა განცხადებით, მუქარები, ან ანონიმური ზარი და სხვაგვარი შეტყობინება ამ ინციდენტამდე არ დაფიქსირებულა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას თბილისის მთავარი სამმართველო აწარმოებს. სისხლის სამართლის საქმე სხვისი ქონების განზრახ დაზიანების მუხლით აღიძრა.

თბილისის კრიმინალური პოლიციის უფროსის დავით კუპატაძის განცხადებით, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ მტკიცებულებებს ექსპერტიზა უტარდება. მისივე თქმით, მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველო აღნიშნულ დანაშაულში ეჭვმიტანილთა სავარაუდო წრის დადგენაზე მუშაობს.

*24 საათი*

# ცოცხალი „გვამი"

პირველი გვერდიდან

ქალაქის პირველ სამმართველოში ქათამაძესთან დაკავშირებით ძიება ორი თვალსაზრისით მიმდინარეობს. ერთი მხრით, ქათამაძის, როგორც ძარცვაში ეჭვმიტანილის ბრალეულობის შესახებ, ხოლო მეორე, მის თვითმკვლელობამდე მიყვანის ირგვლივ. ქათამაძე სამჯერ ნასამართლევია. უკანასკნელად იგი მობილური ტელეფონის ქურდობისათვის იხდიდა პირობით სასჯელს. განმეორებითი დანაშაულისათვის მას 10-დან 15-წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელოდა. პოლიციელების თქმით, ეჭვმიტანილი ასეთი წვრილმანი ფაქტის გამო მძიმე სასჯელის მიღების საფრთხემ სტრესულ მდგომარეობაში ჩააგდო და ეტყობა თვითმკვლელობაც ამიტომ სცადა.

სხვა ვერსია აქვთ ქათამაძის ახლობლებს. მათი განცხადებით, პოლიციას ქათამაძის არც დაკავებისა და არც დაკავების შემდეგ განვითარებული მოვლენების შესახებ ოჯახისთვის არაფერი უცნობებია.

**"ჩვენ ნაცნობმა გაგვაგებინა ეს ამბავი. საავადმყოფოში მოსულებს კი პოლიცია გვარწმუნებდა, სადაცაა, მოკვდება და სანამ ცოცხალია, სახლში გადაიყვანეთო. მათ ხელოვნური სუნთქვის აპარატის გათიშვაც მოითხოვეს. ერთხელ ისიც გვითხრეს, უკვე გარდაიცვალაო და გვამის გასაკვეთად ექსპერტიც მოიყვანეს. ძალზე საინტერესოა ის, თუ როგორ მოახერხა ჩემმა მეუღლემ თექის პლედის გარღვევა, რაც თითქმის შეუძლებელია და ამ გზით თავის ჩამოხრჩობა. დარწმუნებული ვარ, ის სასტიკად ჰყავთ ნაცემი"** , - აცხადებს ეჭვმიტანილის მეუღლე ლია ქათამაძე. მას ეჭვს ისიც უძლიერებს, რომ დაკავებისას მისი ქმარი ნათესავმა შეამჩნია.

**"იმ დღეს ჟუჟუნა ქათამაძემ საღამოს 11 საათზე დაინახა ზურაბი. მისი თქმით, იგი ჭავჭავაძის ქუჩაზე იდგა და პატრულს მშვიდად ელაპარაკებოდა. ჩვენ კი გვიხსნიან, რომ პოლიცია მას დაედევნა და 3 მძარცველიდან მხოლოდ მისი დაჭერა შეძლეს. იგი სარდაფში მიამწყვდიეს. ამით ხსნიან იმ ფაქტს, რომ ზურაბის ქურთუკი და ტანსაცმელი დახეულია და მტვერში ამოსვრილი"**, - ამბობს ლია ქათამაძე.

მკურნალი ექიმის, მაია ქობულაძის განმარტებით, ზურაბ ქათამაძის მდგომარეობა მძიმეა. თუმცა, წნევა ნორმალური აქვს და ამ დროისათვის პაციენტს, დამოუკიდებლად სუნთქვა შეუძლია, მაგრამ მალე იღლება და კვლავ საჭიროებს აპარატით დახმარებას. რაც შეეხება მის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს, ექიმი ამბობს: **"არ მესმის, საიდან გამოვიდა ეს ხმები. ამას არც ერთი რეანიმატოლოგი არ იტყოდა, რადგან პაციენტის მდგომარეობა მოყვანის მომენტიდან კრიზისისკენ არ წასულა. რაც შეეხება პოლიციის მხრიდან, ჩვენზე ექიმებზე ზეწოლას, ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონია. პაციენტის აპარატიდან გამორთვა კი რამდენჯერმე მისივე ახლობლებმა გვთხოვეს. მათ ხელწერილიც კი დაწერეს ამის გამო, მაგრამ ჩვენ ეს არ დავუშვით. პაციენტი სახლში რომ წაეყვანათ, ის აუცილებლად გარდაიცვლებოდა, რადგან სუნთქვა უჭირს, ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია ესაჭიროება. ასევე რამდენჯერმე ვთხოვეთ ყურის ექიმის მოყვანა - პაციენტს ყურიდან სისხლი სდის - მაგრამ ესეც არ გააკეთეს. ეს ყველაფერი ისტორიაში გვაქვს დაფიქსირებული"**.

ავადმყოფის მდგომარეობის შესახებ დაცვის მხარემ ექსპერტი მოიწვია, რომელიც ამ შემთხვევაში იგივე ზურაბ აბაშიძე აღმოჩნდა. პირველ გამოძახებასთან დაკავშირებით აბაშიძე ამბობს, რომ პოლიციამ მართლაც წაიყვანა "გვამის დასათვალიერებლად (თუ გასაკვეთად)", მაგრამ ქათამაძე ცოცხალი აღმოჩნდა. რაც შეეხება ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზებს, საექსპერტო დასკვნა ბოლომდე მომზადებული არ არის. აბაშიძე ამბობს, რომ პაციენტს ჩამოხრჩობის მცდელობის კვალი არ აღენიშნება. **"მას ყელზე არ აღენიშნება ნაჭდევი და საძილე არტერია ისე არა აქვს დაზიანებული, რომ ამას კომატოზური მდგომარეობა გამოეწვია. რადგან ყურში გამონადენი აქვს, მე მოვითხოვე, ყურის ექიმმა შეამოწმოს იგი. ამის შემდეგ დაიწერება დასკვნა"**, - აცხადებს ექსპერტი.

რას შეიძლება ჩაეგდო პატიმარი კომაში? მედიკოსები არაოფიციალურად განმარტავენ, რომ ყურიდან სისხლდენა მხოლოდ 2 შემთხვევაში ფიქსირდება: ან ყურის აპკის გახეთქვის დროს, ან თავის ქალის ფუძის ძვლის გატეხვისას.

ქათამაძის ადვოკატის, ემზარ პაქსაძის განცხადებით, საქმეში ძალიან ბევრი საეჭვო კითხვაა.

**"ეჭვმიტანილი საკანში მთელი ღამის განმავლობაში იმყოფებოდა ვინმე ჩიჩუასთან ერთად. იმ დროს, როცა პოლიციის თქმით, სუიციდის მცდელობას ჰქონდა ადგილი, ჩიჩუა ახალი წაყვანილი ჰყავდათ სასამართლოში, სადაც მას აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდეს და პირდაპირ ციხეში გადაიყვანეს. საინტერესოა, რომ 10 დღეზე მეტი გავიდა მომხდარის შემდეგ და გამოძიებას იგი ჯერაც არ დაუკითხავს"**, - ამბობს ადვოკატი.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

____________________________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**..........................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........................................

**საკონტაქტო ტელეფონი**..........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისის მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (ელდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II". (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ყაზბეგის 45 "სოფმედიის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.72 იურიდიული ოფისი "გაპი".

მიმოხილვა

# გაზსადენის საგარეო პოლიტიკა

პირველი გვერდიდან

თუკი ნავთობის ფასი გაიზრდება და 100 დოლარს მიაღწევს (რაც გაცილებით უფრო რეალური პროგნოზია), მაშინ 2015 წელს რუსეთი ეკონომიკური მოცულობის მონაცემებით გერმანიას გაუტოლდება.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ აქ საუბარია მხოლოდ ნავთობზე და ზემოთ მოყვანილ გათვლებში გათვალისწინებული არაა ბუნებრივი გაზიდან მიღებული შემოსავალი. აქ გათვლები უფრო რთული გასაკეთებელია თუნდაც იმ გარემოების გამო, რომ ბუნებრივ გაზზე მსოფლიო ფასი არ არსებობს, თუმცა მთლიანი სურათი გათვლების გარეშეც ნათელია. ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ბრიტანეთის მსხვილმა ენერგოკომპანიებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს ფასები ბუნებრივ გაზსა და ელექტროენერგიაზე. მაგალითად, „ბრიტიშ გაზმა" 22%-ით გააძვირა ბუნებრივი გაზი და შესაბამისად გააძვირა ელექტროენერგიაც. გაზის მარაგი ჩრდილოეთის ზღვაში თანდათანობით მცირდება და ევროპა ამ მხრივ სულ უფრო და უფრო ხდება დამოკიდებული რუსეთზე. მართალია, მოსკოვის მხრიდან უკრაინისათვის ახალი 2006 წლის ორიგინალური მილოცვის შემდეგ (როცა უკრაინას გაზის მიწოდება შეუწყდა), რუსეთს საგრძნობი კრიტიკა დაატყდა თავს და ევროპაში ხმამაღლა დაიწყეს საუბარი ენერგოგენერაციის ალტერნატიული წყაროების განვითარების აუცილებლობაზე, მაგრამ ცხადია ამგვარი წყაროების განვითარებას დრო ესაჭიროება და იქამდე რუსეთი „შეუცვლელი" ჩანს. სწორედ ამიტომ პრეზიდენტი პუტინი ირონიულად აღიქვამს ხოლმე რუსეთში დემოკრატიის ნორმების დარღვევის გამო დასავლეთში გამოთქმულ კრიტიკას და პასუხად ერთობ ლაკონიურად და შთამბეჭდავად აცხადებს: Тфу на вас.

თუმცა, მუდმივი ამქვეყნად არაფერია და კრემლში კარგად ესმით, რომ ისეთი სკანდალები, როგორსაც 2006 წლის დამდეგს ჰქონდა ადგილი, ცუდად მოქმედებს რუსეთის, როგორც საიმედო ენერგოპარტნიორის რეპუტაციაზე. მითუმეტეს, რომ მოსკოვმა „დიდი რვიანის" თავმჯდომარის რანგში ყურადღება სწორედ ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე გაამახვილა. სწორედ ამიტომ გასულ კვირას თვით პუტინმა „უოლ სტრიტ ჟორნალში" სტატია გამოაქვეყნა, სადაც ისევ და ისევ გლობალური მასშტაბით ენერგეტიკული უსაფრთხოების მექანიზმების შექმნაზე ისაუბრა. იმავე დღეებში რუსეთის პრეზიდენტი უნგრეთსა და ჩეხეთს ეწვია. სწორედ ამ ორმა ქვეყანამ, რომლებიც დღეს ნატოს წევრები არიან, თავის დროზე (1956 და 1968 წლებში) ყველაზე მძიმედ იწვნია კომუნიზმის ტვირთი. სწორედ ეს ორი ქვეყანა ახლა იმითაც გამოირჩევა, რომ ორივე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რუსულ გაზზე. შესაბამისად, პუტინმა ამ ვიზიტების დროსაც გაუსვა ხაზი რუსეთის, როგორც ენერგომომმარაგებლის, საიმედოობას. გარდა ამისა, რუსეთის ოფიციალურ პირებს არ დაუმალავთ, რომ სერიოზულად არიან დაინტერესებულნი ამ ქვეყნების ენერგოსექტორებში ინვესტირებით. ხოლო 1956 და 1968 წლების მოვლენებზე საუბრისას კი (რასაც, ბუნებრივია, ბუდაპეშტსა და პრაღაში ჩასული ვერცერთი რუსი პოლიტიკოსი ვერ ასცდება), პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი საბჭოთა კავშირი არაა (და, შესაბამისად, არც საბჭოთა კავშირის ცოდვები მოეკითხება).

„რუსეთი საბჭოთა კავშირი არაა". თუკი ეს უკანასკნელი კომუნისტურ ზესახელმწიფოს წარმოადგენდა, რუსეთი ენერგეტიკული ზესახელმწიფოს შექმნას ესწრაფვის. ბევრი ცნობილი რუსი პოლიტოლოგი აღნიშნავს, რომ რუსეთს პრაქტიკულად არ გააჩნია მკაფიო საგარეო პოლიტიკა და ეროვნული ინტერესები, რადგან ყველაფერი ეს პრაქტიკულად გაზსადენზეა მიბმული. გაზსადენი განსაზღვრავს რუსეთის საგარეო პოლიტიკას. ეს გასაოცარი პარადოქსია თუკი გავითვალისწინებთ, რომ უკვე რამდენიმე საუკუნეა რუსეთის პოლიტიკური ცნობიერება ერთი მითით საზრდოობს. მითი შემდეგში მდგომარეობს: დასავლეთს რუსეთის ეშინია და აქედან გამომდინარე არ სურს რუსეთის განვითარება და გაძლიერება და ცდილობს რუსეთი ნედლეულის წყაროდ აქციოს. ახლა ისე გამოდის, რომ რუსეთი თავად მიისწრაფის იმ როლისკენ, რომელსაც მას მისი „დაუძინებელი მტერი," დასავლეთი აქამდე თავს ახვევდა.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ რუსი ხალხის ინტერესები იქ მთავრდება, სადაც მთავრდება გაზსადენი? ამაზე პასუხი რომ გავცეთ, უნდა გავიხსენოთ, რომ მოსკოვში ახლახან ჰამასის ლიდერები მიიღეს. ჰამასს კრემლში ტერორისტულ ორგანიზაციად არ სცნობენ, რადგან ეს უკანასკნელი რუსეთის ტერიტორიაზე ტერაქტებს არ აწყობს. ანუ, საერთაშორისო ტერორიზმი რუსეთის საზღვრებთან წყდება.

# ბზარები „აგურში"

„აგური" მალე ყველას დაჩრდილავს, - გაისმის ხოლმე ხშირად. „აგური" გულისხმობს ბრაზილიას, რუსეთს, ინდოეთსა და ჩინეთს (აბრევიატურა - bric, რაც ისევე გამოითქმის როგორც brick - აგური ინგლისურ ენაზე). გასულ კვირას „პრაისუოტერჰაუსმა" გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის მიხედვითაც 2050 წლისათვის ჩინეთის ეკონომიკის მოცულობა გაორმაგდება. ამავე ანგარიშის მიხედვით ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკა ინდოეთს ექნება. ინდოეთიცა და ჩინეთიც უკან ჩამოიტოვებენ იაპონიას.

მაგრამ რამდენად შეიძლება, რომ ერთობლიობაში განვიხილოთ „აგური", რომელმაც შეიძლება დაჩრდილოს ყველა, კერძოდ კი დაჩრდილოს დასავლეთი? „აგურისათვის" ამგვარი როლის მინიჭებაზე 90-იან წლების ბოლოს რუსეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ევგენი პრიმაკოვი ალაპარაკდა, როცა ინდოეთში თავისი ვიზიტისას მსოფლიოს „სამკუთხედის" კონცეფცია გააცნო. ამ კონცეფციის მიხედვით რუსეთს, ჩინეთსა და ინდოეთს ერთობლივად უნდა დაებალანსებინათ აშშ. „სამკუთხედმა" არ იმუშავა, რაც გასაკვირი არ იყო იმის გათვალისწინებით, რომ მასში არც ისე დიდი ჰარმონია სუფევს. თავი რომ დავანებოთ მეზობლობით გამოწვეულ ისტორიულ მეტოქეობასა თუ ტერიტორიულ მთლიანობას, ეს სახელმწიფოები იდეოლოგიურადაც განსხვავებულია. მაგალითად, ინდოეთში დემოკრატიული ინსტიტუტები ერთობ მაღალ დონეზეა განვითარებული (ეს ნიშან-თვისება გამოარჩევს ინგლისის ყველა ყოფილ კოლონიას), რასაც რუსეთსა და ჩინეთზე ვერ ვიტყვით.

ინდოეთი ნამდვილი დემოკრატიაა და სწორედ ამის გათვალისწინებით ვაშინგტონმა გადაწყვიტა მისთვის გამონაკლისი დაუშვას – პრეზიდენტი ბუში დელის ეწვია, სადაც გადაწყდა, რომ აშშ და ინდოეთი ბირთვულ სფეროში ითანამშრომლებენ. გარდა ამისა, ინდოეთი თავად განსაზღვრავს სამოქალაქო თუ სამხედრო სფეროებს მიაკუთვნოს თავისი ბირთვული ობიექტები და მის საომარ ბირთვულ პროგრამებს საერთაშორისო ინსპექცია არ შეეხება. ეს მართლაც რომ მნიშვნელოვანი შემობრუნებაა აშშ-ის პოლიტიკაში, თუკი გავითვალისწინებთ, რომ თავის დროზე ვაშინგტონი სერიოზულად გაალიზიანა ინდოეთში ბირთვული იარაღის შექმნამ. მაგრამ დრო იცვლება: ბირთვულ იარაღზე ბევრი უპასუხისმგებლო სახელმწიფო აცხადებს პრეტენზიას, რომელთა ინდოეთთან შედარებაც უხერხულია; გარდა ამისა, ინდოეთს შეუძლია დიდი მხარდაჭერა აღმოუჩინოს აშშ-ს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში; დაბოლოს, აშშ დაინტერესებულია თანამშრომლობით მსოფლიოს ყველაზე მზარდ ეკონომიკასთან.

გასული საუკუნის დასაწყისში ინდოეთის იმდროინდელ მეფისნაცვალს ლორდ კერზონს (მომავალში ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს) უთქვამს: „თუკი ჩვენ დავკარგავთ ინდოეთს, ჩვენ ყველაფერს დავკარგავთ. ინგლისი მესამეხარისხოვან სახელმწიფოდ იქცევა." რამდენიმე ათწლეულში ლონდონმა ინდოეთი დაკარგა და ბრიტანეთის იმპერიის მზეც ჩაესვენა. დღესდღეობით მსოფლიოს ყურადღება ძირითადად ჩინეთზეა მიპყრობილი, ხოლო ინდოეთზე რატომღაც ნაკლები აქცენტი კეთდება. ესეც ალბათ იმითაა გამოწვეული, რომ ინდოეთი დემოკრატიაა და მისი გაძლიერება არავის აშინებს, მაშინ როცა ჩინეთიდან მომავალი ყოველი ცნობა განსაკუთრებული ანალიზის საფუძველი ხდება. მაგალითად, გასულ კვირას პეკინმა სამხედრო ბიუჯეტის 14.7%-ით გაზრდის თაობაზე განაცხადა. ჩინეთის არმია 2,5 მილიონ კაცს ითვლის და სამხედრო ბიუჯეტი 90-ანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული ისედაც გაორმაგდა. ამიტომ ყოველი ასეთი ზრდა დიდ შეშფოთებას იწვევს ჩინეთის მეზობლებში (უპირველესად კი იაპონიაში) და, რასაკვირველია, ტაივანში. თუმცა, პეკინმა დასძინა, რომ ეს ზრდა უპირველესად სამხედრო მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზეა მიმართული და არა შეიარაღებაზე. ბიუჯეტის ზრდას დაემთხვა ტაივანში ე.წ. ეროვნული გაერთიანების საბჭოს გაუქმება, რასაც ჩინეთის ხელმძღვანელობამ „პროვოკაცია" უწოდა. მართალია, ამ საბჭოს მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მისმა გაუქმებამ კიდევ ერთხელ მიანიშნა პეკინს იმაზე, რომ ტაივანის ჩინეთთან გაერთიანება არც ისე ახლო პერსპექტივაა.

გასულ კვირას ჩინეთს ეკონომიკურ ფრონტზეც მოუხდა ბრძოლა. ევროკავშირმა ჩინურ ფეხსაცმელს დამატებითი ბაჟი დაადო. აპრილიდან მოყოლებული ჩინური ფეხსაცმლის იმპორტი 19,4%-ით დაიბეგრება. პეკინმა ძველი კონტინენტი პროტექციონიზმში დაადანაშაულა, რასაც ევროკავშირი, ცხადია, უარყოფს და ჩინეთს აქეთ ადანაშაულებს დემპინგში. 2005 წელს ევროპაში ჩინური ფეხსაცმლის იმპორტის მოცულობა 320%-ით გაიზარდა და თუკი ასე გაგრძელდა, ძველ კონტინენტს ჩინეთთან ისეთივე უარყოფითი სავაჭრო ბალანსი შეექმნება, როგორიც უკვე შეექმნა აშშ-ს (201,6 მლრდ დოლარი 2005 წლის შედეგებით). ჩინეთის წარმომადგენლები ევროკავშირის გადაწყვეტილებით გამოწვეულ აღშფოთებას ვერ მალავდნენ. მათი თქმით, ჩინეთის მიერ ფეხსაცმლის დემპინგზე საუბარი გამორიცხულია, რადგან მრეწველობის ეს დარგი 98%-ით კერძო სექტორის ხელშია და ჩინური ფეხსაცმლის დაბალი ფასები მხოლოდ შედარებითი უპირატესობითაა განპირობებული, რომელიც ჩინეთს ამ დარგში გააჩნია. შედარებითი უპირატესობა უპირველესად იაფ მუშახელში მდგომარეობს.

ასეთ ვითარებაში ინდოეთის გასაოცარი ეკონომიკური აღმავლობა თითქოსდა ყურადღების მიღმა რჩება. არადა, ბევრი ეკონომისტის აზრით, ინდოეთს ჩინეთთან შედარებით მრავალი უპირატესობა აქვს. ერთ-ერთი ასეთი უპირატესობა დემოკრატიაა, რომლის წყალობითაც ინდოეთში გაცილებით უფრო თავისუფალ კონკურენციას აქვს ადგილი. აქ გამორიცხულია, რომ სახელმწიფო რომელიმე კერძო კომპანიის საქმეებში ჩაერიოს, როგორც ეს ჩინეთში ხდება ხოლმე. აქაური ეკონომიკა ჩინეთისგან განსხვავებით ნაკლებადაა დამოკიდებული უცხოურ ინვესტიციებზე და შედეგად, თუკი ჩინეთი უფრო მაინც უცხოური კომპანიების მარკებზე მუშაობს, ინდოეთმა საკუთარი მარკები განავითარა.

მიმდინარე წლის დასაწყისში იგივე ევროპამ ინდოეთისთვისაც „მოიცალა." ინდურმა მეტალურგიულმა გიგანტმა „მიტალ სტილმა" (სწორედ იმან, რომელმაც შარშან 5 მლრდ დოლარის სანაცვლოდ რუსულ კომპანიებს უკრაინული „კრივოროჟსტალი" ააცალა) იანვარში ფრანგულ-ესპანურ-ლუქსემბურგული „არსელორის" შესყიდვის სურვილი გამოთქვა, რასაც ძველ კონტინენტზე მეტად უარყოფითი და მძაფრი რეაქცია მოჰყვა. „მიტალ სტილის" მეპატრონემ, მსოფლიოს ერთ-ერთმა უმდიდრესმა ადამიანმა ლაკშმი მიტალმა „მწუხარება" გამოთქვა იმ „რასისტული" გამონათქვამების გამო, რომლებითაც ევროპა მის წინადადებას შეხვდა. მიტალის თქმით, ჩინეთისათვის კონკურენციის გასაწევად ევროპას უფრო ძლიერი მეტალურგიული სექტორი სჭირდება, მაგრამ ევროპელ პოლიტიკოსებს მან ეს ვერაფრით შეაგნებინა.

სამაგიეროდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვაშინგტონმა ლორდ კერზონის დარად ჯეროვნად დააფასა ინდოეთის პოტენციალი და ეს დაფასება ალბათ უპასუხოდ არ დარჩება.




მოკლედ

## „სამშობლოს" გაყიდვის მორიგი მცდელობა

დღეს ეკონომიკის სამინისტროში გამომცემლობა „სამშობლოს" აუქციონი გაიმართება. გამომცემლობის შენობაში განთავსებული მედიასაშუალებების წარმომადგენლები დღესვე, აუქციონამდე 1 საათით ადრე, ეკონომიკის სამინისტროს წინ აქციას გამართავენ.

ტელეკომპანია „კავკასიის" ხელმძღვანელი ნინო ჯანგირაშვილი აცხადებს, რომ განაცხადების მიღება ხვალ, 17 საათზე მთავრდება. ამასთან, მისივე ინფორმაციით, ჯერჯერობით, შენობას შესყიდვის მსურველი არ ჰყავს.

**„ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ინფორმაციას გვიმალავდნენ. თუმცა ეს ინფორმაცია გასაიდუმლოებული არ უნდა იყოს. გასაიდუმლოებას მხოლოდ მყიდველის ვინაობა ექვემდებარება,"** – აცხადებს ჯანგირაშვილი.

გამომცემლობა „სამშობლოს" აუქციონი 3 მარტს იყო დანიშნული. არასამუშაო დღის მიზეზით ის 6 მარტამდე გადაიდო. **„თუმცა 3 მარტი დასვენების დღე რომ იყო, მთავრობამ ეს იცოდა. არ გამოვრიცხავ, აუქციონი ისევ გადაიდოს, ან საერთოდ ჩაიშალოს,"** - აცხადებს ჯანგირაშვილი.

შეგახსენებთ, რომ „სამშობლოს" საწყისი გასაყიდი ფასი 20 მილიონი დოლარია. როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განაცხადეს, „სამშობლოს" პრივატიზაციის მიზნით განაცხადების მიღება დღეს აუქციონამდე გაგრძელდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კიდევ ერთი რუსული ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია აფხაზეთში

26 თებერვლიდან, აფხაზეთის ტელევიზიით რუსული ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „მეგაფონის" სარეკლამო რგოლი გადის. ამ სარეკლამო რგოლის გამოჩენის შემდეგ, კომპანიის სოხუმის ოფისთან ამ იაფფასიანი მობილური კავშირგაბმულობის ქსელში ჩასართავად აფხაზი მოსახლეობის რიგი დადგა.

რუსული მედიის ცნობით, უკვე ერთი წელია, რაც აფხაზეთის ხელისუფლება და საზოგადოება სეპარატისტულ რესპუბლიკაში კომპანია „მეგაფონის" ამოქმედებას მოელის, რადგან მანამდე მონოპოლისტ ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიას „აკვაფონი" წარმოადგენდა.

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხია მოითხოვს სახელმწიფო კომისიის შექმნას, რომელიც აფხაზეთში რუსეთის სახელმწიფო და კერძო კომპანიების, მათ შორის, ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიების უკანონო საქმიანობას შეისწავლის. საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე დიმიტრი ქიტოშვილი აცხადებს, რომ აფხაზეთში რუსული ფიჭური კომპანიების უკანონო საქმიანობის გამო საქართველოს ბიუჯეტი ყოველწლიურად 15 მილიონი დოლარით ზარალდება. თავად ფიჭური კომპანიების ხელმძღვანელები აფხაზეთში საქმიანობას უარყოფენ.

პარლამენტის კომისიის თავმჯდომარის შოთა მალაშხიას თქმით, რუსების საქმიანობის გამო საერთო საკითხების ამსახველი სარჩელი უნდა მომზადდეს, რომელიც სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლოს უნდა გადაეგზავნოს. მალაშხიას ინფორმაციით, მორალური ზიანის გარდა, რუსულმა მხარემ აფხაზეთში გატარებული პოლიტიკის შედეგად საქართველოს ბიუჯეტი 15 მილიარდი დოლარით აზარალა. **მედიანიუსი**

## ტენდერი ავტომაგისტრალის მშენებლობისთვის

დღეს ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილე ორგანიზაციები საავტომობილო გზების დეპარტამენტში სატენდერო წინადადებებსა და შესასრულებელი სამუშაოს ღირებულებას წარადგენენ. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, სამ ლოტად დაყოფილი თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 15,8 კმ-იანი მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის (ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის) სამუშაოს ჩასატარებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები ტენდერის პირველ ეტაპზე ხუთმა ორგანიზაციამ დააკმაყოფილა.

როგორც დეპარტამენტში აცხადებენ, შესაბამისი საექსპერტო კომისია წარმოდგენილ დალუქულ პაკეტებს განიხილავს და გამარჯვებულ ორგანიზაციას უახლოეს დღეებში გამოავლენს. აღნიშნულ ობიექტზე სამშენებლო სამუშაო მარტში დაიწყება და სექტემბერის ბოლოს დასრულდება.

შეგახსენებთ, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა საერთაშორისო ტენდერი თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 15,8 კმ-იანი მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის მიზნით მიმდინარე წლის 9 იანვარს გამოაცხადა.

სატენდერო კომისიამ წარმოდგენილი სატენდერო პაკეტები 14 თებერვალს განიხილა და ტენდერის მეორე ეტაპში მონაწილეობის მისაღებად 12 პრეტენდენტი შეარჩია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## იყიდება „ძამჰესი"

ქარელის რაიონში სოფელ კეხიჯვარში მდებარე „ძამჰესი" და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი 17 000 დოლარად იყიდება. ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მისი პრივატიზაციის მიზნით განაცხადების მიღება გამოაცხადა. განაცხადების მიღება დღეიდან დაიწყება და 4 აპრილის 17 საათამდე გასტანს. აუქციონი კი 5 აპრილს, 12 საათზე, ქარელში, ნინოშვილის N3-ში გაიმართება.

დღესვე დაიწყება განაცხადების მიღება შს სამინისტროს ბალანსზე რიცხული ხის დამამუშავებელი საამქროს პრივატიზაციის მიზნით, რომელიც თბილისში, სარაჯიშვილის N 116-ში მდებარეობს. მისი საწყისი გასაყიდი ფასი 32 000 დოლარია. აღნიშნული ობიექტის აუქციონი ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 6 აპრილს, 18 საათზე გაიმართება.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ასევე ყიდის თბილისში, უშანგი ჩხეიძის N20-ში მდებარე შპს „პოლმედსერვისს", რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 50 000 დოლარია. აღნიშნული ობიექტის პრივატიზაციის მიზნით, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განაცხადების მიღება ხვალიდან დაიწყება და 6 აპრილის 17 საათამდე გაგრძელდება, აუქციონი კი ამავე დღეს, 18 საათზე გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ზვავსაშიშროება მოიხსნა

გუდაური-კობის მონაკვეთზე ზვავსაშიშროება მოიხსნა, თუმცა ამჟამად იქ ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტში განაცხადეს. ამჟამად გზის სავალი ნაწილის თოვლისგან გასაწმენდი სამუშაოები მიმდინარეობს.

**„სამუშაო ინტენსიურად ხორციელდება. გზის აღნიშნულ მონაკვეთზე ჩამოსულია რამდენიმე ზვავი. რა დრო დასჭირდება გზის გაწმენდას, წინასწარ თქმა ძნელია,"** - განაცხადეს საავტომობილო გზების დეპარტამენტში. **ჯი-ეიჩ-ენი**

## რუსები საბანკო კრიზისს წინასწარმეტყველებენ

რუსეთის ბანკი საბანკო სისტემაში კრიზისს წინასწარმეტყველებს. მიზეზად დაკრედიტების მოცულობა სახელდება. ამის შესახებ რუსეთის ბანკის ხელმძღვანელის მოადგილემ ანდრეი კოზლოვმა განაცხადა.

ეს არ არის ეროვნული ბანკების ერთადერთი პრობლემა. რუსეთის მრეწველობისა და მეწარმეთა კავშირის პრეზიდენტმა ალექსანდრ შოხინმა ლიკვიდურობის კრიზისზეც ისაუბრა, რომელსაც ბანკირები 2009 წელს შეეჯახებიან. **„საბანკო სისტემაში ყველაზე შესამჩნევი პრობლემა - ბალანსზე ეკონომიკური რისკების მუდმივი დაგროვებაა,"** - განაცხადა კოზლოვმა.

ცენტრალური ბანკის უფროსის მოადგილის თქმით, სანამ ეკონომიკა პატარა იყო, პრობლემები საბანკო სექტორში არ შეიმჩნეოდა. მაგრამ ეკონომიკაში საბანკო სისტემის როლის, დარგებისა და კერძო პირების დაკრედიტების მოცულობის ზრდა ითხოვს ბანკების რისკ-მენეჯმენტის როლისა და ფუნქციების ზრდას. მისივე განმარტებით, რისკების მართვის ამოცანა სტანდარტულია ნებისმიერი საბანკო სიტემისთვის და რუსეთის ბანკი მზად არის, მეთოდურად დაეხმაროს ბანკებს ამ სამუშაოს შესრულებაში.

რუსეთის მრეწველობისა და მეწარმეთა კავშირის პრეზიდენტმა ალექსანდრ შოხინმა რუსეთის საბანკო სისტემის დღევანდელი მდგომარეობის გამო შეშფოთება გამოთქვა. **„მიუხედავად იმისა, რომ საბანკო სისტემამ 2004 წლის კრიზისს სწრაფად დააღწია თავი და პოზიციებიც გაიმაგრა, ამჟამად ბანკების ლიკვიდურობის ძირითადი მაჩვენებლები უარესდება. თუ აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნდა, ბანკები ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან,"** - განაცხადა მან.

რუსეთის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელის აზრით, ბანკებმა, შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, ბანკთაშორის კრედიტებზე პროცენტები უნდა გაზარდონ. **„ბევრი ანალიტიკოსი 2009 წელს შესაძლო სანაბკო კრიზისზე შემთხვევით არ საუბრობს. ეს არის პარადოქსი, როდესაც ინფლაცია ქვევით იწევს, ხოლო საპროცენტო განაკვეთები არ მცირდება, უფრო მეტიც, იზრდება,"** - განაცხადა შოხინმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

ფეხბურთი

# ამბროზიომ „ჰეთ თრიკით" დაიწყო

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-17 ტური, ერთი შეხედვით, არაფრით იყო გამორჩეული. სატურნირო ცხრილში დაწინაურებულმა სამეულმა მორიგი გამარჯვებები მიითვალა და წინ წაიწია. თუმცა, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, რეალურად კი ჩემპიონობისთვის მებრძოლი ტრიოდან სამი ქულა შედარებით უზრუნველად მხოლოდ "სიონმა" მიითვალა, "ვიტ ჯორჯიას" და "დინამოს" კი დიდი ბრძოლის გადატანა მოუწიათ.

ეს განსაკუთრებით "დინამოზე" ითქმის, რომელიც დედაქალაქურ "დერბიში" გამოკვეთილ აუტსაიდერს, ხუთიოდე ქულის პატრონ "თბილისს" სტუმრობდა ავლაბარში. თითქოს, ეს მატჩი მთელი რიგი მიზეზების გამო საქართველოს ჩემპიონისთვის იოლი გასეირნება უნდა გამომდგარიყო. ჯერ ერთი, გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი, რუსი სპეციალისტი ანდრეი ჩერნიშოვი ავარჯიშებს. ამას გარდა ზამთრის არდადეგებზე გუნდმა რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი დაიმატა და საგრძნობლად მოღონიერდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ახალწვეულთა შორის ორი ბრაზილიელი ფეხბურთელია – ამბროზიო და ვიეირა, რომლებსაც ზურგს უმაგრებთ ბრაზილიის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის გამოცდილება. ასევე უნდა ითქვას, რომ "დინამოს" დაუბრუნდა ექსკაპიტანი და ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი, ამჟამად კი წევრობის კანდიდატი, გიორგი შაშიაშვილი. ასევე კარგი შენაძენია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი ანზორ კალაძეც.

ბევრი მოელოდა, რომ ეს ოთხეული "თბილისთან" მატჩში ძირითად შემადგენლობაში მოხვდებოდა, მაგრამ ჩერნიშოვმა სხვაგვარად განსაჯა და სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ ვიეირა გაამწესა.

დებიუტი თითქმის შოკური გამოდგა "დინამოსა" და მისი რუსული მწვრთნელთა შტაბისთვის: პირველივე წუთზე კვარაცხელიამ ისარგებლა სტუმართა დაცვის შეცდომით და ანგარიში გახსნა. "დინამო" ასეთ დასაწყისს ნამდვილად არ ელოდა და ერთგვარად დაიბნა კიდეც. მართალია, თუნდაც უკეთესი კომპლექტაციიდან გამომდინარე, სათამაშო უპირატესობას დინამოელები ფლობდნენ, მაგრამ საქმე რეალურ საგოლე მომენტამდე არ მიდიოდა. პირიქით: რამდენიმე ეპიზოდში მასპინძლებმა მწვავე კონტრიერიში განახორციელეს და ერთერთი, კერძოდ კი, 30-ე წუთზე განხორციელებული სწრაფი შეტევა ბერიძის ზუსტი დარტყმით დამთავრდა. პირველი ტაიმი ასეც დასრულდა: 2:0 მასპინძელთა სასარგებლოდ.

"დინამოს" გადამრჩენად და მატჩის გმირად შეცვლაზე შემოსული მეორე ბრაზილიელი ამბროზიო იქცა. ამ ფეხბურთელმა შეხვედრის მეორე ნახევრისთვის განკუთვნილი 45 წუთი სრულიად იკმარა იმისათვის, რომ მარტოს გადაეწყვიტა მატჩის ბედი. მე-60, 70-ე და 85-ე წუთებზე ამბროზიომ სამი გოლი გაიტანა, თავის პირველივე შეხვედრაში "ჰეთ თრიკი" შეასრულა და ახალი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი სამი ქულის მოტანასთან ერთად, დარწმუნებული ვარ, მყარად დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში.



ჩერნიშოვს ბრაზილიელებმა გაუმართლეს.

აღსანიშნავია, რომ ჩერნიშოვის ხელმძღვანელობით ეს "დინამოს" მიერ ჩატარებული მეორე ოფიციალური თამაშია. პირველი შეხვედრა "დინამომ" 22 თებერვალს, აუტსაიდერთა ჯგუფის კიდევ ერთ წარმომადგენელთან, "კახეთთან" გამართა, თან საკუთარ არენაზე. იმ მატჩშიც საქართველოს ჩემპიონმა სულ ბოლო წუთებში, კერძოდ კი, 86-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით გაიმარჯვა, თანაც, ის ბურთი სტუმარმა ფეხბურთელებმა ჩაჭრეს საკუთარ კარში. როგორც ხედავთ, "დინამოს" მეორე წრეში საკმაოდ მძიმე სტარტი აქვს. იმედია, ახალი მწვრთნელი თანდათან აუღებს ალღოს ქართულ რეალობას და ვითარებას მალევე გამოასწორებს.

ასევე გაუჭირდა გამარჯვების მოპოვება სატურნირო ცხრილში დაწინაურებულ "ვიტ ჯორჯიას". ვიტელებმა ზამთრის სატრანსფერო "ფანჯარაზე" საუკეთესო გოლეადორი და საქართველოს ნაკრებში გამოძახებული ოთარ მარცვალაძე კიევის "დინამოს" მიყიდეს, რაც ამ გუნდის შედეგიანობაზე წინა ტურშივე აისახა. აუტსაიდერ სოხუმის "დინამოსთან" შეხვედრაში ვეტერინარებმა ერთადერთი გოლი გაიტანეს (ფეიქრიშვილი, 12`), თუმცა, დაგეგმილი სამი ქულა მაინც მიითვალეს და კვლავაც ლიდერობენ.

ლიდერთაგან შედარებით იოლად ბოლნისის "სიონმა" მოიგო. კახა ცხადაძის გუნდმა სტუმრად, გორის "დილასთან" შეხვედრაში ალავიძის ზუსტი დარტყმის წყალობით უკვე მეორე წუთზე გახსნა ანგარიში. 62-ე წუთზე კი ბოლნისელთა ერთ-ერთმა საკვანძო ფეხბურთელმა, მიკუჩაძემ მეორედ აიღო "დილას" კარი და თავის გუნდს სოლიდური ანგარიშით გაამარჯვებინა.

ტურის ერთერთი ცენტრალური შეხვედრა ფაიმართა ზესტაფონში, სადაც ადგილობრივმა "ზესტაფონმა" თბილისის "ამერს" უმასპინძლა. ეს ორივე გუნდი უეფას ზონაში ადგილის მოპოვებისთვის იბრძვის და საკმაო წარმატებითაც. ამ თვალსაზრისით, გუნდები ერთმანეთის კონკურენტები არიან. თამაშამდე "ამერი" "ზესტაფონს" სულ ორი ქულით უსწრებდა და მეხუთე პოზიციაზე იყო დამკვიდრებული. თამაში ძალზე დაძაბული გამოდგა და აქაც 3 ქულის ბედი ერთადერთმა, თანაც შეხვედრის მიწურულს გასულმა გოლმა გადაწყვიტა. ზესტაფონელი გულშემატკივრების გასახარად, ეს გოლი მასპინძლებმა გაიტანეს (ღონღაძე. 96`), კონკურენტს ქულით გადაუსწრეს და სატურნირო ცხრილშიც ერთი პოზიციით აინაცვლეს.

**მე-17 ტური**

| | |
|---|---|
| დინამო (ბთ) – სპარტაკი | 5:0 |
| ლოკომოტივი – ტორპედო | 2:3 |
| თბილისი – დინამო (თბ) | 2:3 |
| სოხუმი – ვიტ ჯორჯია | 9:1 |
| დილა – სიონი | 0:2 |
| კახეთი – ცხინვალი | 4:0 |
| კოლხეთი – ბორჯომი | 0:0 |
| ზესტაფონი – ამერი | 1:0 |

**სატურნირო მდგომარეობა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 17 | 13 | 3 | 1 | 36-10 | 42 |
| სიონი | 17 | 13 | 2 | 2 | 34-12 | 41 |
| დინამო (თბ) | 17 | 12 | 2 | 3 | 29-9 | 38 |
| ლოკომოტივი | 17 | 10 | 3 | 4 | 18-13 | 33 |
| ზესტაფონი | 17 | 10 | 3 | 4 | 21-12 | 33 |
| ამერი | 17 | 10 | 2 | 5 | 20-11 | 32 |
| ბორჯომი | 17 | 10 | 1 | 6 | 29-16 | 31 |
| დინამო (ბთ) | 17 | 8 | 4 | 5 | 19-12 | 28 |
| კოლხეთი | 17 | 7 | 2 | 8 | 16-20 | 23 |
| კახეთი | 17 | 6 | 1 | 10 | 18-26 | 19 |
| დილა | 17 | 5 | 1 | 11 | 21-26 | 16 |
| ტორპედო | 17 | 4 | 4 | 9 | 14-24 | 16 |
| ცხინვალი | 17 | 4 | 3 | 10 | 14-33 | 15 |
| დინამო (სხ) | 17 | 3 | 1 | 13 | 17-41 | 10 |
| სპარტაკი | 17 | 2 | 2 | 13 | 4-33 | 8 |
| თბილისი | 17 | 1 | 2 | 14 | 12-34 | 5 |

ფორმულა 1

# „ფერარისთვის" იმედგაცრუება წარსულია



მიხაელი 248 F1-ს ლიდერთა შორის ხედავს.

*12 მარტი ის დღეა, რომელსაც სამეფო რბოლათა გულშემატკივრები მოუთმენლად ელიან. რამდენიმე დღეც და სტარტს აიღებს ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატი. სეზონათაშორის მზადების ეტაპი ფაქტობრივად დასრულებულია. რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში კვლავაც ის საჯინიბოები იქნებიან, რომლებსაც აქამდე ტიტულები მოუხვეჭავთ ან მასთან ახლოს ყოფილან. "ფერარი" კი ის გუნდია, რომელსაც ყურადღება არასდროს მოჰკლებია. ნათელია, რომ სკუდერიელთა გუნდი ახალი ჩემპიონატის მთავარი მამოძრავებელი ძალა იქნება. რა თქმა უნდა, იმ გუნდებთან ერთად, რომლებმაც შარშან ძალა მოიკრიბეს და "წითელი ბარონი" სამეფო ტახტიდან ჩამოაგდეს.*

გიგა გურასაშვილი

შუმის მენეჯერი ვილი ვებერი ამბობს, რომ თუ მისი ქვეშევრდომი კარიერის გაგრძელებას გადაწყვეტს, ნაკლებ სავარაუდოა, გუნდი გამოიცვალოს. მიხაელის ამასწინანდელი განცხადების მიუხედავად, თითქოს არსებობს ერთი პროცენტი იმისა, რომ შეიძლება სხვა საჯინიბოში გადავიდეს, ვებერი ამბობს, რომ შუმისთვის "ფერარი" უბრალოდ გუნდი კი არაა, არამედ ოჯახი.

"ჩვენ აქ კარგი მეგობრები გვყავს და მათთან გვსიამოვნებს. სერიოზული მიზეზები უნდა გვქონდეს საიმისოდ, რომ გუნდი შევიცვალოთ, - ვითარებაში გვარკვევს ვებერი და დასძენ. – გავრცელებული ხმების მიხედვით "რედ ბული", "მაკლარენ-მერსედესი" და "ტოიოტა" ის გუნდებია, რომლებსაც შეუძლიათ მიხაელთან მოლაპარაკებები აწარმოონ. გაგვიმართლა, რომ გუნდის არჩევა შეგვიძლია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ უკვე ვმუშაობთ საუკეთესო გუნდთან".

რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატს, ამის თაობაზე მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიიჩნევს, რომ მისი გუნდი იმ საჯინიბოთა – მოქმედი ჩემპიონი "რენო", "ჰონდასა" და "მაკლარენ-მერსედესს" შორის იქნება, რომლებიც ერთმანეთს მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინისთვის შეეცილებიან.

"მგონია, რომ სამ ან ოთხ გუნდს შორის ძალზე მჭიდრო ბრძოლები წარიმართება. არც ოპტიმიზმის ნაკლებობას ვუჩივი და ვთვლი, რომ "რენოსა" და "ჰონდას" შორის ტიტულის პრეტენდენტები ჩვენც ვიქნებით".

37 წლის გერმანელი მრბოლი ახალ სეზონს იმ იმედით იწყებს, რომ 2005 წლის სეზონში განცდილ მარცხსა და იმედგაცრუებას წარსულში დატოვებს. მოგეხსენებათ, სკუდერიელებმა მხოლოდ რამდენიმე რბოლაში შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა. მიხაელმა ერთადერთი ინდიანაპოლისური რბოლა მოიგო და ისიც იმიტომ, რომ "აშშ-ის დიდ პრიზზე" მონაწილეობდა სამი საჯინიბო და ექვსი ბოლიდი. ამიტომაც იყო, რომ ინდიანაპოლისური რბოლები უმაღლ ფარსად მოინათლა.

ერთი სიტყვით, მიხაელი დარწმუნებულია, რომ სეზონის წინა ტესტირებებზე "ფერარის" ახალი მანქანა - 248 F1 ლიდერებს შორის მოხვდება.

ახალი სეზონის ბოლოს გერმანელის სამეფო რბოლებიდან წასვლა-არწასვლის თაობაზე გავრცელებული ხმების მიუხედავად, შუმი აცხადებს, რომ მასში კვლავინდებურადაა რბოლებისადმი ლტოლვა.

"შარშანდელი სეზონისგან განსხვავებით ყველაფერი სხვაგვარადაა. ახლა ბევრად მეტია მოტივაცია და სიხარული. როდესაც ამ მანქანასთან მუშაობ, ხედავ, რომ შესაძლოა, იბრძოლო".

იტალიური საჯინიბოს თემას ამით არ ამოვწურავთ და ორიოდე სიტყვით მაკლარენელი კიმი რაიკონენის თაობაზეც ვიტყვით, რომელმაც უარყო ჭორები, რომლის თანახმადაც ფინელმა მრბოლმა "ფერარისთან" 2007 წლიდან თანამშრომლობაზე მოაწერა ხელი.

ფინური, ესპანური და გერმანული გამოცემები ერთხმად გვარწმუნებდნენ იმაში, რომ ახლა, როდესაც რაიკონენმა სკუდერიასთან მოაწერა ხელი, უდავოა, წლის ბოლოს მაკლარენს დატოვებსო, ფინელმა კი... "ფერარის" მესაჭე არ ვარ - ჯერ არაო".

დაბოლოს, რაც უფრო საინტერესოა, რაიკონენმა უარყო ისიც, თითქოს ყველაფერი მას შემდეგ გაირკვევა, როდესაც მიხაელ შუმახერი "ფერარიში" საკუთარ კარიერასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას შუა სეზონში მიიღებს.

"ის, რასაც მიხაელი აკეთებს ჩემს მომავალთან არანაირი კავშირი არ აქვს", - მოკლედ მოჭრა რაიკონენმა.

# კლინსმანი ბუნდესტაგში

გერმანელი პარლამენტარები გააოგნა გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრების მარცხმა იტალიაში - 1:4 და ისინი აპირებენ პასუხი მოსთხოვონ ეროვნული ნაკრების მწვრთნელ იურგენ კლინსმანს. ისინი აპირებენ კლინსმანი ბუნდესტაგში დაიბარონ და ჰკითხონ, როგორ აპირებს ის მსოფლიო ჩემპიონატის მოგებას, რომელიც ზაფხულში გერმანიის სტადიონებზე გაიმართება. რა გეგმები აქვს გერმანელთა მთავარი გუნდის მოძღვარს.

საქმე ის არის, რომ იტალიაში კატასტროფული მარცხის შემდეგ ბევრი ფეხბურთის მოყვარული გერმანელი სვამს კითხვას - მზად არის გერმანიის ნაკრები წარმატებით ითამაშოს მშობლიურ სტადიონებზე?

რა თქმა უნდა, განზე არც გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატები დარჩნენ. როგორც მმართველი პარტიას, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებს ერთნაირად სურთ გერმანიის ნაკრებმა შინ მსოფლიო ჩემპიონატი მოიგოს და გერმანიას დაუბრუნოს ყოფილი დიდება, რომელიც გუნდმა კარგა ხანია დაკარგა.

„კარგი იქნებოდა, თუ კლინსმანი ბუნდესტაგის სპორტის კომიტეტის წინაშე წარდგება და აუხსნის, როგორია მისი გეგმები, როგორ აპირებს ის მსოფლიო ჩემპიონატის მოგებას - გაზეთ „ბილდს" განუცხადა ბუნდესტაგში ქრისტიან-სოციალისტური კავშირის წარმომადგენელმა ნორბერტ ბარტემ - იტალიასთან მატჩი საშინელება იყო და ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, კიდევ რისი გამოსწორება შეგვიძლია ზაფხულამდე. ფედერალური მთავრობა მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე მსხვილი სპონსორია. ამის გამო, მსურს კლინსმანისგან ზოგიერთი პასუხი გავიგო".

„მინდა გავიგო მწვრთნელისგან, როგორ გეგმავს ის შექმნას მყარი საფუძველი თავისი გუნდის თამაშისთვის. კლინსმანის განკარგულებაში კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ ბევრი რამ არ არის განსაზღვრული. მან გარკვევით უნდა ისაუბროს იმაზე, თუ რომელ ფეხბურთელებს დაეყრდნობა" - განაცხადა დეპუტატმა სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან რეინჰოლდ ჰემკერმა, რომელიც ბუნდესტაგში სპორტის კომიტეტის წევრია.



ბუნდესტაგის დეპუტატები კლინსმანისგან ახსნა-განმარტებას მოელიან.

კომიტეტიდან მისი კოლეგა, ოპოზიციური დეპუტატი, თავისუფალი დემოკრატიული პარტიიდან მირიამ გრუსი იზიარებს კოლეგების მიერ გამოთქმულ პრეტენზიებს: „ეროვნული ინტერესები მსოფლიო ჩემპიონატს ვერ გაემიჯნება. კლინსმანმა ექსპერიმენტები უნდა შეწყვიტოს და თავისი გეგმების შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდოს" - ამბობს მირიამ გრუსი.

ჩოგბურთი

# ფედერერი - ნადალი

## მოსალოდნელი ფინალის მოულოდნელი შედეგი

მამუკა ხოშტარია

დუბაი. ფინალი. საჩოგბურთო სამყაროს ორი უკაშკაშესი ვარსკვლავი, ძალიან ახალგაზრდა ნადალი, ასევე ახალგაზრდა, მაგრამ უკვე უგვირგვინო მეფის სტატუსის მქონე როჯერ ფედერერის წინააღმდეგ: სანახაობა გარანტირებულია!

შეხვედრის წინ ყველა სპეციალისტი ფავორიტად ფედერერს მიიჩნევდა. დუბაიში ჰარდ კორტია და ამ საფარზე შვეიცარიელის დამარცხება თითქმის შეუძლებლად ითვლებოდა და ამას თუ ესპანელი მოახერხებდა, საერთოდ ვერავინ იფიქრებდა. ესპანურ სკოლაგამოვლილი ჩოგბურთელები ძირითადად გრუნტზე კარგი თამაშით არიან ცნობილი. ნადალი ამ სკოლის ტიპური წარმომადგენელი ნამდვილად არ არის, მაგრამ სწრაფ კორტებზე კარგი თამაშით მაინდამაინც არც ის გამოირჩეოდა. პირველი სეტი ფედერერმა საკმაოდ ადვილად მოიგო, მაგრამ შემდეგ ნადალმა შეხვედრაში გარდატეხა შეიტანა და ორი სეტი ყველასათვის მოულოდნელად და, რაც მთავარია, ადვილად მოიგო, რითიც საპრიზო თანხა და წელს პირველი ტიტული მოიპოვა. საბოლოო ანგარიში: 2:6 6:4 6:4



ნადალმა ფედერერი დაამარცხა.

მატჩის შემდეგ ნადალი ტიროდა, ფედერერმა კორტი სწრაფი ნაბიჯით დატოვა... მეფე წავიდა... გაუმარჯოს მტირალა მეფეს!

თვალსაზრისი

# საქართველო

## ტრადიციულად სუვერენული ენობრივ-კულტურული ადგილი მსოფლიო ისტორიაში

*გასული წლის ბოლოს ცალკე წიგნად გამოიცა პროფ. აპოლონ სილაგაძის ნაშრომი „ქართული სახელმწიფოებრიობის კონცეფციის ისტორიიდან (გიორგი მერჩულის ფორმულა. არაბები. ბიზანტია. ზოგი რამ თანამედროვეობიდან)“.*
*ნაშრომში გაანალიზებულია ზოგიერთი საკითხი, დაკავშირებული ჩვენი ისტორიის საეტაპო, მეათე საუკუნის მოვლენასთან – ახალი საქართველოს, გაერთიანებული ქართული მონარქიის შექმნასთან. დიდი ადგილი ეთმობა ჩვენს სინამდვილეში შუა საუკუნეებში გამომუშავებულ კონცეფციას ქართული სახელმწიფოებრიობისა, კერძოდ იმ თეორიული ფორმულის გაშიფრვას, რომელიც, ერთი მხრივ, განსაზღვრავს საერთოდ ქვეყნის უფლებას დამოუკიდებლობაზე, მეორე მხრივ, კონკრეტულად ადგენს იმ ობიექტურ საფუძველს, რომლითაც საქართველო არის ერთიანი სუვერენული სახელმწიფო და ემიჯნება სხვა დამოუკიდებელ ქვეყნებს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტი.*
*მკითხველს ვთავაზობთ ნაშრომის ბოლო პარაგრაფს, რომელიც ნაკლებად ეხება სპეციფიკურ პრობლემატიკას და ზოგიერთ ისეთ საკითხს მოიხილავს, რომელიც საინტერესოდ გვეჩვენება ჩვენი თანამედროვეობის პოზიციებიდან.*

დასასრულ - კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ.

ის, რომ ქართული ენა, რომელზედაც აიგებოდა ქართული ეკლესიისა და ქართული კულტურის სუვერენობა, წარმოადგენდა საფუძველს სახელმწიფოს და ერის სუვერენიტეტისა, — საქმის ერთი მხარეა: ქართულ ენას უნდა შეესრულებინა ეს ფუნქცია და მან იგი შეასრულა, რადგანაც ენა, როგორც თვითმყოფადი კულტურის, პირველ რიგში დამწერლობის, ლიტერატურისა და აზროვნების საფუძველი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდენტიფიკაციის ნიშანია. საქმის მეორე მხარეა ის, რომ ამ როლში იგი განასახიერებდა და წარმოადგენდა საერთოდ ქართულ კულტურას და ისტორიას, — არა მარტო მის სუვერენობას, არამედ მის ხარისხსა და დონეს, და იმ მოცემულ ეპოქაში მეტოქეობას უწევდა ბერძნულ ენას. ჰქონდა თუ არა მას ამ გამოწვევის საფუძველი, თუ საქმე ისე იყო, როგორც ამას ზოგჯერ და სრულიად არაშემთხვევით სთავაზობდნენ საერთაშორისო საზოგადოებას ბიზანტიელები (და სხვებიც — საუკუნეთა განმავლობაში დღემდე), როდესაც ჩქმალავდნენ ჩვენს ისტორიულად დაწინაურებულ ენობრივ-კულტურულ მეობას?

პასუხი ამ კითხვაზე დადებითია, და ეს მშვენივრად იცოდნენ გიორგი მერჩულემაც, იოანე ზოსიმემაც, მათმა უშუალოდ წინამორბედმა და მომდევნო თაობამაც, ისევე როგორც მათმა შორეულმა წინაპრებმა ქრისტიანობამდელი ეპოქისა.

ამ კონტექსტში საკმარისია შემდეგი ფაქტის მოხსენიება. ქრისტიანულმა ისტორიოგრაფიამ, რომელსაც მხარს უჭერს ანტიკურობა და იუდაისტური ტრადიცია, ახ.წ. მეორე საუკუნიდან მოყოლებული შექმნა ტოპოსი, რომელმაც ქართულ (იბერიულ) ენას და მის მატარებელ ხალხს გამორჩეული კატეგორია მიაკუთვნა: ეს ხალხი (ერთ-ერთი ნოეს 70 ან 72 შთამომავალს შორის) და ეს ენა შეიტანა იმ თხუთმეტის რიცხვში, რომელთაც საკუთარი დამწერლობა (ან რაღაც დამწერლობაზე დამყარებული საკუთარი მწიგნობრობა) აქვთ, და, სხვათა შორის, ამ თხუთმეტ კულტურულ ხალხს შორის კატალოგებში რატომღაც ყოველთვის პირველ ადგილზე მოიხსენია. ეს ფაქტი დაცულია მე-2 - მე-18 საუკუნეების უამრავ ბერძნულ, ლათინურ, სირიულ, ებრაულ, არაბულ (აგრეთვე ზოგ სლავურ) წყაროში; იგი მსოფლიოში ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ყველაზე ნაკლებად გვაინტერესებდა ჩვენ. და პრაქტიკულად მხოლოდ ახლახან, მიმდინარე წელს, მიექცა სათანადო, სერიოზული ყურადღება (იხ. **ნ. დობორჯგინიძე,** *ქრისტიანული ისტორიოგრაფია და თხუთმეტი სამწერლო ენის ტოპოსი*. თსუ ალმანახში: ლიტერატურა და სხვა, 2005 წ. აგვისტო, გვ.190-206). სამართლიანობა მოითხოვს ალინიშნოს, რომ ეს ტრადიცია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში მთლად უცნობი არაა. კ. კეკელიძე მიუთითებდა V საუკუნის ერთ სირიულ თხზულებას, რომელიც ასახავს ხალხებად განყოფის ერთ-ერთ დიამერიზმს და 73 ერს შორის მოიხსენიებს ქართველებს, ხოლო 15 სამწერლო ენას შორის — ქართულს (იხ. **კ. კეკელიძე**, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. I, თბილისი, 1980, გვ.38). მაგრამ მთავარი ისაა, რომ ქართულმა მეცნიერებამ აქ ვერ დაინახა მსოფლიო კონტექსტი და არც მსოფლიო ისტორიაში განიხილა ეს ფაქტი, და არც ქართველი ერისა და ქართული ენის ადგილი განსაზღვრა გლობალურ სქემაში. მან არც მონაწილეობა მიიღო დისკუსიაში, რომელიც ამ კატალოგებთან დაკავშირებით სწორედ საქართველოს ეხებოდა (ყველაფერ ამაზე სამართლიანად მიუთითებს ნ. დობორჯგინიძე აღნიშნულ ნაშრომში), მაგრამ ეს სხვა თემაა — ჩვენი საბედისწერო დაუდევრობის თემა, რომელსაც აქ არ ვეხები.

ჩვენს თემას თუ განვაგრძობთ, პირველ რიგში ის უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სამწიგნობრო ტრადიციები წინარექრისტიანულ ხანას განეკუთვნება — იმ შემთხვევაშიც, თუ ქართული დამწერლობის, ან კერძოდ ასომთავრულის, წარმოშობას ქრისტიანულ ეპოქას დავუკავშირებთ (იხ. **თ. გამყრელიძე,** *წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა*, თსუ გამომც., 1989წ. გვ. 197-198). ქართული მხატვრული ლიტერატურის, კერძოდ პოეზიის, აღმოცენების ხანაც ქარისტიანობამდელია (იხ. **ა. სილაგაძე,** *ახალი ქართული ლექსი და ქართული პოეზიის უძველესი საფეხურის პრობლემა*, თსუ გამომც., 1987წ.). ამ პირობებში სრულიად ბუნებრივია ის უპრეცედენტო ფაქტიც, რომ ამ ენისა და კულტურის მფლობელ ერს, რომელიც ამავე დროს ყოველთვის — ეკლესიურად და სახელმწიფოებრივად — სუვერენული და მებრძოლი ერი იყო, ისტორიამ თავის დროზე უნიკალური მისია განუკუთვნა: იერუსალიმში უფლის საფლავის გასაღების ფლობა და გოლგოთაზე ჯვარცმის ადგილის პატრონობა, — ასეთი მისია ბევრ ერს არ ღირსებია.

არაბუნებრივი ისაა, რომ ეს ფაქტი, რომელიც მსოფლიო ისტორიის ფაქტია და არა ჩვენი, სრულიად იგნორირებულია სწორედ გლობალურ ისტორიაში. ისევე როგორც იგნორირებული იყო ზემოთნახსენები ტოპოსი, უფრო სწორედ, მისი ის ნაწილი, რომელიც ქართველებს და ქართულ ენას ეხება, — სწორედ ეს ნაწილი წარმოადგენდა რატომღაც დავის საგანს. არაბუნებრივია და ღრმად დამაფიქრებელი, რომ ჩვენთან დაკავშირებით უამრავი ტაბუდადებული თემა დაგროვდა საუკუნეთა განმავლობაში, რასაც შემდეგ ფალსიფიცირებული თემები დაემატა, შემდეგ — ფალსიფიცირებული ენციკლოპედიები, ბოლოს — ჩვენი ისტორიის ხარჯზე დაწერილი ძალიან ბევრი ისტორია..

ჩვენს წინააღმდეგ რატომღაც გაერთიანებულად მოქმედებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელი ასახსნელია, როგორ შეიძლებოდა ერს, რომელსაც ზემოთ ნახსენები უნიკალური პრივილეგიები ჰქონდა იერუსალიმში და იქვე დაახლოებით ოცი ეკლესია, დღეს ყველაფერი კატეგორიულად აქვს წართმეული, ხოლო სხვებს — მართლმადიდებლებსაც, კათოლიკეებსაც, გრიგორიანელებსაც — იქ ყველაფერი აქვთ, მათ შორის ისიც, რაც არასოდეს ჰქონიათ.

ჩვენ თვალი უნდა გავუსწოროთ სინამდვილეს: ჩვენ ყოველთვის კონსოლიდირებულად გვებრძოდნენ, და აქ მარტო კოალიციის სახის სამხედრო ექსპედიციები არ იგულისხმება, — გაცილებით უფრო ქმედით იარაღად წარმოიდგინებოდა ჩვენი თვითმყოფადი ისტორიული როლისა და ადგილის დამცრობა. ჩვენმა თანამედროვე საზოგადოებამ წინამდებარე ნაშრომის ავტორის შემდეგი აზრიც უნდა გაითვალისწინოს: ამ კონსოლიდაციის ხარისხმა, როგორც ჩანს, დღეს უმაღლეს საფეხურს მიაღწია.






# რაც გინახავს, ვეღარ ნახავ

პირველი გვერდიდან

სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაშიც კარგი რაღაცები ეწერა - მაგალითად, ყველა რესპუბლიკას ჰქონდა საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლება. ასე რომ, ახლა მაინც ნუ ვიცრუებთ და ვაღიაროთ, რომ მშობიარობის 200-ლარიანი ვაუჩერი სხვა არაფერი იყო, თუ არა შეღავათი. მაგრამ ისიც ფაქტია, თანაც ანგარიშგასაწევი, რომ ამ ორასლარიანი შეღავათით, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ყველა სარგებლობდა: შეძლებულიცა და უპოვარიც, ქალაქელიც და სოფლელიც, ქართველიც და არაქართველიც. ამიტომაც გაჩნდა იმედი, რომ სახელმწიფოს მხრიდან წახალისების ეს ფორმა ჩვენი არცთუ სახარბიელო დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორებას ისახავდა მიზნად. რაც მთავარია, დაფინანსების ეს ფორმა ერთნაირად მისაღები აღმოჩნდა სახელმწიფო თუ კერძო კლინიკებისთვის და ამავე მიზეზით მათი უმრავლესობა ვაუჩერების შემოღებისთანავე ჩაერთო ამ პროგრამაში. რეალურად ასეთი სურათი მივიღეთ: სახელმწიფო სამშობიარო სახლებში თუ კერძო კლინიკებში მშობიარობა 500-დან 700 ლარამდე ჯდებოდა, მაგრამ ამ თანხიდან 200 ლარს სახელმწიფო ფარავდა. რაც შეეხება უფასო განყოფილებებს, აქ ექიმის, ბებია-ქალის, ექთნისა თუ სანიტრის "პატივისცემა" 100-დან 200 ლარამდე მერყეობდა, შესაბამისად, მშობიარობაც ასი-ორასი ლარი ჯდებოდა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ იმ სამშობიარო სახლებში, სადაც სწორი მენეჯმენტის წყალობით გაპარტახებული შენობები გაარემონტეს, სხვაობა ფასიან და უფასო მომსახურებას შორის მინიმუმამდე შემცირდა და უფასო განყოფილებებში მშობიარეთა რიცხვმა იმატა. ადვილი დასაანგარიშებელია, რამდენჯერ გაძვირდება მშობიარობა ვაუჩერების გაუქმების შემდეგ.

ოფიციალური ვერსიით პირველი ივლისიდან ვაუჩერები მხოლოდ უკიდურესად გაჭირვებულ ქალებს დაურიგდებათ, ოღონდ არა 200, არამედ 400 ლარი. რამდენად სამართლიანად დადგინდება, ვინ მაძღარია და ვინ მშიერი, ჩემი არ იყოს, ბევრს ეჭვი ეპარება. ამას იმადაც მოგახსენებთ, რომ ჩვენ იმ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც საარსებო მინიმუმი 115 ლარით განისაზღვრება. გამოდის, რომ ყველას, ვისი შემოსავალიც 115 ლარზე მეტია, მშობიარობის შემთხვევაში არანაირი მატერიალური პრობლემა არ შეექმნება. ისედაც, როცა დემოგრაფიაზე ვლაპარაკობთ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ წახალისება ყველას სჭირდება და ისეთ სურათს ნუ დავხატავთ, თითქოს 400 ლარი მხოლოდ უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვისაა შვება.

როგორც ჩანს, სახელისუფლებო ეშელონებში მართლა დაიჯერეს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 6 პროცენტს გადააჭარბა. მათი გაანგარიშებით ეს ექვსი პროცენტი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მოსახლეობამ თავადვე აიანაზღაუროს სამედიცინო მომსახურების ხარჯები. მოგეცა ლხენა, კარგია, როცა ხელფასი საშუალებას გაძლევს, საკუთარი ჯანმრთელობა დააზღვიო და სახელმწიფოს ზედმეტ ტვირთად არ დააწვე. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ 6 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდის პარალელურად უმუშევრობაც იზრდება და ყოველდღიური მოხმარების საგნებზეც მატულობს ფასები. შემთხვევითი არ არის, რომ სადაზღვევო კომპანიების უმრავლესობას ჯანმრთელობის დაზღვევის სეგმენტი ყველაზე ნაკლებად აქვს ათვისებული. საქმე ისაა, რომ ერთი კაცის დაზღვევა თვეში 40-დან 50 დოლარამდე მერყეობს, ამ თანხის გადახდა კი მოსახლეობის დიდ ნაწილს არ შეუძლია. და თუ რატომ ჩავარდა უმრავლესობა ასეთ დღეში, ესეც, სხვათა შორის, ხელისუფლებას მოეკითხება და არა ათიათასობით ჯან-ღონით სავსე ჩვენს თანამოქალაქეს, სამუშაოს რომ დაეძებს.

თუ არ ვცდები, რევოლუციის წლისთავზე ჩვენმა პრეზიდენტმა რიხიანად განაცხადა, საქართველოში შობადობამ 30 პროცენტით მოიმატაო. შობადობის ზრდა პატარა ქვეყნებისთვის მართლაც მისწრებაა, ოღონდ მაშინ, თუ სიკვდილიანობის მაჩვენებელი ადეკვატურად მცირდება. ასეც რომ იყოს, ის თუ უფიქრია ქვეყნის პირველ პირს, რომ მეტი შვილების ყოლის სტიმული ქალებს მატერიალური პრობლემების ნაწილობრივ მოგვარებამაც მისცა? ასე რომ, როცა მორიგი გამოსვლისას ჩვენი პრეზიდენტი მომავალს ნათელ ფერებში დაგვიხატავს, ბარემ ისიც გვითხრას, რა უფრო უკეთესია ჩვენნაირი ქვეყნისთვის: ცოტა მოსახლეობა ჰყავდეს თუ ბევრი? სხვათა შორის, ეს მეტად პრინციპული საკითხია და ყოველგვარი ქვეტექსტის გარეშე ვკითხულობ.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენს ნორჩ პოლიტიკოსებს დედიკოები ჯერაც ატყუებენ, ბავშვები წეროებს მოჰყავთო. დროა, ჩემო კუდრაჭებო, სიმართლე გაგიმხილოთ. გიხსნით: ბავშის გაჩენა ქალის დაფეხმძიმების გარეშე შეუძლებელია. დაორსულების რა მეთოდები არსებობს, ამაზე სხვა დროს, ერთბაშად ყველაფრის განდობა სახიფათოა, მაგრამ ფეხმძიმობა რომ ჩვეულებრივ ცხრა თვე გრძელდება, მთელ რიგ ფიზიოლოგიურ ცვლილებებს იწვევს დედის ორგანიზმში და ორსულ ქალებს განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა რომ სჭირდებათ, ეს კი უნდა იცოდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაუჩერებთან ერთად იმ სამედიცინო პოლისებსაც გააუქმებთ, რითაც დღეს ორსული ქალები და წლამდე ჩვილები სარგებლობენ. მართალია, ორსულობისას მხოლოდ ოთხი ვიზიტი ექიმთან და რამდენიმე გამოკვლევა საკმარისი არ არის, მაგრამ, ვაუჩერის არ იყოს, ჩვენი შესაძლებლობების გათვალისწინებით ესეც საქმეა. სამწუხაროდ, მსგავსი ეჭვები მარტო მე არ მღრღნის. ვშიშობ, ხვალ-ზეგ შემთხვევით ბავშვთა პოლიკლინიკაში მოვხვდები, იქაც გაღიზიანებული ექიმები დამიხვდებიან, მეორე დღეს კი რომელიმე საინფორმაციო გამოშვებაში (რომელში, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს) სადღაც ბოლოსკენ ისე, სხვათა შორის, გვამცნობენ, რომ უფასო სამედიცინო პოლისებით მხოლოდ უკიდურესად გაჭირვებული ორსული ქალები და უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გაჩენილი ბავშვები ისარგებლებენ. რაც შეეხება ჩემს ვიზიტს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, რომელიც ამ კვირას დავგეგმე, იმედი მაქვს, ამჯერად მაინც ვიყოჩაღებ და უმნიშვნელო დეტალებს, მათ შორის მედპერსონალის გუნება-განწყობილებას, ჯეროვნად დავაკვირდები.

# როგორ ვუმკურნალოთ ბავშვებში მწვავე რესპირაციულ ინფექციებს

**მწვავე რესპირაციული ინფექციები პედიატრიული პრაქტიკის ყველაზე გავრცელებულ დაავადებებს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მათი უმრავლესობა არ ხასიათდება კლინიკური მიმდინარეობის განსაკუთრებული სიმძიმით, მათ მიერ განპირობებულ ავადობას ჩვენი სიცოცხლის ერთი ან ორი წელი "მიაქვს". მწვავე რესპირაციული ინფექციები გვევლინება სამედიცინო დაწესებულებებისადმი მიმართვის და სამსახურის გაცდენის უხშირეს მიზეზად, ხოლო ანტიბიოტიკების გამოწერის თვალსაზრისით მათ მეორე ადგილი უკავიათ ყველა არსებულ დაავადებას შორის. ამავე დროს, შემთხვევათა უმრავლესობაში მწვავე რესპირაციულ ინფექციებს ვირუსები იწვევენ, ვირუსული ინფექციების დროს კი ანტიბიოტიკების დანიშვნა უშედეგოა, ხშირად კი - სახიფათოც.**

**რა განაპირობებს მწვავე რესპირაციულ ინფექციებს? როგორ უნდა ვუმკურნალოთ მათ? როდის და როგორ უნდა დავნიშნოთ ანტიბიოტიკები? გვესაუბრება ცნობილი ქართველი კლინიცისტი, მ.გურამიშვილის სახ. პედიატრიული კლინიკის დირექტორი, თსსუ პედიატრიის კათედრის პროფესორი ქეთევან ნემსაძე.**

**- ქ-ნო ქეთევან, რა იწვევს მწვავე რესპირაციულ ინფექციებს?**

- მწვავე რესპირაციულ ინფექციებს შემთხვევათა 80%-ში ვირუსები იწვევენ. მწვავე რესპირაციული ინფექციების ვირუსულ გამომწვევთა რიცხვი დღეისათვის 200-ზე მეტია. ყველაზე ხშირად მწვავე რესპირაციულ ინფექციებს განაპირობებს რინოვირუსი, გრიპის ვირუსი, პარაგრიპის ვირუსი, ადენოვირუსი, რესპირაციულ-სინციტიური ვირუსი. რაც შეეხება ბაქტერიულ გამომწვევებს, მწვავე პნევმონიის, ოტიტის, ფარინგიტის და სინუსიტის უხშირესი გამომწვევებია სტრეპტოკოკი, ჰემოფილუსი, მორაქსელა, მიკოპლაზმა, ქლამიდია.

**- როგორ უნდა ვუმკურნალოთ მწვავე რესპირაციულ დაავადებებს?**

- მწვავე რესპირაციულ დაავადებების დროს გამოიყენება, უპირველეს ყოვლისა, მედიკამენტური თერაპია, რომელშიც შედის ადგილობრივი ვაზოკონსტრიქტული (სისხლძარღვთა შემავიწროებელი) საშუალებები, ადგილობრივი ანტიბიოტიკოთერაპია, სისტემური ანტიბიოტიკები, ანტიჰისტამინური პრეპარატები, სტეროიდები და ანთებისსაწინააღმდეგო არასტეროიდული საშუალებები. რიგ შემთხვევებში ნაჩვენებია ფიზიოთერაპია ან ქირურგიული მკურნალობა.

**- რა არის რესპირაციულ დაავადებათა ანტიბაქტერიული თერაპიის მიზანი?**

- რესპირაციულ დაავადებათა ანტიბაქტერიულ თერაპიას სტრატეგიული და ტაქტიკური მიზნები გააჩნია. ტაქტიკურ მიზნად შეიძლება განვიხილოთ მაქსიმალური თერაპიული და მინიმალური ტოქსიკური პოტენციალის ანტიბიოტიკის შერჩევა, ხოლო სტრატეგიულ მიზნად - მოსახლეობაში რეზისტენტულ შტამთა გავრცელების რისკის შემცირება.

**- მწვავე რესპირაციული დაავადებისას როდის უნდა დაინიშნოს სისტემური ანტიბიოტიკი?**

- მწვავე რესპირაციული დაავადების დროს სისტემური ანტიბიოტიკები უნდა დაინიშნოს მხოლოდ ბაქტერიული ინფექციის ან გართულების მაღალი რისკის არსებობის შემთხვევაში. ასე მაგალითად, ანტიბიოტიკოთერაპიას საჭიროებს ბაქტერიული (სტრეპტოკოკული) ფარინგიტი, მძიმე ან მორეციდივე სინუსიტი, პნევმონია. მწვავე რესპირაციული დაავადების სხვა შემთხვევებში (რინიტი, რინოფარინგიტი, ბრონქიტი, ტრაქეიტი) ანტიბიოტიკოთერაპია გავლენას არ ახდენს დაავადების მიმდინარეობასა და გამოსავალზე.

**- როგორ ფიქრობთ, რა განაპირობებს ამბულატორიულ პრაქტიკაში ანტიბიოტიკთა ზედმეტად დანიშვნას?**

- ამბულატორიულ პრაქტიკაში ანტიბიოტიკთა არამიზნობრივ დანიშვნას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. ესენია მწვავე რესპირაციულ ინფექციათა ეტიოლოგიის არასაკმარისი ცოდნა ექიმების მიერ, ანტიბიოტიკთა გამოყენების არასასურველი შედეგების არასაკმარისად გაცნობიერება, ფარმაცევტული ინდუსტრიის რეკლამის გავლენა, პაციენტთა ან მათი ოჯახის წევრთა როლი. რამდენიმე სიტყვით მინდა შევჩერდე ამ ბოლო ფაქტორზე. ბრიტანეთის სამედიცინო ჟურნალში გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, პაციენტთა 90%-ზე მეტი მოელის ექიმისგან ანტიბიოტიკის დანიშვნას. საფიქრებელია, რომ საქართველოში ეს მაჩვენებელი ასევე მაღალი იქნება. ამიტომ ხშირად ექიმები ითვალისწინებენ პაციენტის ამ "სურვილს" და ნიშნავენ ანტიბიოტიკს, ხშირად კი ავადმყოფი თავად "ინიშნავს" მკურნალობას.

საგულისხმოა, რომ ანტიბიოტიკის დანიშვნის შემთხვევაში ხშირად თავს იჩენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მკურნალობის არასრული კურსის ჩატარება, ანტიბიოტიკის შენახვა შემდეგ გამოყენებამდე, დოზირების რეჟიმის შეუსრულებლობა. ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული შტამების გამომუშავებას და აუცილებლობის შემთხვევაში აძნელებს ეფექტური ანტიბიოტიკის შერჩევას.

გარდა ამისა, სისტემური ანტიბიოტიკების ფართოდ გამოყენება, ბაქტერიული გამომწვევის აღმოჩენის გარეშე, ხშირ შემთხვევაში ხდება არასასურველი გვერდითი მოვლენების მიზეზი. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ანტიბიოტიკთა უმართებულო დანიშვნა განაპირობებს მკურნალობის ღირებულების მნიშვნელოვან ზრდას.

**- როგორ უნდა შევამციროთ ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტულობის განვითარება?**

- ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტულობის განვითარების შემცირების ძირითადი გზები შეიძლება იყოს ანტიბიოტიკთა გაცემა მხოლოდ რეცეპტის საფუძველზე, რესპირაციულ ინფექციათა დროს ანტიბიოტიკის დანიშვნის სტრუქტურის შეცვლა - კო-ტრიმოქსაზოლის და ფტორქინოლონების დანიშვნის შეზღუდვა, არაბაქტერიული ეტიოლოგიის რესპირაციულ დაავადებათა დროს ანტიბიოტიკების გამოყენების შეზღუდვა, ანტიბიოტიკის ადგილობრივად გამოყენება.

ამ უკანასკნელის მაგალითს წარმოადგენს ცნობილი ფრანგული პრეპარატი **ბიოპაროქსი -** ლოკალურად მოქმედი ერთადერთი ანტიბიოტიკი რესპირაციულ დაავადებათა სამკურნალოდ, რომელიც ანტიბაქტერიულ თვისებებთან ერთად ხასიათდება გამოხატული ანტიანთებითი მოქმედებით.

**- რა უპირატესობები გააჩნია ადგილობრივ ანტიბიოტიკოთერაპიას და კერძოდ ბიოპაროქსს?**

- **ბიოპაროქსის** გამოშვების ფორმიდან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება ანტიბიოტიკის მიზანმიმართული მიწოდება და ოპტიმალური კონცენტრაციის შექმნა ინფექციის და ანთების კერაში. **ბიოპაროქსი** ლორწოვანიდან არ შეიწოვება და სისხლის ზოგად მიმოქცევაში არ გადადის, ამიტომ მას არ ახასიათებს სისტემური ანტიბიოტიკებისთვის დამახასიათებელი გვერდითი მოვლენები. **ბიოპაროქსის** მიმართ არ ყალიბდება არც პირდაპირი და არც ჯვარედინი რეზისტენტობა, რის გამოც მისი ხმარება შეიძლება პრაქტიკულად მთელი ცხოვრების მანძილზე. საჭიროების შემთხვევაში, **ბიოპაროქსის** გამოყენება შესაძლებელია ზოგადი მოქმედების ანტიბიოტიკებთან ერთადაც. პრეპარატს ახასიათებს კარგი ამტანობა, იგი არ აღიზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს. საყურადღებოა ისიც, რომ **ბიოპაროქსი**, განსხვავებით დანარჩენი ანტიბიოტიკებისაგან, სრულიად უსაფრთხოა არა მხოლოდ ბავშვებში (სადაც ის ინიშნება 2,5 წლიდან), არამედ ორსულებშიც (ისევ და ისევ იმიტომ, რომ იგი არ გადადის სისხლის ზოგად მიმოქცევაში).

**ბიოპაროქსის** გამოარჩევს მოქმედების უაღრესად ფართო დიაპაზონი, რომელიც მოიცავს ზემო სასუნთქი გზების ანთებით პროცესთა გამომწვევი მიკროორგანიზმების პრაქტიკულად მთელ სპექტრს - როგორც გრამ-დადებით და გრამ-უარყოფით კოკებს, ასევე ანაერობებს და სოკოებსაც კი.

**ბიოპაროქსის** ეფექტურობა თვალსაჩინოა ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა რინიტი (სურდო), სინუსიტი (ჰაიმორიტი, ფრონტიტი), კატარული ტონზილიტი (ანგინა), ფარინგიტი, ლარინგიტი, ტრაქეიტი და ბრონქიტი. კერძოდ, რინიტისა და სინუსიტის შემთხვევაში **ბიოპაროქსი** ხსნის ცხვირის დახშულ საჰაერო გზებს, ამცირებს გამონადენს, ტონზილიტის დროს აადვილებს ყლაპვას, კურნავს ხმის ჩახლეჩას და ა.შ.

**ბიოპაროქსის** დოზირების რეჟიმი კი გულისხმობს 4 - 4 ინჰალაციას თითოეულ ნესტოში ან პირის ღრუში, ყოველ 4 საათში ერთხელ.

# ფოსეტმა რეკორდულად გააფრინა

ბიგა ბურასაშვილი



*ამერიკელი მილიარდერი, ჩიკაგოელი თავგადასავლების მაძიებელი ზღვაოსანი, მფრინავი, საჰაერო ბურთების მოყვარული, სპორტული მანქანების ცნობილი ლე მანის 24-საათიანი რბოლის მონაწილე, ლა მანშის სრუტის გადამცურავი, ტრიატლონისტი, ძაღლების მარხილით ალიასკის ცნობილი იდიტაროდის მარშრუტის გადამსერავი და კიდევ ვინ იცის რა.*
*ერთი სიტყვით, სტივ ფოსეტი. კაცი, რომელმაც ქონება ჩიკაგოს საფონდო ბირჟაზე დააგროვა, ახლა ფათერაკებს დაეძებს და ამისთვის ნაირგვარ ხერხს მიმართავს, შარშან გარსაქვეყნო მოგზაურობათა ისტორიამ შეიძინა პირველი ადამიანი, რომელმაც თვითმფრინავით დედამიწას მარტოდმარტომ დაუშვებლად და ჰაერში საწვავის შეუვსებლად შემოუფრინა! მაგრამ ისტორია ამით არ დასრულებულა. რამდენიმე დღის წინათ ფოსეტი საკუთარ რეკორდს გაეკიდა და გაუსწრო კიდეც, მანამდე კი ისტორიას გადავხედოთ.*

ჯერ იყო და გარსაქვეყნო მოგზაურობათა ისტორიაში პირველმა შეძლო საჰაერო ბურთით - "თავისუფლების სული" ეულად შემოეფრინა დედამიწისთვის.

წარმატების მიღწევამდე, საკმაო ოფლის ღვრაც დასჭირდა. პირველად საჰაერო ბურთით გარსაქვეყნო მოგზაურობა 1998 წელს სცადა, მაგრამ არგენტინიდან აფრენილმა, როდესაც 22 904 კილომეტრი უკან მოიტოვა და როდესაც გამარჯვება თითქოს ახლოს იყო, საჰაერო ბურთთან ერთად ფოსეტმა მარჯნის ზღვაში გაადინა ზღართანი.

იყო სხვა მცდელობებიც, მაგრამ თავზეხელაღებულ ამერიკელს წარმატება მეექვსე გაფრენამდე - 2002 წლამდე არ ეწერა.

საჰაერო ბურთი ერთადერთი არაა, სადაც სტივ ფოსეტს რეკორდები დაუმყარებია. ამერიკელს აფროსნობაშიც არაერთი რეკორდი ეკუთვნის. უფრო სწორად, აფროსნობაში დამყარებული რეკორდების უმეტესობა მის საკუთრებაშია. მთლიანობაში კი სპორტის ხუთ სახეობაში 102 რეკორდი ეკუთვნის, აქედან 62 დღემდე ხელუხლებელია. და საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ თავგადასავლების მაძიებელი ამერიკელი მრავალმხრივაა გამორჩეული, მათ შორის როგორც პილოტი.

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

თვითმფრინავი, სახელად Virgin Atlantic Global Flyer ცნობისმოყვარეთა არმიას პირველად შარშან იანვრის დასაწყისში წარუდგინეს და ფოსეტის მომავალი სარეკორდო აპარატის წარდგენა თვით ბრიტანელმა მოგზაურმა კიდევ ერთმა თავზეხელაღებულმა - სერ რიჩარდ ბრენსონმა ითავა - Virgin-ის ბიზნეს-იმპერიის მეპატრონემ, რომლის შემადგენლობაშიც შედის ავიაკომპანიები, სარკინიგზო ხაზები, რადიოსადგურები, ხმის ჩამწერი ფირმა და კიდევ ბევრი სხვა რამ.

საინტერესოა, რომ ფოსეტის გაფრენა უცაბედად მოხდა. საქმე ისაა, რომ მაშინ იანვრის პრეზენტაციისას ბოლომდე არ იყო გარკვეული, თუ როდის შეუდგებოდა საკუთარი ახირების განხორციელებას ამერიკელი მილიარდერი. დასახელებით კი აპრილსა და ოქტომბერს ასახელებდნენ. და მაინც, ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული ატმოსფეროს როგორი მდგომარეობა იქნებოდა აღნიშნულ თვეებში. კერძოდ ქარები, რომლებიც გოლფსტრიმის დინებას ქმნის საკმაოდ ძლიერი უნდა ყოფილიყო, რათა უჩვეულოდ მსუბუქი აპარატი მაქსიმალურ მანძილზე ეტარებინა.

მართლაც, ფოსეტის თვითმფრინავი განსაკუთრებული კონსტრუქციისაა და გათვლილია სპეციალურად დაუშვებელი ფრენისთვის. ამასთან, ერთი ადამიანის გარდა თვითმფრინავში სხვა მგზავრებისთვის ადგილი არაა განსაზღვრული. ფოსეტის საფრენი აპარატი ცაში ისე გამოიყურება, თითქოს ერთი ფრთა სამ პატარა თვითმფრინავს აერთიანებდეს. თავად ფიუზელაჟის გარდა, სადაც პილოტის კაბინაა მოთავსებული, ფრთებქვეშ განთავსებულია საწვავის დიდი ავზები, რომლებიც თავის მხრივ ისე გამოიყურება, როგორც კიდევ ორი თვითმფრინავის ფიუზელაჟი. თავად კაბინა ზომების მიხედვით შედარებით პატარაა, ვიდრე ცალკე აღებული თითოეული ავზი.

თვითმფრინავი ერთძრავიანია და კონსტრუირებულია თანამედროვე შენარევი მასალებისგან, რომლებიც ბორტზე თვითმფრინავის წონაზე ოთხჯერ მეტი მოცულობის საწვავის ტარების საშუალებას იძლევა. ამის გამო ფოსეტის საფრენი აპარატი "მფრინავ ბომბადაც" შერაცხეს, რადგან თვითმფრინავის წონის 86 პროცენტი საწვავზე მოდის.

სხვათა შორის, ფოსეტის თვითმფრინავი ერთეულ მანძილზე ჩვეულებრივ ჯიპზე ნაკლებ საწვავს მოიხმარს.

თვითმფრინავი აგებულია კალიფორნიული კომპანია Scaled Composites-ის მიერ (პროექტის ღირებულებამ 1,5 მილიონი დოლარი შეადგინა), რომელსაც სხვათა შორის, ავიაციის კიდევ ერთი გმირი - ბერტ რუტანი ხელმძღვანელობს, რომელმაც 1986 წელს ორპილოტიანი თვითმფრინავი "ვოიაჯერი" დააპროექტა. აღსანიშნავია ისიც, რომ ფოსეტის შარშანდელ გაფრენამდე დედამიწის ირგვლივ შორ მანძილზე დაუშვებელი ფრენის რეკორდი სწორედ დიკ რუტანს ეკუთვნოდა. მაშინ რუტანმა და ჯინ იგერმა ცხრა დღის განმავლობაში 42 431 კილომეტრი გაიფრინეს.

...2005 წლის 1 მარტს, გრინვიჩის დროით 05:00 საათზე ფოსეტის უნიკალური თვითმფრინავი კანზასის შტატის ქალაქ სალინას მუნიციპალური აეროპორტიდან ჰაერში აფრინდა. აფრენიდან ცოტა ხნის შემდეგ ფოსეტის გარსაქვეყნო ფრენის პროექტის დამფინანსებელმა რიჩარდ ბრენსონმა თქვა: "სტივი აჩვენებს, თუ ვინაა ნამდვილი ავიატორი". საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი მარტინ სკორსეზეს ფილმი "ავიატორი" და მისი მთავარი როლის შემსრულებელი ლეონარდო დი კაპრიო ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოების - "ოსკარების" გარეშე თუ დარჩებოდნენ.

მართლაც, "ოსკარი" სტივ ფოსეტს დარჩა. საგანგებოდ გარსაქვეყნო ფრენისთვის შექმნილმა ექსპერიმენტალურმა მსუბუქმა თვითმფრინავმა Global Flyer-მა თითქმის 37 ათასი კილომეტრი 67 საათში, 2 წუთსა და 38 წამში გაიფრინა!

არადა, საწყის ეტაპზე შიშობდნენ, რომ ფოსეტი ფრენას ვერ დაამთავრებდა. რადიოს მეშვეობით ამერიკელმა განაცხადა, რომ აფრენისას რიგ პრობლემებს წააწყდა, რამდენადაც თვითმფრინავი მოსალოდნელზე ნაკლებად სწრაფი აღმოჩნდა, ხოლო, როდესაც კანადის ტერიტორიის თავზე იმყოფებოდა, პოზიციონირების გლობალური სისტემა, ურომლისოდაც ნავიგაცია რთულდება, მოულოდნელად ორი საათით გაითიშა. ესეც რომ არა, მერედამერე ჰავაის კუნძულების სიახლოვეს ისიც გამოაშკარავდა, რომ თვითმფრინავი საწვავის 15-პროცენტიან დეფიციტს განიცდიდა. საწვავის არასაკმარისი რაოდენობის გამო ამერიკელმა კურსიც კი შეცვალა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ თავზეხელაღებულ ამერიკელს ჰაერნაოსნობაში იაპონიის ნაპირებიდან წამოსულმა 185-240 კმ/სთ სიმძლავრის ზურგის ქარმაც შეუწყო ხელი.

ერთი სიტყვით, მიუხედავად პრობლემებისა, ფათერაკების მაძიებელ ფოსეტს უკან არ დაუხევია და სალინას აეროპორტში დაწყებული საქმეც ბოლომდე მიიყვანა.

61 წლის ფათერაკების მაძიებელმა საქმე ახლაც ბოლომდე მიიყვანა - დედამიწას მარტოდმარტომ, დაუშვებლად და საწვავის შეუვსებლად შემოუფრინა და თავისივე რეკორდი გააუმჯობესა. თუმცა, საკუთარ რეკორდს არც გაჰკიდებია. ფოსეტის საზრუნავი დიკ რუტანისა და ჯინ იეგერის რეკორდის დამხობა იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ კერძო სექტორის მიერ აგებული ფოსეტის საფრენი აპარატი პირველია, რომელმაც სტარტი აიღო კანავერალის კონცხიდან (ფლორიდა) ნასას კენედის კოსმოსური ცენტრიდან.

ერთი სიტყვით, თავდაპირველი ჩანაფიქრის მიხედვით, ამერიკელს დედამიწისთვის უნდა შემოეფრინა და პლუს ატლანტიკის ოკეანეც უნდა გადაესერა. ანუ, აღმოსავლეთის მიმართულებით უნდა ეფრინა ფლორიდიდან ფლორიდამდე და შემდგომ ბრიტანეთისკენ, კენტის საგრაფოსკენ.

ფოსეტმა მისია შეასრულა. იფრინა 42 469 კილომეტრი და რეკორდიც დაამხო. ეგაა, თვითმფრინავის ტექნიკური გაუმართაობის გამო ინგლისის აღმოსავლეთში იძულებით დაშვება მოუწია. გარდა ამისა, დაშვებისას საფრენ აპარატს ორი შასი გაუსკდა, ხოლო საქარე მინა ყინულით იყო დაფარული.

"რთული ფრენა მქონდა, - თვითმფრინავის კაბინაში გატარებული 76 საათისა და 45 წუთის შემდეგ აცხადებდა ფოსეტი, – გამიმართლა, რომ აქამდე მოვაღწიე".

**P. S.** რეკორდული ფრენით შეგულიანებულმა ფოსეტმა მორიგი ახირება ამოიჭრა გულში. ამჯერად სტრატოსფეროში - 15 ათას მეტრზე აფრენა სურს. მისი ხასიათის გათვალისწინებით, ალბათ, ამ საქმესაც ბოლომდე მიიყვანს.

# მკრეხელობის ეკრანიზაცია

2005 წლის ზაფხულში, პარიზში დაიწყო დენ ბრაუნის წიგნის "და ვინჩის კოდის" ეკრანიზაციაზე მუშაობა, ფილმი ეკრანებზე სავარაუდოდ 2006 წლის მაისში გამოვა, თუმცა წიგნის ეკრანიზაციას კათოლიკური ეკლესია აპროტესტებს, რასაც რუსეთის საპატრიარქოც ეთანხმება. რუსეთის საპატრიარქოს წარმომადგენლის მამა მიხეილ დუდკოს თქმით წიგნიც და მისი ეკრანიზაციაც მკრეხელობაა. დენ ბრაუნის ნაწარმოებში აღწერილია, რომ იესო ქრისტეს და მარია მაგდალინელს საერთო შვილი ჰყავდათ. "კინო ხომ უფრო ამძაფრებს სიტუაციას, რადგან ადამიანი ვიზუალურად უფრო მკვეთრად აღიქვამს მოვლენებს და ეს ფილმი მორწმუნე მაყურებელს შეურაცხყოფას მიაყენებს, რადგან იესოს არ შეიძლებოდა ჰყოლოდა უკანონო შვილი" - ამბობს მიხეილ დუდკო.

„და ვინჩის კოდის" გარშემო კიდევ ერთი სკანდალი აგორდა, რომელიც სასამართლომდე მივიდა. ახალზელანდიელი მაიკლ ბეიგენტი და ამერიკელი რიჩარდ ლეი, ავტორები წიგნისა „წმინდა სისხლი და წმინდა გრაალი", რომელიც 1982 წელს გამოვიდა, დენ ბრაუნს პლაგიატობაში ადანაშაულებენ, მათი თქმით დენ ბრაუნმა მათგან გადაიღო ვერსია იესო ქრისტესა და მარია მაგდალინელის ქორწინებაზე. თუმცა, არავინ იცის, იქნებ ამ სკანდალმა ფილმს მეტი პოპულარობაც კი მოუტანოს.

**TV5 MONDE**
**6 მარტი**

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** ოჰ, გოგონებო. დოკ. ფილმი. **08.30** ტელეტურიზმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ეკატერინე. სერიალი. **12.05** ჩვენი სახლი. **13.15** პიერ მენდ ფრანსი: კვალი. დოკ. ფილმი. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.25** ბალკანეთის უკანასკნელი მბრძანებელი. მხ ფილმი. რეჟისორი მიშელ ფავარი. 2005. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.05** გადაცემა: თვალსაზრისი. 21.30. მხ ფილმი. წითელი კაბა. რეჟისორი ჯენევიევ ლეფებვრი. 1986. **24.00** ბაქანი N1 ტელესერიალი. **02.15** გადაცემა: ყველას თავს ვერ მოაწონებ.

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





# მშვიდობით!

CNN-ში მორიგი ისტორიული მომენტი დგას. უმსხვილესი მედიაკორპორაციის დამფუძნებელი ტედ ტერნერი გასართობ ინდუსტრიასთან დასამშვიდობებლად ემზადება. მისი წასვლით "თაიმ უორნერის" ისტორიაში ერთი დიდი თავი დასრულდება.

ტერნერი კომპანიის აღმასრულებელ საბჭოს მაისში დატოვებს. მასთან ერთად წავა საბჭოს მეორე წევრიც – კარლა ჰილზი. კარლა 72 წლისაა და საპენსიო ასაკის გამო დაემშვიდობება კომპანიას. მათი წასვლით მსოფლიოს უმსხვილესი მედია-კონგლომერატის საბჭოს წევრების რაოდენობა 11-მდე შემცირდება.

67 წლის ტედ ტერნერი ბოლო წლებში ნელ-ნელა იხევდა უკან და ახლა კომპანიის საქმეებში ჩარევას საერთოდ შეწყვეტს. მას "თაიმ უორნერთან" ერთადერთი – წილი დააკავშირებს. ის ხომ კომპანიის კერძო მეწილეებს შორის ერთ-ერთ ყველაზე დიდ წილს ფლობს. ჯერჯერობით უცნობია, როდემდე აპირებს ის თავისი წილის შენარჩუნებას.

ტერნერის წარმომადგენლის განმარტებით, CNN-ის დამფუძნებელი "თაიმ უორნერიდან" მიდის იმიტომ, რომ სურს თავის ფილანტროპიულ საქმიანობას და რესტორნის მზარდ ბიზნესს მიხედოს.

ტერნერი ფილანტროპიით მრავალი წლის წინ დაინტერესდა. ის თანამშრომლობს გაეროს ფონდთან და აქვს საკუთარი – "ტერნერის ფონდიც", რომელიც გარემოს დაცვის პროექტებს უჭერს მხარს. რაც შეეხება რესტორნების ქსელს, "ტედის მონტანა გრილ"-ის ქსელი უკვე ძალიან პოპულარულია, 40-მდე მისამართზეა გახსნილი და, როგორც სარეკლამო დევიზი გვატყობინებს, "მომხმარებელს 21-ე საუკუნის გემრიელ კერძებს" სთავაზობს.

**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**



გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# ბონო ანდებში



საერთაშორისო გაერთიანება Amnesty International-ის ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონიალი სანტიაგოში, ჩილეს ნაციონალურ სტადიონზე გაიმართა – იქ, სადაც წინათ პოლიტიკურ პატიმრებს აკავებდნენ ხოლმე. კვირას კი იგივე სტადიონზე ირლანდიური როკ-ჯგუფი U2 დააჯილდოვეს. ორდენი მათ ჩილეს ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა მიშელ ბაჩელეტმა გადასცა – ქვეყნის პირველმა ქალმა პრეზიდენტმა, რომლის ინაუგურაციაც 11 მარტს გაიმართება და რომელიც 70-იან წლებში თვითონაც პოლიტპატიმარი იყო. "თქვენი მოღვაწეობა იმის დასტურია, რომ მსოფლიოს შეცვლა მხოლოდ პოლიტიკოსებსა და მთავრობას არ შეუძლიათ. თქვენი მოღვაწეობა იმის დასტურია, რომ მსოფლიოს შეცვლა თითოეულ ჩვენგანს ძალუძს", - აღნიშნა ქალბატონმა პრეზიდენტმა. დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ კი სანტიაგოს სტადიონზე შეკრებილმა აუდიტორიამ უკვე U2-ს კონცერტით ისიამოვნა.

რაც შეეხება U2-ს დაჯილდოების მიზეზს, Amnesty International-მა ასე განმარტა: ბონო, ეჯი, ადამ ქლეითონი და ლერი მალენი, თავიანთ მენეჯერ პოლ მაქგინესთან ერთად დიდ საქმეს აკეთებენ იმიტომ, რომ აგერ უკვე მეორე ათწლეულია თავიანთ მუსიკას და ვარსკვლავის სტატუსს ადამიანის უფლებების დაცვისთვის იყენებენ.

ადამიანის უფლებების საკითხი კი ჩილეში დღემდე მწვავედ დგას. ის, რაც 70-80-იან წლებში ქვეყანაში ტრიალებდა, დღემდე აქტუალურია. ჩილეში ახლაც ისმენენ მაშინდელი სამხედრო და საიდუმლო აგენტების ჩვენებებს და ბრალსაც სდებენ დამნაშავეებს. თუმცა, დანაშაულის დამტკიცება ხშირ შემთხვევაში ძნელია, რადგან ძველი სამხედრო სისტემის წარმომადგენლების უმრავლესობა დუმილის უფლებას იყენებს.

ბონოს ეს დუმილი საშინლად აღიზიანებს. ის ამბობს: "ამ ქვეყანაში კვლავაც ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც ჩუმად არიან და საშინელ საიდუმლოებებს წლობით ატარებენ. მინდა ვუთხრა მათ, ახლა დგას ის მომენტი, როცა ჩილეს ცხოვრება ახალი წერტილიდან უნდა ავითვალოთ; როცა უნდა გავთავისუფლდეთ წარსული საიდუმლოებებისგან და წინ, მომავლისკენ გავიხედოთ".

ცერემონიალამდე ცოტა ხნით ადრე ბონო ჩილეს მოქმედ პრეზიდენტს რიკარდო ლაგოსს შეხვდა. სწორედ მისგან მიიღო პაბლო ნერუდას სახელობის პრიზი ხელოვნებასა და კულტურაში. ეს ჩილეს უმაღლესი ჯილდოა, რომლის გადაცემის დროსაც ლაგოსმა ბონოს ურჩია, რომ კარგი იქნება, თუ ის ტრადიციულ ანდურ ინსტრუმენტებზე დაკვრას ისწავლის, ისეთზე, როგორიც ჩარანგოა. ლაგოსმა მომღერალს პრიზთან ერთად ჩარანგოც გადასცა და დასძინა: "როცა ბონოს ადრე შევხვდი, მითხრა, რომ კაცი სიკვდილამდე სწავლობს. ამიტომ იმედი მაქვს, როცა ის მეორედ ეწვევა ჩილეს, ამ საკრავზე დაკვრაც ეცოდინება".

ბონომ კი, თავის მხრივ, პაბლო ნერუდა გაიხსენა და აღნიშნა: "ეს დიდი პოეტი ჩემზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს".

U2-ს ეს გაჩერება ჩილეში ჯგუფის სამხრეთამერიკული ტურნეს ნაწილია. ჯგუფი მსოფლიო ტურნეს ფარგლებში ახლა უკვე ლათინურ ამერიკას სტუმრობს და სიმღერის გარდა პოლიტიკასა და სამხრეთამერიკული ქვეყნების სოციალურ მდგომარეობაზეც ხშირად საუბრობენ. ბრაზილიაში ვიზიტის დროს ბონო შეხვდა პრეზიდენტ ლუის ინასიო ლულა და სილვას, გაეცნო მთავრობის მიერ შემუშავებულ სიღარიბის დაძლევის პროგრამას, ჯანდაცვის მინისტრისგან კი პრეზერვატივების მთელი პაკეტი და შიდსის შესახებ გამოცემული ბუკლეტები მიიღო.

**ყურადღება!**
რესტორანი
**"დაკარგული სამოთხე"**

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207

პრესომბუდსმენი

# ვინ კვებავს ფუნდამენტალისტურ განწყობებს საქართველოში?

ნოდარ ლადარია

*საქართველო არასოდეს ყოფილა ასე ახლოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასთან. ამავე დროს, არასოდეს ასე აშკარად არ გამჟღავნებულა ის, რის წინააღმდეგ ჩვენში მხოლოდ თითო-ოროლა ინტელექტუალს თუ ამოუღია ხმა და ისიც უშედეგოდ. იმას ვგულისხმობ, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ცივილური მექანიზმებით არ იმართება. სულ ცოტა ხნის წინათ ვხედავდით, როგორ ითხოვდნენ პატიმრები და მათი ნათესავები ციხეებში კრიმინალური ავტორიტეტების შეყვანას წესრიგის დასამყარებლად. ახლა თვალს ვადევნებთ აქციებს სალარო აპარატების წინააღმდეგ. ამ ორი მოვლენის ბუნება იდენტურია: ჯანყი ცივილიზაციის წინააღმდეგ.*

*ვითარება თითქოს ნათელია, მაგრამ მას ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ახლავს: საზოგადოებრივ ცხოვრებას ჩამოშორდა ფორმალური საფარველი და აშკარად გამოჩნდა ატავისტური ურთიერთობები, რომლებიც ყოველთვის მართავდა მას. ნათესაობა, „ძმაკაცობა“, „სასტავის“ წევრობა იმდენად ღრმა კრიზისშია, რომ მხოლოდ ბრმები ვერ ხედავენ: მრავალი ოდესღაც ცნობადი ადამიანის სახით ტელეეკრანებიდან და საგაზეთო ფურცლებიდან გუშინდელი დღე გვესაუბრება. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე დღევანდელი პუბლიკაციის ადგილი დეკანოზ ბასილ კობახიძესთან ინტერვიუსათვის დამეთმო, მით უმეტეს, რომ იგი ახლახან ჩამოვიდა ბრაზილიიდან, სადაც ქალაქ პორტუ-ალეგრიში მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს გენერალურ ასამბლეაზე იმყოფებოდა. ვფიქრობ, სამართლიანი იქნება, თუ ამ ინტერვიუს წინ წავუმძღვარებ სახარების ერთ ადგილს: „არავინ შთაასხას ღვინოი ახალი თხიერთა ძუელთა, რაითა არა განხეთქნეს ღვინომან ახალმან თხიერნი იგი“ (ლუკა, 5; 37). მართლაც, ვერ უძლებს ჩვენი ყოფითი ჩვეულებებისა და ტანში გამჯდარი შეხედულებების ჭურჭელი ცხოვრების ახალ ღვინოს. მაგრამ ახალი ჭურჭელი სადღა ვიშოვოთ?*






ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



*ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციასთან: მარცხნივ - მიტრ. დომეტიანე, მარჯვნივ - მიტრ. კირილე.*

**- მამაო, მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს (მეს) ამჟამინდელი გენერალური ასამბლეა რაიმე თემატიკისადმი იყო მიძღვნილი, რაიმე დევიზი ჰქონდა მას?**

- პორტუ-ალეგრის გენერალური ასამბლეა, რომელიც წელს 14-23 თებერვალს გაიმართა, რიგით მეცხრეა. პირველი კი 1948 წელს ჩატარდა. ყოველ ასამბლეას მართლაც გარკვეული თემა აქვს. ამჟამინდელის თემა ასე ჟღერს: „უფალო, წყალობითა შენითა, გარდაქმენ ჩვენი სამყარო“. ამ ლოცვით ფრაზაში ჩადებულია არა მარტო რელიგიური, არამედ სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, გენდერული და სხვა მნიშვნელოვანი შინაარსი. ამაში ჩანს, რომ რელიგიას მიმდინარე მსოფლიო პროცესებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს. აქ არა მარტო წმინდა თეოლოგიურ მომენტებს ვგულისხმობ, არამედ რელიგიის, კერძოდ, ქრისტიანობის გავლენას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე. მაგალითად, ახლახან მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა **ალვარო ხილ-რობლესმა**, რომ ევროსაბჭო აპირებს რელიგიური ექსპერტების საკონსულტაციო საბჭოს შექმნას. ეს მოწმობს იმას, რომ ევროსაბჭო აფასებს რელიგიური ფაქტორის მნიშვნელობას...

**- მაშინ როცა საქართველოში მსგავსი რამ არ არსებობს. არც აღმასრულებელ და არც საკანონმდებლო ხელისუფლებას არ უფიქრია რელიგიის ექსპერტებისგან კონსულტაციის მიღებაზე...**

- სრული სიმართლეა. თუნდაც უკრაინისაგან განსხვავებით, სადაც როგორც აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ასევე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არის შესაბამისი საკონსულტაციო სამსახური. ამ თვალსაზრისით, რელიგიური ფაქტორის მნიშვნელობა მთელი სისავსით წარმოჩნდება მეს-ის გენერალურ ასამბლეებზე. თუნდაც იმით, რომ სხვადასხვა რეგიონს სხვადასხვა სიძნელეები ახასიათებს. მაგალითად, წინა ასამბლეა, სადაც ასევე გახლდით, ჩატარდა 1998 წელს ზიმბაბვეში და იქ ძირითადი ყურადღება გამახვილდა აფრიკის პრობლემებზე: განიხილებოდა, მაგალითად მედიცინის მდგომარეობა, რადგან იქ შიდსი მძვინვარებს, ან ბავშვთა კვების პრობლემა. აქვე დაისვა გენოციდების პრობლემა, რომელიც ძალიან მწვავეა აფრიკისთვის (გავიხსენოთ თუნდაც რუანდასა და ბურუნდის შორის კონფლიქტი).

ლათინურ ამერიკასაც თავისი სიძნელეები აქვს. ბრაზილიაში, არგენტინაში, ურუგვაიში და სხვა ქვეყნებში განსაკუთრებით თვალსაჩინოა საზოგადოების დაყოფა მდიდრებად და ღარიბებად, საშუალო სოციალური ფენის გაქრობა, ასევე მწვავეა დიქტატურების დანატოვარი მემკვიდრეობა და სხვა. ამას ეძღვნებოდა გენერალური ასამბლეა, რომელსაც ესწრებოდა 7000-ზე მეტი წარგზავნილი მთელი მსოფლიოდან. საპატიო სტუმრის სტატუსით სარგებლობდა სამხრეთაფრიკული აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლი ანგლიკანი მთავარეპისკოპოსი **დესმონდ ტუტუ**, ასევე ბრაზილიის პირველი დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი **ლუის იგნასიო ლულა და სილვა**, რომლის წარმოთქმული სიტყვა დამყარებული იყო პლურალიზმის, პოლიკონფესიურობისა და პოლიეთნიკურობის ლიბერალურ ღირებულებებზე. საინტერესოა, რომ მანამდე გამოსული ბრაზილიელი გუბერნატორების სიტყვები ძალიან ჰგავდა ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის გამოსვლას: ისინი ბოროტად იყენებდნენ რელიგიურ ფაქტორს, ლამის ქადაგებას იწყებდნენ ტრიბუნიდან.

**- აქ უკვე გამოიკვეთა საქართველოსთან სიახლოვის ორი მომენტი: საზოგადოების ეკონომიკური გახლეჩა და ის, რომ პრეზიდენტი გაცილებით უფრო იდეოლოგიურად გამართულია საშუალო რანგის პოლიტიკოსებთან შედარებით. რა გამოწვევა შეიძლება დადგეს ქრისტიანობის წინაშე ამგვარ ვითარებაში?**

- მე მაინც დავასრულებდი სათქმელს: რელიგიური საკითხების შემსწავლელი ცენტრის დირექტორს, ლადო გოგიაშვილსა და მე საშუალება მოგვეცა, გავსაუბრებოდით ბრაზილიის პრეზიდენტს. ეს მისი ინიციატივა იყო, რადგან გაიგო, რომ საქართველოდანაც არის ვიღაც ჩამოსული. ბატონმა და სილვამ, რომელიც ჩვენს შესახვედრად ჩამოვიდა ტრიბუნიდან, გვითხრა, რომ თვალს ადევნებდა ვარდების რევოლუციას, თქვა, რომ მასა და **მიხეილ სააკაშვილს** ერთნაირი დაბრკოლებები ხვდება სახელმწიფო აღმშენებლობის გზაზე და მოკითხვაც დაგვაბარა ჩვენს პრეზიდენტთან. ვიყენებ შესაძლებლობას და თქვენი გაზეთის საშუალებით გადავცემ მას ამ მოკითხვას.

მე კი ვიტყოდი, რომ, საქართველოსაგან განსხვავებით, ბრაზილიაში არ შეიმჩნევა ეთნიკური დაპირისპირება საზოგადოებაში: იქ არავინ ამტკიცებს, რომ „ჭეშმარიტი მამულიშვილის“ ბებია აუცილებლად თეთრკანიანი უნდა იყოს და არაყი „უშბა“ უყვარდეს. ძირითადი პრობლემები მაინც სოციალურ-ეკონომიკური ხასიათისაა და ამიტომ წლევანდელი გენერალური ასამბლეის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო გასული საუკუნის ერთი გერმანელი იეზუიტი თეოლოგის, **ოსკარ ფონ ნელ-ბრონინგის** იდეა, რომ ჩვენ, ქრისტიანებს უნდა გვრცხვენოდეს, რადგან მშრომელთა ჩაგვრის პრობლემის დაყენება **კარლ მარქსმა** დაგვასწრო. ამ პრობლემატიკის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აღმოსავლურმა ეკლესიებმაც: წელს ასამბლეის მოდერატორი იყო კილიკიელი სომეხი პატრიარქი **არამ I (კეშიშიანი)**, ასევე ყველა მართლმადიდებელი ეკლესიაც იყო წარმოდგენილი, მათ შორის სერბეთისა და ბულგარეთისაც. აკლდა მხოლოდ საქართველოს ოფიციალური დელეგაცია.

მართალია, ათიოდე წლის წინათ ფუნდამენტალისტურად განწყობილი დაჯგუფებების გავლენით საქართველოს სამოციქულო ეკლესია გამოვიდა მეს-ის რიგებიდან, მაგრამ რაღაც კავშირებს მაინც ინარჩუნებს: კათოლიკოს-პატრიარქის პირადი წერილის საფუძველზე უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც მეს-ში მუშაობს თეოლოგი **თამარ გრძელიძე**, გარდა ამისა, გასულ ზაფხულს, შვეიცარიაში მეს-ის დაფინანსებით ეკუმენური ღვთისმეტყველების ინსტიტუტში სტაჟირება გაიარა დეკანოზმა **დავით შარაშენიძემ**. საზოგადოებისთვის ცნობილი არაა, რომ ოქონის ტრიპტიქონის შვეიცარიიდან საქართველოში დაბრუნებაც მეს-ის დაფინანსებით მოხდა.

**- ნუთუ უნდა ვიფიქროთ, რომ ერთგვარი ორმაგი სტანდარტი მოქმედებს?**

- ამას დანამდვილებით ვერ ვიტყვი. ფაქტი ისაა, რომ მეს-ის ცენტრალურ კომიტეტში დღემდე გვინარჩუნდება ერთი ადგილი. ჩვენ კი ასამბლეაზე გახლდით კერძო სტუმრების სტატუსით, ხოლო ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის მთავარეპისკოპოსი, **მალხაზ სონღულაშვილი** დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობდა. იქვე გახლდათ უკვე ნახსენები თამარ გრძელიძე, როგორც მეს-ის თანამშრომელი. რა თქმა უნდა, არაფორმალურ და კონფესიათა შეხვედრებზე ჩვენ გამოვდიოდით სიტყვით და ვამბობდით ფუნდამენტალისტური განწყობების ერთგვარ გამარჯვებაზე, რომელსაც ადგილი აქვს დღევანდელ საქართველოში.

**- ახლა კი წარმოვიდგინოთ, რომ საქართველო დაუბრუნდა მეს-ის წევრობას. რა შესაძლებლობები გაიხსნება ამით?**

- უპირველეს ყოვლისა, ეს მოგვცემს ინფორმაციას მსოფლიო ქრისტიანობაში მიმდინარე პროცესების შესახებ. დანარჩენის ასახსნელად კი მაგალითს უნდა მივმართო: რუსეთის დელეგაცია ძალიან აქტიურად იყენებს მეს-ის წევრობას თავის სასარგებლოდ. მოსკოვის საპატრიარქოს დავალებული აქვს გარკვეული იდეოლოგიის გატარება...

**- ვინ ავალებს?..**

- ის, ვისი მსახურიც იყო მოსკოვის საპატრიარქო მთელი ისტორიის განმავლობაში — რუსეთის იმპერია... იდეოლოგიის არსი კი ლიბერალურ დემოკრატიასთან დაპირისპირებაა. ასამბლეაზეც განსაკუთრებით როყიოდ ლაპარაკობდნენ მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენლები. აცხადებდნენ, მაგალითად, რომ ადამიანის უფლებათა კონცეფცია არაა ერთადერთი მოდელი, რომ არსებობს „მართლმადიდებლური“ და „ისლამური“ მოდელებიც. თუმცა არგუმენტაცია საკმაოდ უსუსური იყო: თითქოს ადამიანის ღირსების და მის უფლებათა აღიარება კარს უღებდეს ცოდვას, გარყვნილებას და ა. შ. აპრილში რუსეთში დაგეგმილია „რუსი ხალხის მსოფლიო კრების“ მოწვევა, სადაც განზრახული აქვთ საბოლოო იდეოლოგიური შეტევა ლიბერალური დემოკრატიის წინააღმდეგ. რუსეთის სახელმწიფო იდეოლოგიის ჩამოყალიბება სწორედ საპატრიარქოს ევალება.

ამგვარ მძიმე კონტექსტში საქართველოს ეკლესიას ექნებოდა საშუალება, მსოფლიო ქრისტიანული საზოგადოებრიობის ყურამდე მიეტანა აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემები, ერთგვარად ემხილებინა რუსული ექსპანსიონიზმი. მსგავსად იმისა, როგორც კვიპროსისა და სერბიის დელეგაციებმა დასვეს ანალოგიური პრობლემები კვიპროსსა და კოსოვოში. პირადად მე აფხაზეთისა და ცხინვალის გარდა ვეცადე, დამესვა ჩეჩნეთის პრობლემაც, მაგრამ მოსკოვის დელეგაცია ამიყვირდა, რომ ამის უფლება არა მაქვს.

სარგებლობის მეორე მომენტი არის საერთაშორისო გამოცდილების მიღება: მაგალითად, ბრაზილიაში მძაფრად დგას ბავშვთა დამნაშავეობისა და ნარკომანიის პრობლემა. ამ სიდუხჭირემ გამოიწვია რადიკალური მემარცხენე დისკურსის გაძლიერება, რასაც ძალიან უჭერდა მხარს რუსეთი. ეს საფრთხე საქართველოშიც იგრძნობა, ჩვენ კი უნდა ვიცოდეთ მისი მოგვარების გზები.

**- უკრაინის დამოუკიდებელი ეკლესიის საკითხი ხომ არ დასმულა?**

- რუსეთის დელეგაცია ყველანაირად ცდილობდა ჩვენთვის სახელის გაფუჭებას. მათ ეშინოდათ, რომ ეს საკითხი არ დასმულიყო. აინტერესებდათ ჩემი სამკერდე ჯვარი, მაგრამ როდესაც კითხულობდნენ მასზე ნაჩუქრობის წარწერას კიევის პატრიარქ **ფილარეტისგან**, მწვანდებოდნენ და აღარ მესალმებოდნენ. ვენისა და ავსტრიის რუსმა ეპისკოპოსმა, **ილარიონმა (ალფეევმა)** ყველას მაგიერ განცხადებაც კი გააკეთა, რომ კიევის საპატრიარქოს შემოსვლას მეს-ში არასოდეს დაეთანხმებოდნენ მართლმადიდებელი ეკლესიები. რუსები სულ მუდამ აცხადებენ, რომ ყველაზე მრავალრიცხოვანნი არიან და ამიტომ უნდა გაუწიონ ანგარიში მათ ნება-სურვილს. რუსების გამოსვლები გამოირჩევა უხეშობით. მაგალითად, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილემ, დეკანოზმა **ვსევოლოდ ჩაპლინმა** შეურაცხყოფა მიაყენა ასამბლეის ახალგაზრდა დელეგატებს, რის შემდეგ ოთხიათასიანი სხდომის თავმჯდომარემ გააწყვეტინა და უთხრა, რომ არ დაუშვებს სიტყვის გაგრძელებას, სანამ გამომსვლელი ბოდიშს არ მოიხდის.

**- ძალიან მაგონებს ნიკიტა ხრუშჩოვის ცნობილ გამოსვლას გაეროში...**

- ეს ანალოგია სრულიად გამართლებულია იმითაც, რომ რუსი დელეგატები ღვთისმსახურები კი არა, დღემდე სპეცსამსახურების ოფიცრები არიან, რასაც არ მალავენ და სასულიერო შესამოსელსაც სამსახურებრივი ვალდებულების გამო ატარებენ. მაგრამ ჩვენს მხარეზე არიან ბერძნულენოვანი ეკლესიები, რუმინეთის ეკლესია და გარკვეული დროიდან ბულგარეთიც. უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში ბევრს აკეთებს ქ-ნი თამარ გრძელიძეც. ამრიგად, არსებობს იმედი, რომ შემდეგ გენერალურ ასამბლეაზე საქართველო ოფიციალური დელეგაციით წარდგება.

**- ახლა კი უფრო მნიშვნელოვანი შეკითხვა: რა ადამიანური რესურსები, მომზადების რა დონე არსებობს ამისთვის? მახსოვს, ადრე ჩვენი იერარქები არ გამოირჩეოდნენ დიდი საერთაშორისო კულტურით და მხოლოდ პრობლემებს უქმნიდნენ თარჯიმანს, რომელმაც, მაგალითად, ინდოეთის დედაქალაქ დელიში არ იცოდა, როგორ ეთარგმნა მთავარეპისკოპოს ამბროსი ქათამაძის შეთხზული და მერე ტრიბუნიდან წაკითხული უაზრო ლექსები.**

- მართალია, რომ ჩვენი ეკლესია გამოირჩევა ინტელექტუალური სიმწირითა და უმწეობით. ძალიან ხშირად საქართველოს დელეგაციებს თავი ეჭრებოდა სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებზე და მათი წევრები მონაწილეობის მაგიერ მაღაზიებში დარბოდნენ. ამის შესახებ მერე კათოლიკოს-პატრიარქს მოსდიოდა წერილები. მაგრამ ჩემი იდეა შემდეგია: თუ ჩვენ მსოფლიო თანამეგობრობაში პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ინტეგრაციას ვესწრაფვით, არ შეიძლება, ეკლესიის პოზიცია ამის დიამეტრულად საწინააღმდეგო იყოს. მართლმადიდებლობა არ არის რუსული იმპერიული იდეოლოგია: არ უნდა ვიფიქროთ, რომ ოჯახის, სიყვარულის, ადამიანის უფლებების, საზოგადოებრივი იდეალების შესახებ მართლმადიდებლური წარმოდგენები აუცილებლად ემთხვევა რუსი „დერჟავნიკების“ შეხედულებებს ალექსეი ხომიაკოვიდან ალექსანდრე დუგინამდე. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ სწორედ ეს ავადმყოფური იდეები იკიდებს ფეხს საქართველოში და „ეროვნულ“ შეფერილობასაც იღებს, მაგალითად, ბაგრატიონთა საკრალიზაციისა და თავადაზნაურთა კლასის წინაშე პიეტეტის, ფსევდოპატრიოტიზმისა და გარეგნული ღვთისმოსაობის სახით.

**- მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში გამოიკვეთა „ცხელი წერტილი“ თბილისის სასულიერო აკადემიის სახით, სადაც სტუდენტთა შორის იგრძნობა ერთგვარი განახლებისკენ სწრაფვა...**

- სამწუხაროდ, სასწავლო პროცესი ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში ძალიან მდორეა. პედაგოგიური რესურსები ძალიან მწირია. მაგრამ თვით სიწრფელე, ახლის ძიება, ჭეშმარიტების წყურვილი, რითაც გამოირჩევა ახალგაზრდობა, განაპირობებს იმას, რომ იქ რაღაც სულიერი მოძრაობა შეინიშნება. მაგრამ ამას მეთოდურად ახშობენ როგორც ადმინისტრაცია, ასევე ფუნამენტალისტური დაჯგუფებები. ხშირად სტუდენტებს ფიზიკურადაც უსწორდებიან: არაერთხელ მოხდა მათი გალახვა, და ორჯერ დანით დაჭრაც კი. ამაზე არანაირი რეაქცია არ ჰქონდა საპატრიარქოს. რამდენიმე კვირის წინ ფუნდამენტალისტებმა აკადემიაში ობსტრუქცია მოუწყვეს კარდინალ **ვალტერ კასპერს**, თვალსაჩინო კათოლიკე ღვთისმეტყველსა და საერთაშორისო მოღვაწეს, რაც ჩვენს საზოგადოებას თითქოს არც აინტერესებს, თუმცა შეუძლია გაცხარებით იმსჯელოს ქანდაკების გადატანა-გადმოტანის გარშემო...

მაგრამ დავსვათ შეკითხვა: ვინ კვებავს ფუნდამენტალისტურ განწყობებს საქართველოში და ვისი ეშინია კათოლიკოს-პატრიარქს? — მე არა ვარ პარანოიდული იდეებით შეპყრობილი, მაგრამ პასუხი ერთადერთია: ეს არის რუსეთი. მართალია რუსულ სულიერ დიქტატს აქ ნოყიერი ნიადაგი დახვდა, რადგან არავინ იყო დაინტერესებული ადამიანის აღზრდით. ჩვენში სასულიერო განათლებაზე მიახლოებითი და მითოლოგიური წარმოდგენები ჰქონდათ. ამიტომაც, სანამ ქრისტიანობის შესასწავლად ჩვენი სტუდენტებისთვის ერთადერთი წყარო იქნება რუსული ენა და რუსულენოვანი ლიტერატურა, რუსულ ექსპანსიონიზმს მნიშვნელოვანი იდეოლოგიური დასაყრდენი ეყოლება ჩვენში.

**- თავიდან ვამბობდი, რომ საქართველოში ახლა პოლიტიკური პროცესი გააქტიურდა. ხელისუფლებას ავტორიტარიზმში ადანაშაულებენ. არც უმაგისობაა, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, სიტყვა „ავტორიტარიზმი“ პაროლია, სიმბოლოა, რომლითაც პერსპექტივას მოკლებული სუბიექტები საკუთარ აგონიას აღნიშნავენ. საერო ცხოვრების განახლება, რაგინდ ძნელი არ უნდა იყოს, გარდაუვალია. მაგრამ რა გავლენას მოახდენს ეს განახლება ეკლესიაში მიმდინარე პროცესებზე?**

- ეს ძალიან საინტერესო შეკითხვაა. უდავოა, რომ გავლენას მოახდენს. მაგრამ როგორი იქნება ეს გავლენა? აშკარაა, რომ ყველა, ვინც კი რაღაც კულტურის მატარებელი იყო, ან გააგდეს საქართველოს ეკლესიიდან, ან სულიერად დათრგუნეს. თაობები მოდიან ეკლესიაში, მაგრამ იმგვარად იცხრილებიან, რომ ყველაზე გონიერები და გულწრფელები იმ 23 სტუდენტის ბედს იზიარებენ, რომლებიც საპატრიარქომ გარიცხა და ახლა კმაყოფილია. თუ ასე გაგრძელდა, მოხდება გარკვეული შოკი, კონფლიქტი, რომლის ერთ მხარეს ინტელექტუალური საზოგადოების უმრავლესობა აღმოჩნდება, მეორე მხარეს კი ხელმოცარული ფილოლოგებით გარშემორტყმული საპატრიარქო. კონფლიქტის შემდეგ კი დაიწყება დექრისტიანიზაცია. ამას ვხედავთ ჩვენ დღევანდელ საბერძნეთში, ლატვიის მართლმადიდებელ ეკლესიაში და სხვაგანაც. ამისაგან კი ვერ გვიხსნის ვერც XIX საუკუნის რუსული ღვთისმეტყველება და ვერც იერარქთა ბიზანტიური ძალაუფლება.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ქუთაისის 43-ე საჯარო სკოლა ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს იწვევს კვების პროდუქტების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

2. დაფინანსების წყარო: ცენტრალური ბიუჯეტი.

ლოტი 1 - პურპროდუქტები
პური თეთრი კგ 14850
პურის ფქვილი კგ 360
ფუნთუშა ც 29700
ნამცხვარი კგ 675

ლოტი 2 - ბურღულეული
მანი კგ 1260
ბრინჯი კგ 630
წიწიბურა კგ 450
მაკარონი კგ 810

ლოტი 3 - ხორცის პროდუქტები
საქონლის ხორცი კგ 4050
თევზი კგ 450

ლოტი 4 - სხვა პროდუქტები
შაქარი კგ 2079
კარაქი კგ 1485
ჩაი კგ 27
კარტოფილი კგ 11700
ჭარხალი კგ 450
კომბოსტო კგ 1350
სტაფილო კგ 612
ნიორი კგ 270
ხახვი კგ 1350
მწვანილი კგ 450
რძე შედედებული კგ 2250
ზეთი ლ 540
ტომატი კგ 535
კანფეტი კგ 720
კაკაო კგ 45
კვერცხი ც 29700
კისელი კგ 360
ვანილი კგ 0,9
ხმელი სუნელი კგ 90
მარილი კგ 135
ძმარი ლ 20
ქიშმიში კგ 63
ხილი კგ 9000
თაფლი კგ 180
მინერალური წყალი ლ 4500
მაწონი ლ 2250
არაჟანი კგ 900
ხილის წვენი ლ 8262

3. ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2006 წლის 31 დეკემბრამდე, ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან არა უმეტეს 1 დღეში, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2006 წლის 6 მარტიდან 25 მარტამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. № 17, 43-ე საჯარო სკოლა.

5. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად (დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 27-28 მარტს 10 საათიდან 16 საათამდე ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2006 წლის 28 მარტს 16 საათზე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირისათვის:
- რეგისტრაციის მოწმობა;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- ცნობა შესაბამისი სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის მანძილზე არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

ფიზიკური პირისათვის:
- ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედითუნარიანობის შესახებ;
- ცნობა შესაბამისი რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
- ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის მანძილზე არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:
- წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს და გვარს;
- ცნობას, რომ არ ერიცხება დავალიანება ბიუჯეტის წინაშე (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია ბოლო 3 წლის მანძილზე განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ;
- ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი და ლიცენზია შესაბამისი საქმიანობის განხორციელების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში).

ზემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა ეხება სუბკონტრაქტორებსაც, მათი არსებობის შემთხვევაში.

7. ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული (თითო ლოტზე ცალ-ცალკე). გამარჯვებულმა (გამარჯვებულებმა) შესაბამისი საქონლის მიწოდება უნდა დაიწყონ ხელშეკრულების დადებიდან შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნისთანავე.

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ აღნიშნულ ვადაში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება, ან არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან.

9. სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარი უნდა გადაიხადონ შემდეგ ანგარიშზე: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში 200122900, მიმღები საქართველოს ეროვნული ბანკის ცენტრალური ფილიალი, თბილისი მფო 220101107, ს/კ 212831550, ბიუჯეტის შემოსავლების სახაზინო კოდია 300184040, დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.

10. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, ნინო ხურციძე, მარინე ჭარხალაშვილი.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება
# საერთაშორისო ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო" (მის: ქ. თბილისი 0119, წერეთლის გამზირი N144) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს საერთაშორისო ორეტაპიან ტენდერს "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის და ინტეგრაციის ხელშეწყობის" 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის" ქვეპროგრამის ფარგლებში, შშმპ-თა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ცენტრების განვითარების უზრუნველყოფისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

***2. შესასყიდი მომსახურება*** - სხვადასხვა პროფილის დღის ცენტრების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინდივიდუალური განვითარება და მათი ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

***3. მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადები*** - 2006 წლის მაისიდან 31 დეკემბრამდე.

4. ტენდერში მონაწილეობისათვის დაშვებულია სუბ-კონტრაქტორების გამოყენებაც.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები სამ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 3 აპრილის 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბ-კონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) ინფორმაცია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (დამტკიცებული აუდიტის მიერ);

დ) დასკვნა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ;

ე) მომსახურების განხორციელების ადგილის მისამართი, შენობის (სათავსოს) გეგმა (დამოწმებული შესაბამისი სამსახურის მიერ), ქირავნობის ხელშეკრულების ასლი;

ვ) ინფორმაცია პროექტში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციისა და ანალოგიური საქმიანობის გამოცდილების შესახებ;

ზ) ინფორმაცია მსგავს პროექტებში მონაწილეობის გამოცდილების შესახებ;

თ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);

7. საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი - ქსეროასლის სახით.

8. მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მომსახურების აღწერილობა, გასაწევი მომსახურების ვადები და შედეგები;

ბ) პროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა შესაძლო მაქსიმალური რაოდენობა;

გ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ანგარიშზე: მიმღები - ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი N220101107, ანგარიშის N200122900, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი N300023133 (სატენდერო მოსაკრებელი), 2006 წლის 3 აპრილამდე, შემდეგ მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

12. სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

13. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული პირველადი სატენდერო წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიის დადებითი დასკვნა.

14. ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

15. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი ან რამდენიმე ალტერნატიული სატენდერო წინადადება

16. ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

17. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

18. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნათია ოდიშარია ტელ: 698485., მაია ბუჩუკური ტელ: 899116644 მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო). **E-mail: sales@s.ge**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა აცხადებს საერთაშორისო ღია ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების მიწოდების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

რაიონის ტერიტორიაზე არსებულ 52 სკოლამდელი დაწესებულების 7481 ბავშვისათვის შესასყიდი კვების პროდუქტების სავარაუდო რაოდენობა და მიწოდების პერიოდულობა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის პაკეტით, ხოლო კონკრეტული რაოდენობა - შემსყიდველის მიერ დაზუსტდება მიმწოდებელზე ყოველთვიურად გადაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა 2006 წლის 1 აპრილიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ (უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობის შემთხვევაში ინგლისურ) ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 24 მარტიდან 27 მარტის 17-სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა

უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს თან უნდა ახლდეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას*:

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით;

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

4.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის:

ა) ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) აN200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დანიშნულება-ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 6 მარტიდან 2006 წლის 23 მარტამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა

7. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 3% -ის ოდენობით.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნინო კიკვაძე, საკონტაქტო ტელეფონი:65-25-13, მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა

* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის მერიის შპს "მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო" აცხადებს ტენდერს საწვავი მასალების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ორ ლოტად:

I ლოტი -L-62 მარკის 8000000 ლიტრი დიზელი.

II ლოტი - რეგულარი მარკის 25000 ლიტრი ბენზინი. შესაძლებელია გამარჯვებული გამოვლინდეს ცალ-ცალკე ლოტების მიხედვით.

3. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ტენდერში გამარჯვებულმა დიზელის საწვავის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ეტაპობრივად ქ. თბილისში შემდეგ მისამართებზე: სარაჯიშვილის ქ. №23, ხევძმარის ქ. №1, ჟორესის ქ. №7, ხოლო ბენზინის მიწოდება მოხდება საბარათო სისტემის გამოყენებით, მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურებიდან.

4. პრეტენდენტი სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის ქვითრის წარმოდგენის შემდეგ (სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 202207307 კოდი №220101502 ანგარიშის №400467860) ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღებას შეძლებს 2006 წლის 7 მარტის 10 საათიდან 27 მარტის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი ცაბაძის ქ.№8 VII სართული სატენდერო კომისიის აპარატი.

5. პრეტენდენტებმა ტენდერში მონაწილეობის სურვილის განაცხადი უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 28 მარტის 10 საათიდან 29 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ცაბაძის ქ. №8 VII სართული სატენდერო კომისიის აპარატი. წარმოდგენილ განაცხადს თან უნდა ერთვოდეს დახურულ კონვერტში მოთავსებული სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენილს უნდა ერთვოდეს ქართულ ენაზე ნოტარიულით დამოწმებული თარგმანი) და სკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი და 4 ასლი).

6. პრეტენდენტების მეირ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

6.1 იურიდიულ პირთათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების და რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ცნობა, საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

6.2 ფიზიკური პირისათვის;

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

6.3 დამატებითი ინფორმაცია როგორც ფიზიკური, ისე იურიდიულ პირთათვის:

ა) ინფორმაცია პრეტენდენტის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

ბ) ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან)

გ) ინფორმაცია პრეტენდენტის ბოლო წლების (არაუმეტეს სამი წლის) ფინანსური მდგომარეობის (წარმოდგენილი უნდა იქნას აუდიტის დასკვნა) და დღეისათვის არსებული ფინანსური რესურსების შესახებ (ფულადი სახსრები, საკრედიტო საშუალებები და ა.შ.).

ე) ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

7. ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მოთხოვნათა შესაბამისად.

8. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი ხელშეკრულებსი ღირებულების 5%-ის ოდენობით.

დამატებით ცნობებისათვის მიმართოთ სატენდერო კომისიის წევრებს: მ. ჭამპურიძე ტელეფონი 95 17 46, მობ: 899 720 860; ზ. შენგელია ტელეფონი 34 10 29 მობ: 899 909 303.

**სატენდერო კომისია.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა აცხადებს საერთაშორისო ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების მიწოდების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

რაიონის ტერიტორიაზე არსებულ 48 სკოლამდელი დაწესებულების 8379 ბავშვისათვის შესასყიდი კვების პროდუქტების სავარაუდო რაოდენობა და მიწოდების პერიოდულობა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის პაკეტით, ხოლო კონკრეტული რაოდენობა შემსყიდველის მიერ დაზუსტდება მიმწოდებელზე ყოველთვიურად გადაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა 2006 წლის 1 აპრილიდან 2007 წლის 1 იანვრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ (უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობის შემთხვევაში ინგლისურ) ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 27 მარტიდან 28 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №14, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა.

უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს თან უნდა ახლდეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:*

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:

ა) ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა №200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი: ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა2006 წლის 7 მარტიდან 2006 წლის 24 მარტის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №14, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა.

7. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ამირან ნებიერიძე, საკონტაქტო ტელეფონი: 70 64 03, მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №14, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა.

* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

**სატენდერო კომისია**




**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს**
**სახელმწიფო რეგისტრაციისა და ლიცენზირების**
**დეპარტამენტის უფროსს**
**ბატონ გია გოგიბერიძეს**

**ბატონო გია,**

გიგზავნით აუდიტორულ დასკვნას (რეგისტრაციის ნომერი: 1-270206) პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლების" 2005 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ და პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლების" შემოსავალ-გასავლის ფინანსურ ანალიზს.

დანართი: აღნიშნული 2 ფურცლად.

**პატივისცემით**

**პოლიტიკური მოძრაობა**
**"თავისუფლების" თავმჯდომარე**

**კონსტანტინე გამსახურდია**

# შპს აუდიტური კონცერნი "ცოდნისა"

ლიცენზია ზოგად აუდიტში № ზ-024.
საიდენტიფიკაციო
ნომერი 211344188
თბილისი, აკურის ქ. №8, ო. 101, 103ა, 104. ტელ: 33 73 31, 33 73 71, 33 78 82
რეგისტრაციის ნომერი: 1-270206

# აუდიტორული დასკვნა

**პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლებ"-ის**
**2005 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა**
**და ანგარიშგების შესახებ**

1. ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლებ"-ის 2005 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და წლიური ანგარიშგების აუდიტი. აღნიშნული ორგანიზაცია წარმოადგენს პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 01.09.2003 წ., მინისტრის ბრძანება №970, საიდენტიფიკაციო კოდი №21228118511, სახელწოდებით "გაერთიანეული კონსერვატორები", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის ქ. №25ა. 2005 წლის 10 მარტს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით №419 შევიდა ცვლილება მის იურიდიულ სახელწოდებაში და ეწოდა პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლება".

2 ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საქართველოს 1995 წლის 7 თებერვლის კანონის "აუდიტორული საქმიანობის შესახებ" 22-ე მუხლის თანახმად. აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა ისეთი ფორმით, რომ დავრწმუნებულიყავით ბუღალტრული ანგარიშგების უტყუარობაში.

3 აუდიტისათვის წარმოდგენილი სააღრიცხვო დოკუმენტების და საანგარიშგებო მონაცემების მომზადებაზე, მათ სისრულეზე და სინამდვილეზე პასუხისმგებლობა აკისრია ზემოთაღნიშნული პოლიტიკური მოძრაობის ხელმძღვანელს. ჩვენს პასუხისმგებლობას შეადგენს ის, რომ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ აზრი მოცემული ანგარიშგების უტყუარობაზე.

4 ჩვენი აუდიტორული შემოწმების შედეგების მიხედვით, პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლება" კომერციულ საქმიანობას არ ეწევა. მის მიზანს წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება, აღმასრულებელ ხელისუფლების საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა, ხოლო მისი დაფინანსება ხდება საწევრო შენატანებისა და შემოწირულობების ხარჯზე. ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებდა აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IAS) მიხედვით, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს 2005 წლის საანგარიშო პერიოდს, მომზადებულია ბასს 1-ის და ბასს 7 მოთხოვნების შესაბამისად და ძირითად ასპექტებში მართებულად ასახავს პოლიტიკური გაერთიანების ფინანსურ მდგომარეობას 2006 წლის 1 იანვრისათვის.

მმართველი პარტნიორი



გ. ჩადუნელი
27.02.2006 წ.

**პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლებ"-ის შემოსავალ-გასავლის ფინანსური ანალიზი**

1 შემოსავლის წყაროები

1.1 შემოწირულობა - 4590 ლარი;
2 გაწეული ხარჯები:
2. 1 კონფერენციის მოწყობა - 4590 ლარი;

პოლიტიკური მოძრაობა
"თავისუფლებ"-ის თავმჯდომაერ კ. გამსახურდია
მთავარი ბუღალტერი თ. სხირტლაძე
შპს აუდიტური კონცერნი
"ცოდნისა"-ს მმართველი
პარტნიორი



გ. ჩადუნელი

# ავტომობილი 120 წლისაა




29 იანვარს ავტომობილს 120 წელი შეუსრულდა. სწორედ 1886 წლის 29 იანვარს შეიტანა კარლ ბენცმა საპატენტო განაცხადი მის მიერ შექმნილ მოტორიზებულ ურიკაზე. იმავე წლის ნოემბერში კი მან გერმანიის რაიხის No.37435a პატენტი მიიღო. პატენტში ბენცის სამბორბლიანი გამოგონება ავტომობილად იყო მოხსენიებული. სწორედ ბენცის მოტორიზებული ურიკაა მიჩნეული მსოფლიოში პირველ ავტომობილად.

ბენცმა საქმისადმი ინდივიდუალური და ნოვატორული მიდგომის წყალობით მოიპოვა პატენტი. მისი ეპოქის სხვა გამომგონებელთაგან განსხვავებით, ის კომპლექსურად მიუდგა საკითხს და სხვათა მწარე გაკვეთილებიდან მიღებული გამოცდილების წყალობით, იმ ეპოქისთვის სრულყოფილი თვითმავალი ეტლი შექმნა.

მისმა ნოვატორულმა ნიჭმა მთლიანად შეცვალა ეტლი, რომელზეც სამუშაოს ბოლო სტადიაზე ცოტა ხნით ადრე გამოგონებული შიდაწვის ძრავი უნდა დაემაგრებინა. მან მცირე ზომის, ერთცილინდრიანი, ოთხტაქტიანი ძრავი, რომელიც საწვავად ბენზინს იყენებდა, ჰორიზონტალურად განალაგა შასიზე. მანვე გამოიყენა ძრავის წყლით გაგრილების სისტემა და საჭის მექანიზმი, რაც მანამდე შექმნილ თვითმავალ ეტლებს არ ჰქონდა. ამ სიახლეთა წყალობით, ბენცის მიერ 1886 წელს დამზადებულმა თვითმავალმა ეტლმა ავტომობილის გამოგონების სტატუსი მოიპოვა.

მიუხედავად იმისა, რომ ეტლი სამბორბლიანი იყო, მისთვის ტრიციკლი არავის დაურქმევია. მოგვიანებით კი სწორედ ბენცის გამოგონების საფუძველზე დაიწყეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამომგონებლებმა ავტომობილის ტექნოლოგიის განვითარება და ეს შესანიშნავი სატრანსპორტო საშუალება დღევანდლამდე მოიყვანეს.

პირველი ავტომობილის შემდგომი ბედი კი ასეთია: ბენცმა ის სულ სამ ეგზემპლარად დაამზადა. მათგან ერთით მისი მეუღლე, ბერტა ბენცი სარგებლობდა, რომელსაც ამ მანქანით თავისი შვილები მანჰაიმიდან ას კილომეტრზე, პფორცჰაიმში დაჰყავდა. ამ მგზავრობათა წყალობით, პირველმა ავტომობილმა სახელი გაითქვა და საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. შედეგად, ბენცმა რამდენიმე შეკვეთა მიიღო.

## მოგზაურობა მანჰაიმიდან პფორცჰაიმამდე

ბერტა ბენცისა და მისი შვილების პირველი მგზავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. იმიტომ, რომ ამ მგზავრობის წყალობით, საავტომობილო ინდუსტრიის გარიჟრაჟზე, კიდევ ერთი სიახლე დაფიქსირდა - ავტომობილის საწვავით შევსება.

სანამ ეს მოხდებოდა, კარლ ბენცი თავის პირველ სამ ავტომობილს ტესტების სერიას უტარებდა მანჰაიმიდან ოცი კილომეტრის დაშორებით. როგორც "მერსედეს-ბენცის" ისტორიაში წერია, "ხმაურიან ეკიპაჟს საზოგადოება სხვადასხვაგვარად შეხვდა. ზოგს მოსწონდა ეს უცნაური ქმნილება, ზოგი კი იმდენად ღიზიანდებოდა, რომ ბენცს სასამართლოში ჩივილითაც ემუქრებოდა. გამომგონებელს რამდენიმე ადგილზე მანქანით გავლაც კი აუკრძალეს. რაც მთავარია, თავად ბენცსაც კი არ ჰქონდა თავისი გამოგონებისადმი დიდი ნდობა.

სამაგიეროდ, ეს ნდობა და მეტი გაბედულება მოჭარბებით გააჩნდა მის მეუღლე ბერტას, რომელმაც დიდი როლი ითამაშა კარლის გამოგონების დამკვიდრებაში. სანამ საქმეში ბერტა ჩაერთვებოდა, კარლს თავისი პირველი სამი ავტომობილი სერიოზულად არც კი გამოუცდია, რადგან არ იყო დარწმუნებული, რომ მანქანა შორეულ მგზავრობას გაუძლებდა.

პირველმა შორეული მგზავრობა 1988 წელს ბერტამ გაბედა. აგვისტოს ერთ მშვენიერ დილას, როცა მის ორ შვილს - 14 წლის რიჩარდსა და 15 წლის ეუგენს არდადეგები დაეწყოთ, ბერტა ჩუმად გამოვიდა სახლიდან, მძინარე ქმარს კი წერილი დაუტოვა, რომელშიც ატყობინებდა, რომ შვილები დედამისთან, პფორცჰაიმში წაიყვანა. ოღონდ, წერილში არაფერი უთქვამს იმის შესახებ, რომ ამ მგზავრობას კარლის მიერ შექმნილი მესამე ავტომობილით აპირებდა.

ან კი როგორ უნდა ემგზავრა ავტომობილით, როცა მან არც კი იცოდა მისი დაქოქვა და მართვაც კი. უფრო მეტიც, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ რა გზით უნდა ემგზავრა პფორცჰაიმამდე! ასე იყო თუ ისე, სამნი ჩუმად შეიპარნენ სახელოსნოში, გამოაგორეს მანქანა და საკმაოდ მოაშორეს სახლს იმისათვის, რომ ძრავის ხმაურს კარლი არ გაეღვიძებინა.

"სამშვიდობოს" რომ გააღწიეს, ბერტამ ძრავთან დაკავშირებული ბორბალი დაატრიალა, როგორც ამას მისი მეუღლე აკეთებდა ხოლმე, როცა ძრავის გაშვებას ცდილობდა. ასე დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში პირველი შორეული მგზავრობა ბენზინზე მომუშავე ავტომობილით.

გზაზე რამდენჯერმე მოუხდათ გაჩერება საწვავის შესავსებად. სითხეს, რომელსაც დღეს ბენზინის სახელით ვიცნობთ, მაშინ ლიგროინს უწოდებდნენ. ასეთი სითხე მაშინ მხოლოდ ქიმიურ ლაბორატორიებში თუ მოიძებნებოდა. ბედზე, დაბა ვისლოხში, ლანგენბრუნენში, ბრუშალსა და ჰოკენჰაიმში (ჰოკენჰაიმის სიახლოვეს მდებარეობს სარბოლო ტრასა, რომელზეც ფორმულა ერთში გერმანიის დიდი პრიზი ტარდება ხოლმე), სადაც ბენცების თვითმავალმა ეტლმა შეიარა, ქიმიური მაღაზიები არსებობდა. სწორედ იქ ყიდულობდა ეუგენი ლიგროინს.

საწვავის შევსება კი მათ რამდენჯერმე დასჭირდათ - კარლს ძრავის კარბურატორთან 4.5-ლიტრიანი ავზი ჰქონდა მიერთებული. ძრავი ერთცილინდრიანი კი იყო, მაგრამ დიდი ოდენობით საწვავს მოიხმარდა. პირველი ავტომობილის შემქმნელს კი მანამ არასოდეს დასჭირვებია უფრო დიდი ზომის ავზი, რადგან ტესტების დროს შინიდან შორს არ მიდიოდა.

სხვათა შორის, ვისლოხის ქიმიური მაღაზია თურმე ახლაც მუშაობს. მისი მფლობელები კი სამართლიანად ამაყობენ იმით, რომ მათმა მაღაზიამ მსოფლიოში პირველმა შეასრულა საწვავით გასამართი სადგურის მოვალეობა.

საწვავის გარდა, ავტომობილს არანაკლებ ხშირად სჭირდებოდა წყლის დამატება. კარლ ბენცის მიერ მოფიქრებული გაგრილების სისტემა არ ყოფილა ჩაკეტილი სისტემა. მას არც წყლის ავზი ჰქონდა. ძრავის მუშაობისას წყალი მალე ორთქლდებოდა, რის გამოც, რადიატორი ხშირად საჭიროებდა შევსებას.

ჰოდა, ბერტა ბენცი და მისი შვილები ძალიან ხშირად ჩერდებოდნენ, რათა გზად მდებარე სახლებში წყალი ეთხოვათ. ხშირად მათ გზისპირა ჭებიდან უწევდათ წყლის ამოღება. მოკლედ, მგზავრობის დასრულების შემდეგ რომ გამოითვალეს, ასი კილომეტრის გასავლელად, დაახლოებით 150 ლიტრი წყალი დასჭირებოდათ.

ბრუშალში რომ ჩავიდნენ, ბერტამ და მისმა შვილებმა იფიქრეს, კარგი იქნება, თუ კარლს როგორმე შევატყობინებთ ჩვენი მგზავრობის ამბავსო. ის წერილით შეიტყობდა, რომ ოჯახის წევრები პფორცჰაიმში გაემგზავრნენ, მაგრამ რით, ამაზე არც წერილში ეწერა რამე. ჰოდა, მგზავრებმაც შინ ტელეგრამა აფრინეს.

შემდეგი გაჩერება მათ დაბა დიურლახში მოუხდათ, რის შემდეგაც ვილფერდინგენისა და ბროტცინგენის აღმართიან გზებზე იარეს. სულ რაღაც 2.5-ცხენისძალიანი ძრავი და გადაცემათა კოლოფის ორი საფეხური, რომელთა შეცვლა არც ისე იოლი იყო, განსაკუთრებით კი ქალისთვის, მკვეთრ აღმართებზე ვერ ერეოდა ეტლს ეკიპაჟითურთ. ამიტომ, მგზავრებს ხანდახან ჩამოქვეითება და მანქანაზე მიწოლაც კი უწევდათ. არანაკლებ ძნელი იყო დაღმართში სიარული. ხელის მუხრუჭის ეფექტური მუშაობისთვის ღონიერი ხელები იყო საჭირო. ჰოდა, ბერტასაც ხშირად ეუგენი ეშველებოდა სიჩქარის შენელებისას.

ერთი-ორჯერ სხვა პრობლემებიც წარმოიქმნა. მაგალითად, ერთხელ კარბურატორი გაიჭედა, თუმცა ბერტა არც ამას შეუშინებია - მან უმალ მოხსნა იგი, გაასუფთავა და თავის ადგილზე დააყენა. ამან გაამართლა. მერე, გზად შემოაღამდათ, ბენცის მესამე ავტომობილს კი მაშუქებიც არ ჰქონდა - ვინ იფიქრებდა, რომ მას ესოდენ ხანგრძლივ ვოიაჟისთვის გამოიყენებდა ვინმე.

ქალაქ პფორცჰაიმს შუაღამისას უწიეს. თუმცა, ბერტამ ჯერ სასტუმროში გაჩერება ამჯობინა, რადგან დედამისის სახლი ქალაქის გარეუბანში მდებარეობა, მათ კი მგზავრობის თავი აღარ ჰქონდათ. სასტუმროდან მათ კიდევ ერთი ტელეგრამა გაუგზავნეს კარლს, რომლითაც იტყობინებოდნენ, რომ პფორცჰაიმში იმყოფებოდნენ.

საბოლოოდ, პირველი საავტომობილო მოგზაურობა მშვიდობიანად დასრულდა. რა თქმა უნდა, ბერტა უკანა გზაზეც ავტომობილით გაემგზავრა, ოღონდ, უფრო მოკლე გზით. და თან წაიღო გაზეთები, რომლებშიც მისი და შვილების უჩვეულო მგზავრობის შესახებ ეწერა სტატიები.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბერტას ავტოვოიაჟი შესანიშნავი რეკლამა გამოდგა მისი ქმრის მიერ წამოწყებული საქმისათვის. შედეგად, კარლმა რამდენიმე შეკვეთა მიიღო სამბორბლიან ავტოეკიპაჟზე და რაც მთავარია, თავისი ქმნილების სრულყოფაც არ დავიწყებია.



1893 წელს კარლ ბენცმა უკვე ოთხბორბლიანი ავტომობილი, სახელად "ვიქტორია" (გამარჯვება) შექმნა, რომელშიც რიგი სიახლეები შეიტანა. სხვათა შორის, ყოველ მომდევნო ავტომობილში ბენცი ბევრ სიახლეს იყენებდა, რაც ერთგვარ ტრადიციად იქცა და დღეს მის მაგალითს ავტოინდუსტრიაში დაკავებული უკლებლივ ყველა მწარმოებელი ბაძავს.




# "აუდი" ლე მანის რბოლას დიზელით შეუტევს






უკვე რამდენიმე წელია, გერმანული კომპანია "აუდის" სარბოლ ავტომობილ R8-ს ბადალი არ ჰყავს "ლე მან პროტოტიპის" კლასის რბოლებში. 2000 წლიდან 2005 წლის ჩათვლით, ამ ავტომობილმა ლე მანის სერიის 77 რბოლიდან 61 მოიგო. რაც მთავარია, ამ პერიოდში სწორედ "აუდი R8-ს" ეკიპაჟები იგებდნენ ლე მანის 24-საათიან რბოლებს.

მუდმივად პელოტონის სათავეში ყოფნა ნებისმიერი კომპანიისთვის დიდი მიღწევაა, თუმცა "აუდის" დომინაციამ ერთგვარად გააუფერულა ლე მანის ლეგენდარული რბოლები. ჰოდა, გერმანულმა კომპანიამაც გადაწყვიტა, ახალი გამოწვევა მოეფიქრებინა თავისი სპორტული განყოფილებისთვის, რომელიც ამ წლების განმავლობაში, გუნდ "ჯოესტთან" პარტნიორობს.

ეს გამოწვევა ლე მანის რბოლის დიზელისძრავიან სარბოლ ბოლიდ R10-ით მოგებას გულისხმობს. ამ მიზნის მისაღწევად კომპანიის სპორტული განყოფილების კონსტრუქტორებმა შექმნეს სრულიად ახალი, V12 კონფიგურაციის, 5.5-ლიტრიანი, ორი ტურბოკომპრესორით აღჭურვილი დიზელის TDI (უშუალო შეფრქვევის სისტემიანი) ძრავი, რომლის სიმძლავრე 650 ცხენის ძალას აღწევს, მაბრუნი მომენტი კი - 1100 ნიუტონ მეტრს.

"მოდელი R10 ყველაზე საინტერესო და დიდი გამოწვევაა, რომელზეც კი ოდესმე უმუშავია ჩვენი კომპანიის სპორტულ განყოფილებას. დიზელის საწვავზე მომუშავე ძრავების ტექნოლოგიები ავტოსპორტში ჯერ თითქმის არაა ათვისებული. ჩვენ პირველები ვიქნებით, ვინც დიზელით დიდი რბოლების მოგებას ეცდება. და გარწმუნებთ, გვაქვს რეალური შანსი იმისა, რომ ახალი ფურცელი ჩავწეროთ ავტოსპორტისა და დიზელის ძრავების ტექნოლოგიის განვითარების ისტორიაში", - ამბობს "აუდი მოტორშპორტის" შეფი, დოქტორი ვოლფგანგ ულრიხი.

სხვათა შორის, R10-ის ძრავის სიმძლავრე მნიშვნელოვნად მეტია "აუდის" ნებისმიერი სარბოლი ავტომობილის (მათ შორის, R8-ს) ძრავის სიმძლავრეზე. უფრო მეტიც, მაბრუნი მომენტის სიდიდის მხრივ, R10-ს ავტოსპორტში ძნელად თუ მოეპოვება ბადალი. 1100 ნიუტონ მეტრი იმდენად დიდი მომენტია, რომ მის გამო, საჭირო გახდა სრულიად ახალი, ზემტკიცე გარსის მქონე და ნაკლებსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფის და მრავალდისკოიანი გადაბმის ქუროს დამზადება.

საერთოდ, დიზელის ძრავები აქამდე ვერასოდეს უწევდნენ კონკურენციას ბენზინისას. დიზელები უფრო უხმაურო, ეკონომიური და დაბალბრუნთარიცხვიანი აგრეგატებია და წესით, ბენზინის აგრეგატებთან ვერავითარ კონკურენციას ვერ უნდა გაუძლონ. მაგრამ "აუდის" კონსტრუქტორები სხვაგვარად ფიქრობენ.

მათი შედევრი კოლოსალურ მაბრუნ მომენტს ავითარებს მუხლა ლილვის 3000-5000 ბრ/წთ-ზე. ერთი შეხედვით, სარბოლი ძრავისთვის ბრუნთა აღნიშნული რაოდენობა ძალიან ცოტაა, მაგრამ სამაგიეროდ, ამ მონაცემების წყალობით, გადაცემათა კოლოფში გაცილებით მცირე საფეხურია საჭირო. შესაბამისად, მთელი რბოლის განმავლობაში, საფეხურების შეცვლაზე პილოტებს გაცილებით ნაკლები დრო დაეხარჯებათ. ესეც რომ არა, ლე მანის რბოლისას დიდი მნიშვნელობა მიენიჭება დიზელის აგრეგატის ეკონომიურობას - ნაკლები საწვავი ნაკლები წონაა. თანაც, R10-ის პილოტებს საწვავის შესავსებად ბოქსებში უფრო იშვიათად მოუწევთ შესვლა.

უნდა ითქვას, რომ "აუდი" რბოლებში მოწინავე ტექნოლოგიების ტესტირებას აწარმოებს, რომლებსაც შემდგომში მასობრივ წარმოებაში იყენებს. მაგალითად, R8-ში გამოყენებული იყო ძრავის კვების ახალი, პროგრესული სისტემა TFSI (საწვავი ნარევის წვის კამერაში უშუალო შეფრქვევის სისტემა), რომელიც შემდგომში წარმოებაშიც დაინერგა.

ახლა კი პირიქით ხდება - სისტემა TDI (საწვავის უშუალო შეფრქვევის წნევა 1600 ბარზე მეტია) უკვე გამოიყენება სერიულ მოდელ "აუდი A8 4.2 TDI-ში". ეს სისტემა კი ახლა ლე მანის დასაპყრობად მომზადებულ ისეთ "ჭურვში" გამოიყენება, როგორიც R10-ია.

"ჩვენ უკვე შევქმენით მსოფლიოში ყველაზე მძლავრი დიზელით აღჭურვილი ავტომობილი - სედანი "აუდი A8 4.2 TDI". ახლა კი დროა, ეს სისტემა დიდ რბოლებშიც გამოვიყენოთ და მისი საშუალებით, ლე მანის რბოლა დავიპყროთ. ლე მანის რბოლაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე კი ჩვენი კონსტრუქტორები TDI სისტემას უფრო სრულყოფილად გამოიყენებენ. ახლა თითქმის ყოველი მეორე "აუდი" სწორედ დიზელის აგრეგატითაა აღჭურვილი. ლე მანზე წარმატების შემთხვევაში კი დიზელისძრავიანი ავტომობილების წარმოება მნიშვნელოვნად გაიზრდება", - ამბობს კომპანიის დირექტორთა საბჭოს აღმასრულებელი, პროფესორი მარტინ ვინტერკორნი.

ახალ სარბოლ ბოლიდს რამდენიმე უცნაური თვისება გააჩნია, რომლებიც პირველი ტესტების დროს გამოვლინდა. მაგალითად, R10-ის უკან მავალი ღია R8-ის პილოტს დიზელის ძრავის ხმაც კი არ ესმის. ეს მაშინ, როცა ბენზინის ძრავები ძლიერ ხმაურიანია. R10-ის დიზელს თითქმის არ აქვს ვიბრაციები. უფრო მეტიც, დიზელის ძრავის გამონაბოლქვს არ მოჰყვება ნაპერწკლები, რითაც ლე მანის რბოლის მაყურებლებს იზიდავენ ბენზინისძრავიანი ბოლიდები - ღამის რბოლის დროს ბოლიდის უკან გამოყრილი ნაპერწკლები განსაკუთრებულ სანახაობას ქმნის.

ახალი სარბოლი მანქანა გარეგნობით ძლიერ ჰგავს R8-ს, თუმცა როგორც მისი შემქმნელები ამბობენ, ამ ორი ბოლიდის შასის შორის განსხვავება უფრო მეტია, ვიდრე მსგავსება. და მაინც, R10 1999 წელს შექმნილ R8-ს პლატფორმაზეა ბაზირებული. ამასთან, მასში ბევრი ნოუ-ჰაუა გამოყენებული, რომლებზეც "აუდის" კონსტრუქტორებს ხელი მიუწვდებოდათ.

ორ ბოლიდს შორის ყველაზე დიდი განმასხვავებელი ისაა, რომ R10-ის მონოკოკი ნაწილობრივ უნიფიცირებულია ავტომობილის "ტანთან". ეს კი იმას ნიშნავს, რომ მონოკოკის ზოგიერთმა ნაწილმა აეროდინამიკურ მილში გაიარა გამოცდა. რაც მთავარია, ამ უნიფიცირებით დაიზოგა მასის მნიშვნელოვანი ნაწილი, რასაც სარბოლი ავტომობილებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

მოდულარული კონსტრუქცია, რომლითაც გამოირჩეოდა R8, შენარჩუნებული და მნიშვნელოვნად მოდიფიცირებულია. მოდულარული კონსტრუქციის არსი ისაა, რომ ცალკეა აწყობილი ავტომობილის მონოკოკი (მძღოლის კაფსულა საწვავის ავზთან ერთად), წინა და უკანა მოდულები. წინა მოდულში, საკიდართან ერთად შედის საავარიო სტრუქტურა, რომელიც შეჯახების შემთხვევაში, ენერგიას შთანთქავს და ამით იცავს პილოტს ტრავმებისგან. უკანა მოდულში გაერთიანებულია ძრავი, გადაცემათა კოლოფი დიფერენციალითურთ და უკანა საკიდარი, რომლებიც ერთად აღებული, მზიდი ელემენტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

მოდულარული კონსტრუქციის მთავარი ღირსება ისაა, რომ გაადვილებულია მომსახურება. ამას კი ლე მანის რბოლის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ხშირად საჭირო ხდება ხოლმე ავტომობილის რემონტი. მოდულარული კონსტრუქციის წყალობით კი მნიშვნელოვნად მცირდება რემონტისთვის საჭირო დრო.

სხვათა შორის, ლე მანის 24-საათიან რბოლაში დიზელისძრავიანი ბოლიდით ასპარეზობის






იდეა 2002 წელს წარმოიშვა, ერთი წლის შემდეგ კი პირველი პროტოტიპი უკვე მზად იყო. მას მაშინვე ეწოდა R10. კიდევ ნახევარი წლის შემდეგ არჩევანი გაკეთდა ძრავის V12 კონფიგურაციასა და მაქსიმალურად დასაშვებ მუშა მოცულობაზე. შედეგად, შესაცვლელი გახდა შასის ზოგიერთი პარამეტრი, რადგან დიდი ძრავი ვერ თავსდებოდა წინასწარ მომზადებულ შასიზე.

"აუდი R10-ს" სარბოლი დებიუტი დაგეგმილია სებრინგის (აშშ) 12-საათიან რბოლაში, რომელიც 18 მარტს ჩატარდება. კომპანიას კვლავაც გაუწევს პარტნიორობას რაინჰოლდ ჯოესტის სარბოლი საჯინიბო "ჯოესტ რეისინგი", რომელსაც ლე მანის რბოლაში ორი ეკიპაჟის გამოყვანა აქვს დაგეგმილი. სულ გუნდმა ექვსი პილოტი უნდა აიყვანოს, რომელთაგან ერთი ადგილი უკვე დაკავებულია - ერთ-ერთი ეკიპაჟის წევრობა გარანტირებული აქვს ლე მანის რბოლების დანიელ რეკორდსმენ ტომ კრისტენსენს. კრისტენსენის რეკორდი ლე მანზე 7 გამარჯვებას მოიცავს, რომელთაგან ხუთჯერ ის ინგოლშტადტელთა ბოლიდების საჭესთან იჯდა.

დაბოლოს, "აუდის" დიზელის გზას უკვე დაადგა ფრანგული კომპანია "პეჟო", რომელიც ლე მანის 2007 წლის რბოლისთვის ასევე დიზელის აგრეგატით აღჭურვილ პროტოტიპს ამზადებს. ამ პროექტის გამო "ფრანგულმა ლომებმა" რალის მსოფლიოს ჩემპიონატში ასპარეზობაზეც კი თქვეს უარი, სადაც ბოლო წლებში "სიტროენთან" ერთად ბატონობდნენ.

ლე მანის წლევანდელი რბოლა 17-18 ივნისს ჩატარდება და სავარაუდოდ, ეს ავტოსპორტის ისტორიაში ახალი ერის დასაწყისი იქნება.

მოამზადა
მერაბ ლორთქიფანიძე